ეროვნული ბიბლიოთეკა

№ ღ-76.

# დროშა

საქართველოს სახელმწიფო
საჯარო წიგნთსაცავი

## №11

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს მოწოდება უპატრონო ბავშვების დახმარების შესახებ.

**ლელი**—წითელი დროშა.

**უელსი**—კრემლის მეოცნებე.

**კ. კავკასიძე**—ვაჟა-ფშაველა (მოგონება).

**პ. სამსონიძე**—მე.

**ვილჰელმ პიკი**—კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის მკვლელობა.

**ვ. ბ.**—მუშა-მსახიობი ნიკო გოცირიძე.

**სანდრო შანშიაშვილი**—ლატავრა.

**პ. ქიქოძე**—ანატოლ ფრანსი.

**შ. რადიანი**—ერნსტ ტოლლერ.

**ალექსანდრე მიქაბერიძე**—ჩვენი კულტურული ფრონტის გარშემო.

ევროპის პოლიტიკური მოღვაწენი და მწერლები ლენინზე.

**შალვა რადიანი**—ლიუდვიგ ბარნაი.

**პ. ქ.**—პროლეტარული მხატვრები.

**ნ. წულუკიძე**—ფულის რეფორმისათვის.

ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, ილუსტრაციები და შარჟი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

დ-76.

# დროშა

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო წიგნთსაცავი

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

**განცხადების ტარიფი:**
ერთი გვერდი . . 100 მ. ჩერ.
ნახევარი გვერდი . 50 მ. „
მეოთხედი გვერდი . 35 მ. „

**ხელის მოწერა:**
სამი თვით . . . 1 მან. 20 კ. ჩერ.
ერთი თვით . . . 40 კ. „
ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. „

**რედაქციის და კონტორის მისამართი:**
რუსთაველის პრ. № 22.
მიიღება ხელის მოწერა დილის 9—3 საათამდე.

**№ 11** **სამშაბათი, 1 აპრილი 1924 წ.** **№ 11**

137.

## დავეხმაროთ უპატრონო ბავშვებს

**საქართველოს სსრ ყველა მუშა-ქალებს და გლეხ-კაცის ქალებს, ყველა მუშებსა და გლეხკაცებს, და ყველა პატიოსან მოქალაქეთ. საქართველოს ყველა სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთისა, აჭარისტანისა და აფხაზეთის რესპუბლიკების ც ა კ ი ს თავმჯდომარეებს *).**

იმპერიალისტურმა სასაკლაომ, სამოქალაქო ომმა, ეკონომიურმა არევ-დარევამ და ვოლგის განაპირა გუბერნიების არაჩვეულებრივმა შიმშილმა ქუჩებზე გამოყარა ასი-ათასობით უპატრონო, მშიერი, ობოლი და ავადმყოფი ბავშვები...

ნაგავის ყუთები, დამტვრეული ვაგონები, ღრმა ორმოები, ქალაქის დიდი შენობების ცივი შესასვლელები, გაპარტახებული მამულები, დანგრეული აგარაკები აი საუკეთესო ღამის გასათევი ადგილები, რომელნიც წილად ხვდათ ათი ათასობით უპატრონო-უმწეო, მშობლიურ ალერსს მოკლებულ და ქუჩაზე უდანაშაულოდ გამოგდებულ ბავშვებს...

ეს ბავშვები ასობით და ათასობით იღუპებიან და ამას ვერავინ ამჩნევს... სახელმწიფო არ ზოგავს არავითარ თავის ძალღონეს და საშუალებებს, რომ აიყვანოს ეს უბედური ბავშვები თავის მზრუნველობის ქვეშ და მოათავსოს ისინი საბავშვო დაწესებულებებში... მაგრამ ყველა მოვალეობის აღსრულება, ყველა ამოცანების დაძლევა ამ ბავშვთა მიმართ დღეს სახელმწიფოს მარტო არ ძალუძს...

დაახლოვებით **სსრ** დიდი კავშირის ყველა რესპუბლიკებში ერთი მილიონი ბავშვი უკვე მოთავსებულია საბავშვო სახლებში... მაგრამ უმწეო ბავშვთა რიცხვი, მიუხედავად ამიsა, იზრდება ყოველ საათს, დღითი დღე; — მათი რიცხვი რამდენიმე მილიონია ეხლა!.. ეს სამწუხარო მოვლენა თვალსაჩინოა ყველასათვის, ვინც კი დიდ ქალა?ებში დაიარება, რკინისგზით მოგზაურობს, ან ზღვის პირა ქალაქებში ხომალდების მისადგომი ადგილები დაუვლია...

შიშველ-ტიტველნი, ჭუჭყიანები, გამხდარ-მოქანცულები შიმშილისგან — ეს პატარა კაცუნები თითოეულ ნაბიჯზე ხელს გვიშვერენ დახმარებისათვის **ჩვენ კი ხშირად გულშეუწუხებლად და უყურადღებოთ მათ გვერდს ვუვლით!..**

**განა ეს ასე უნდა იყოს?!..** ეს ბავშ?ები — უდანაშაულო მსხვერპლები ეკონომიური სივიწროვისა და შიმშილისა — ხომ ჩვენი მომავალია!..

მაშ დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, არ დავიშუროთ არავითარი ჩვენი საშვალება, ფეხზე დავაყენოთ ყველა და გავაასკეცოთ ჩვენი ძალღონე, ძილისპირი დავუკარგოთ ყველას, დავკრათ ბუკი-ნაღარა, ვინაიდან უმწეო ბავშვების დახმარების საქმის გადადება ყოვლად შეუძლებელია!..

ჩვენი დიდი ბელადი **ი ლ ი ჩ ი** სულით და გულით სწუხდა და ყოველთვის ფიქრობდა ასეთ ბავშვების მდგომარეობაზე. მან სხვა მრავალ საქმეთა

---

*) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის მეორე მოწვევის ...ორე სესსიის მონდობილობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის ჩვენ გვიანდერძა „ბავშვთა უმწეობის ლიკვიდაცია“, მოსპობა...

და ჩვენც—ს. ს. რ. კავშირის ყველა ცაკთან ვაწყობთ მისი სახელის „ბავშვთა დამხმარე კომისიებს“... ეს კომისიები მიმართავენ საბჭოთა დიდი ქვეყნის ყველა მშრომელთ, ყველა პატიოსან მოქალაქე ქალებსა და ვაჟებს—დაჩქარებით მოაწყონ „ბავშვთა დამხმარე ლიგა“ ან „ბავშვთა მეგობრების“ საზოგადოებანი...

ამ საზოგადოებათა მიზანია სულ მოკლე ხანში ჩააყენონ უპატრონო ბავშვები ისეთ პირობებში, რომ ბოლოს ისინი გამოვიდნენ არა მოხეტიალე ქუჩებზე, მშიერ-მწყურვალნი, დაქანცულ-დასნეულებულები და ბოროტმომქმედნი,—არამედ ისინი შეიქნენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსა და საბჭოთა საზოგადოების ჯანმრთელი და სასარგებლო წევრნი და მოქალაქენი...

ეს იქნება ყველაზე უფრო ძვირფასი და საუკეთესო ძეგლი ყველა ქვეყნის მშრომელთა და ყველა დაჩაგრულ ხალხების დიდი ბელადის—ამხ. ლენინისათვის...

თქვენ, ცაკის თავმჯდომარეებს, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო—გთხოვთ იყოთ მათ რწმუნებულად ,,უმწეო ბავშვთა დამხმარე‘‘ საქმის მოსაწყობად...

საქართველოს ცაკი და სახკომსაბჭო მოგიწვევთ თქვენ მიიღოთ ყოველგვარი შესაფერი ზომები, რათა მშრომელთა ფართო მასები და საზოგადოთ ყველა პატიოსანი მოქალაქე ჩაბმულ იქნას, ,,უმწეო ბავშვთა დახმარების‘‘ საქმეში და თქვენ, პროფეს. კავშირისა, ქალთა განყოფილების და ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის დახმარებით, მოაწყოთ ადგილობრივ ,,ბავშვთა დამხმარე საზოგადოებები‘‘, ,,უმწეო ბავშვთა დამხმარე ლიგა‘‘, ან ,,ბავშვთა მეგობრების‘‘ საზოგადოება, ისე, როგორც ტფილისში მოეწყო და ეწყობა, სადაც სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან უკვე დაარსებულია ,,უმწეო ბავშვთა დამხმარე უზენაესი კომისია ამხ. ლენინის სახელობისა‘‘ და ამ კომისიასთან, მის გარშემო, დგება ფართე საზოგადოება ,,ბავშვთა მეგობრები‘‘ ან ,,უმწეო ბავშვთა დამხმარე ლიგა‘‘...

მაშ, ყველა უმწეო ბავშვის დახმარებისაკენ!..

ყველა ბავშვთა უმწეობასთან საბრძოლველად!..

ყველამ, ყველამ დაეხმარეთ უმწეო, მშიერ და დაღუპვა-გადაშენების გზაზე მდგარ მოზარდს!..

ყველა ბავშვთა საზოგადოებაში წევრად, ,,ბავშვთა მეგობრების‘‘ ან ,,ბავშვთა დამხმარე ლიგაში‘‘!..

საბჭოთა მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, არ უნდა იყოს ქუჩის ბავშვი. ყველა უნდა გრძნობდეს აქ თავს რესპუბლიკის შვილებად, ყველა ბავშვები—ეს ჩვენი მომავალი ,,მემკვიდრენი‘‘, ,,დედამიწაზე სამოთხისა‘‘,—მთელ კაცობრიობაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლები!..

გაუმარჯოს ამ ბედნიერ მომავალ კომუნისტურ კაცობრიობას!...

გაუმარჯოს ყველა მშრომელთა და იმ მოქალაქეთ, რომელთაც თავიანთი გმირული მოქმედებით მისკენ მივყევართ,—კომუნიზმისაკენ!..

გაუმარჯოს კომუნიზმს—ლენინიზმს!..

ძირს სისხლის-მსმელი კაპიტალიზმი—იმპერიალიზმი!...

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მასთან დაარსებულ ,,ლენინის სახელობაზე უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის‘‘

თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე შ. ელიავა.

ტფილისი—სასახლე.
1924 წ., მარტის 26 დღ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი დროშა.

შეაშფოთა ქვეყანა წითელმა დროშამ.
წითელი ფერით იწვის მსოფლიო.
სადა ფრიალებს დროშა?
—ძირსა ფრიალებს დროშა!
—ყველგან ფრიალებს დროშა, სადაც ქშინავს შრომა.

## იერიში.

შეირყა ლაშქარი მტრისა:
მეფე
პრეზიდენტი
მინისტრი
დეპუტატი
სენატი და პარლამენტი.
გაიცა ბრძანება გენერლებზე და მათ გაწვრთნილ ლაშქარზე:
„გასწიეთ იერიშით!
შეებრძოლეთ სასტიკად!
შეარყიეთ კედლები!
შეანგრიეთ რაზმები!
შეჭლახეთ, შემუსრეთ ის შრომის მონები!
და ნიშნათ დაშლისა მშრომელთა ლაშქრისა
ვაშას ძახილით შემოგვთავაზეთ
იმათი დროშა!
წითელი დროშა!
ჩვენ შევაჩვენებთ იმ ბრძოლის დროშას!
ჩვენ გავაშავებთ იმ სისხლის დროშას!
მაშ შეასრულეთ შურისძიება!
შარავანდედით შეგვმოსეთ ყველა!
და ნიშნად ჩვენის გამარჯვებისა
შემოგვთავაზეთ იმათი დროშა!
და ჩვენთვის იქნება იშვიათ შვებათ
ხელთ რომ გვექნება წითელი დროშა!
მაშ—
დროშა!
დროშა!

## ბრძოლა.

და დროშის გარშემო შეიბნენ ლაშქრები,
ბრძოლაში შეერთდენ მოსისხლე მტრები.
არ შეშინდნენ ოდნავათ ვეშაპნი შრომისა.
შეიქნა სასტიკი შეხლა და შემოხლა:
შეტევა
შერყევა
შეუპოვრობა
და შეჯახება მკერდისა მკერდზე,
საშინელ ბრძოლაში ბევრი ძირს ეშვება.
რა ეშველება!
რა ეშველება!
—არ შეიძლება მათ გაშველება!
და შმაგი ველადი ისევ შუაში ტრიალებს დროშით.
საშინელია ორივე მხარე.
ქარიშხალს აყენებს შურისძიება.
შიშველი მკლავებით შეუპოვრად იბრძვის ყველგან მშრომელთა ლაშქარი.
შეუდრეკელი შესაზარი შეტევა ერთიც!
და დაიშალენ შავი რაზმები.
პირქუში ძალა უძლეველთაგან შეჩვენებული და შერცხვენილი დაემხო პირქვე.
დროშის გარშემო გაითხარა იმათ სამარე...

## გამარჯვება.

და დროშა უძლევი ვულკანივით მქშინავ მთაზე
გამარჯვების მთაზე
მუშათა მთაზე
გაშლილა წითლად!
გაშლილა ცეცხლის ფრად.
გაშლილა გამარჯვების ეშხიან ფერებათ!
და გაშლილ გარემოშიც გაეშვა ძახილი:
—ვაშა დროშა!
—ვაშა დროშა!
და ეს შეძახილი სცდილობს შეიჭრას თვით მსოფლიოში.
იგი განგაშებს—
გემში
ავტომობილში
ჰაეროპლანში.
იგი მიეშურება ქვეყნიდან ქვეყანაში
რადიოს შეუმჩნეველ შორეულ ტალღებათ:
—ვაშა დროშა!
—ვაშა დროშა
მშვენება ქვეყნისა,
მაშვრალთ შვილებისა.
რაში ფრთოსანი,
მსოფლიოში მონავარდე.
შორიდან შორეულათ ნუგეშად მქროლავი
ამაყი შეძახილი
შემკული მსხვერპლებით—
თარეშობს ხალხში
მებრძოლთა რაზმი!
და მომავალი მზის გასაქანში
როგორც შურდული შიგ შეიჭრება:
—ვაშა დროშა!
—ვაშა დროშა!

ლელი.

# კრემლის მეოცნებე.

**გ. უელის წიგნიდან „რუსეთი ნისლში“.**

VI.

მთავარი მიზანი ჩემი მოსკოვში გამგზავრებისა იყო ლენინის ნახვა. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მისი ნახვა და უნდა ვსთქვა, მის წინააღმდეგ განწყობილი ვიყავ. სინამდვილეში შევხვდი პიროვნებას, რომელიც ოდნავად არ იყო მისი მსგავსი, რომლის ნახვასაც მოველოდი.

ლენინი სრულებით არ არის მწერალი; მთელი მისი ნაწერები არ გვაძლევენ მასზე სწორ წარმოდგენას. მოკლე და მკაცრი პამფლეტები, რომელიც გამოდის მოსკოვში მისი ხელის მოწერით და რომელიც სავსეა არა სწორ წარმოდგენებით დასავლეთის მუშათა ფსიქოლოგიაზე და დაჟინებული განმეორებაა იმ მტკიცებისა, ვითომ რუსეთში მართლა მოხდა მარქსის მიერ ნაწინასწარმეტყველები სოციალური რევოლიუცია, ძალიან ნაკლებად გამოსთქვამს ნამდვილ არსებას ლენინის ნააზრევისას, რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო ჩემი მასთან ნალაპარაკევით. ხანდახან ამ პამფლეტებში შევხვდებით განათებას შთაგონებულ განსჭვრეტისას, მაგრამ საერთოდ ისინი წარმოადგენენ გადაღეჭვას მარქსისტულ იდეებისას და მარქსისტულ ფრაზეოლოგიისას. შეიძლება ეს ასეც უნდოდეს; შეიძლება ეს ერთად ერთი გასაგები ენაა კომუნისტებისათვის და თუ დაელაპარაკებით მათ ახალ ენაზე, მხოლოდ მაშინ მოხდება მათი დემორალიზაცია და მათ ჩააგდებთ გაურკვევლობაში. მემარცხენე კომუნიზმი ეს ხერხემალია თანამედროვე რუსეთის, რომელიც სამწუხაროდ მოკლებულია მოძრაობით შეერთებას და შეიძლება მოიღუნოს მხოლოდ იშვიათი შრომით და შემპარავი ცბიერების წყალობით.

მოსკოვი, განათებული ბრწყინვალე ოქტომბრის, მზით, შარავანდედით ყვითელ შემოდგომის ფოთლებისა გვეჩვენებოდა ჩვენ უფრო ნაკლებ დარბეულად და უფრო გამოცოცხლებულად, ვიდრე პეტერბურგი. ქუჩებში მოძრაობა უფრო მეტია, ვაჭრობა თავისუფალია და მეეტლეებიც შედარებით ბევრია. სავაჭროები დაღებულია. დანგრეული ქუჩები და სახლები ისე არ ამჩნევია. მართალია, დარჩენილია კვალი ქუჩებში ომისა, რომელიც მოხდა აქ 1918 წლის დასაწყისში. ერთი გუმბათთაგანი უმსგავსო ტაძრის ვასილი ნეტარისა კრემლში გადანგრეულია ყუმბარებით, რომელიც აქამდე არ შეუკეთებიათ. ტრამვაებში ხალხი არ იყო. ისინი ეზიდებოდნენ სურსათს და სათბობ მასალას. ამბობენ, ასეთ შემთხვევებში პეტერბურგი უფრო მომზადებულია ზამთროპით, ვიდრე მოსკოვი. ათიათასი ოქროს ჯვრები მოსკოვის ტაძრებზე ელვარებდენ მზეზე. ერთ ერთ კრემლის შპილზე აქამდე მოსჩანს იმპერატორის ორთავიანი არწივი. ბოლშევიკური მთავრობა ძლიერ გართული იყო თავის საქმეებში, ანდა გულგრილად უყურებდა ამას, რომ ამდენხანს ვერ ნახა დრო მოეხსნა. ეკლესიების კარი ღიაა. ხატების ამბორი აქამდე შენახულია და მათხოვრები აქამდე თხოულებენ მოწყალებას ეკლესიების შესავალთან. განსაკუთრებული სიცოცხლე ეტყობა სასწაულმომქმედის ივერიის ღვთის მშობლის ხატის ნიშთან, რომელიც იმყოფება სპასსის ალაყაფის კარებთან. მრავალი დედაკაცი, რომლებიც ვერ მოახერხებენ ნიშში შესვლას ეამბორებიან მის კედლებს.

ივერიის ეკლესიის პირდაპირ ერთ ერთ სახლის გალავანზე წაწერილია ყველგან გახმაურებული წარწერა „რელიგია-ოპიუმია ხალხისათვის“, ეს წარწერა მოთავსებულია აქ, რომელიღაც მოსკოვის რევოლიუციონერ მართველისაგან, ბოლშევიზმის პირველ დღეებში. ამ წარწერის მოქმედება საგრძნობლად მცირდება მით, რომ რუსი ხალხის უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცის.

მე მქონდა პატარა, მაგრამ გასართობი კამათი ამ წარწერის შესახებ ერთ ამერიკელ ფინანსისტ ბ. ვადერლიპთან, რომელიც ცხოვრობდა ჩვენთან ერთ სასტუმროში. მას უნდოდა, რომ ეს წარწერა მოეხსნა, მე კი ვიცავდი მის დატოვებას, რომელსაც ვთვლიდი ისტორიულ თვალსაზრისით საინტერესოდ და ამის გარდა სარწმუნოების მოთმენა უნდა ვრცელდებოდეს ათეისტებზედაც. მაგრამ ბ. ვადერლიპი ძალიან მწყრალად ეხებოდა ამ კითხვას, რომ გაეგო ჩემი შეხედულება მის შესახებ.

მდიდრული სასტუმრო, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით ოსკოვში ბ. ვადერლიპთან და ერთს ინგლისელ მოქანდაკესთან ერთად, რომელიც ღმერთმა უწყის, საიდან გაჩნდა აქ, რომ გამოექანდაკებინა ლენინი და ტროცკი, მოთავსებული იყო სოფიის სანაპიროებზე (№ 17) პირდაპირ დიდ კრემლის გადაღმა.

ჩვენ აქ ვგრძნობდით თავს უფრო თავისუფლად, და უფრო განკერძოვებულად, ვიდრე პეტერბურგში. ალაყაფთან იდგნენ დარაჯები, რომ ჩვენთან მნახველები არ შემოსულიყვნენ. პეტერბურგში კი ვისაც უნდოდა მოვიდოდა ჩემთან სალაპარაკოდ ნებადაურთველად. ბ. ვადერლიპი, რამდენად მე შევძელ გამეგო, ცხოვრობდა აქ უკვე რამდენიმე კვირა და კიდევ აპირებდა აქ დიდხანს დარჩენას. მას არ ახლდა არც კამერდინერი, არც მდივანი, არც მთარგმნელი. ის არას დროს არ მეუბნებოდა თავის ჩამოსვლის მიზეზებს, მხოლოდ ერთხელ თუ ორჯელ ძალიან ბრთხილად შენიშნა, რომ მის აქ ყოფნას აქვს არა პოლიტიკური, არამედ მხოლოდ კომერციული და ფინანსიური ხასიათი. მე მითხრეს, რომ მან მოიტანა სარეკომენდაციო წერილები ლენინთან სენატორ ხარდინგისგან. მაგრამ მე ბუნებრივად არა ვარ ცნობისმოყვარე და ამისათვის არა თუ არ მომინდომებია გამეგო სიმართლე ამ განცხადებისა, არამედ საერთოდ არ მისინჯავს ჩამეხედა ბ. ვადერლიპის საიდუმლო საქმეების სიღრმეში. არც კი მიკითხავს მისთვის, რა სახით შეიძლება კომუნისტურ სახელმწიფოში გაიმართოს რაიმე ფინანსიური და კომერციული მოლაპარაკება, გარდა მთავრობისა, ანდა როგორ შეიძლება დაიწყო მოლაპარაკება რომელიმე მთავრობასთან და სრულებით დატოვოთ განზე პოლიტიკური კითხვები. ეს ისეთი საიდუმლოებებია, რომლებიც, გამოვტყდები, აღემატება ჩემს გაგებას. ჩვენ ერთად ვჭამდით, ვწევდით სიგარებს, ვსვამდით ყავას და ვსაუბრობდით, ამის მიუხედავად ჩვენ არას დროს არ გავიხსენეთ ბ. ვადერლიპის „მისსია“. ამის აჩრდილი განუწყვეტლივ თავზე დაგვტრიალებდა და მან მიიღო რაღაც სასწაულებრივი მნიშვნელობა.

რომ მიმეღო ნებართვა ლენინის ნახვის, დამჭირდა ძალიან დიდი შრომა, რამაც ყველაზე უფრო შემაწუხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბოლოს დრო დადგა, როდესაც გავემგზავრე კრემლში ბ. როტშტეინის თანხლებით, რომელიც თამაშობდა ოდესღაც დიდ როლს ლონდონის კომუნისტურ წრეებში და ერთ ამხანაგ ამერიკელთან ერთად; იგი შეიარაღებული იყო დიდი ფოტოგრაფიულ აპარატით და მსახურობდა როგორც მე შემდეგში გავიგე, საგარეო საქმეთა კომისარიატში. რამდენათაც მახსოვს, კრემლი იყო 1914 წელს ისეთი ადგილი, რომელსაც ყველა ნახულობდა, როგორც ჩვენში ვინდზორის სასახლეს და იქ ყოველთვის შეიძლებოდა ნახვა მოსეირნე მლოცველების და ტურისტების ჯგუფებისა. ეხლა ის დახურულია ხალხისთვის და შიგ შესვლა ძალიან ძნელია. მოგვინდა ძალიან ბევრი სიარული ნებართვისათვის, რომ ჩვენ შევეშვით მხოლოდ გარე ალაყაფიდან. შემდეგ გავიარეთ ხუთი თუ ექვსი ოთახი სავსე დარაჯებით და მოხელეებით, რომლებიც ჩვენ გვსინჯავდნენ და გვჩხრიკავდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ შეგვიყვანეს თვითონ ლენინთან. ყველა ეს, შეიძლება აუცილებელია ლენინის პირად განსაცდელის ასაცილებლად, მაგრამ ეს ხდის მას ხალხისათვის მიუწვდომელად, რაც მავნებელია ახლანდელ დიკტატურისათვის. თვითონ ლენინი ამის მეოხებით კარგავს უშუალო დამოკიდებულებას რუსულ ცხოვრებასთან. თუ ყველა, რაც მიდის მასთან გატარებულია ასეთ რთულ საწურში, ასევე იქნება გაწურული ყველა ის, რაც მისგან გამომდინარეობს და, ვინ იცის, რანაირად შეიძლება ყველაფრის დამახინჯება ასეთ რთულ პროცესის დროს.

ბოლოს ჩვენ მივაღწიეთ ლენინთან და შევესწარით მას მჯდომარეს დიდ საწერ მაგიდასთან კარგად განათებულ ოთახში, რომლის ფანჯრები იყურებოდა სასახლის მოედანზე. მე ჩამოვჯექ სკამზე მაგიდის ახლოს; როცა ის ზის სკამის კიდეზე, მისი ფეხები ოდნავ ეხება იატაკს; მოიხედა ჩემსკენ და დაადო ხელი ქაღალდების გროვას. ის მშვენივრათ ლაპარაკობს ინგლისურად. ამ დროს ამერიკელმა იწყო მუშაობა; განუწყვეტლივ იღებდა სურათებს და მასთან ერთად სცდილობდა თავისი მუშაობით ჩვენთვის ხელი არ შეეშალნა. საუბარი იყო საინტერესო, ფოტოგრაფის აპარატის მოძრაობას და ხმაურობას სრულებით ვერ ვამჩნევდით.

წინასწარ ვიცოდი, რომ მე მომიხდებოდა კამათი დარწმუნებულ დოკტრინერ მარქსისტთან, მაგრამ ამისთანა არაფერი არ მომხდარა. მეუბნებოდენ, რომ ლენინს უყვარს ჭკუის დარიგება, მაგრამ მას არაფერი ამგვარი არ უქნია. ბევრს ამბობენ აგრეთვე მის სიცილზე, რომელიც პირველად გესიამოვნებათ, მაგრამ შემდეგ გეჩვენებათ ცინიკურად, მაგრამ მე ეს სიცილი ჩვენი საუბრის დროს სრულებით არ შემიმჩნევია. მისი შუბლი ვიღაცას მაგონებდა, მაგრამ დიდხანს ვერ შევძელი გახსენება, სახელობრ ვის, სანამ არ შევხედე ამ დღეებში ბ. არტურ ბალფურს იმ დროს, როდესაც ის იჯდა და ლაპარაკობდა განათებულ ლამპის აბაჟურთან. ლენინს აქვს ცოტად გაგრძელებული, არა სიმეტრიული ფორმა თავის ქალასი, სასიამოვნო შავგრემანი პირისახე, რომელიც მუდამ ცვალებადათ იყურება და აქვს მხიარული ღიმილი. მას აქვს ჩვეულება ასწიოს თითებით წამწამები, ლაპარაკში პოზის დროს. შეიძლება ეს ჩვეულება მოსდგომოდეს რომელიმე მხედველობის დეფექტის გამო. ლენინი ძალიან ცოტათი გავს თავის ფოტოგრაფიულ სურათებს, რადგან მისი პირისახე მიეკუთვნება იმათ რიცხვს, რომელთა გამომეტყველებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვითონ მოხაზულობას. ის ცოტათი ხელებს აქნევს ლაპარაკის დროს და ლაპარაკობს ჩქარა ყოველნაირ პოზის გარეშე და პირდაპირ. გატაცებულია თავისი საგანით, როგორც სერიოზული მეცნიერი.

მთელი ჩვენი საუბარი ბრუნავდა ორ საგნის გარშემო. არ ვიცი რა დავარქვა: ერთი იმ კითხვათაგანი ლეიტმოტივს ეხებოდა: რა გინდა უქნათ თქვენი შეხედულობით რუსეთს? რის გაკეთება გსურთ? ის კი თავის მხრივ სულ უბრუნდებოდა მეორე კითხვას „რად არ იწყება ჯერ კიდევ სოციალური რევოლიუცია ინგლისში? „რატომ სოციალურ რევოლიუციისათვის არაფერს არ აკეთებთ?".

„რატომ არ ამხობთ კაპიტალიზმს და არ აწესებთ თქვენში კომუნისტურ წესწყობილებას"? ეს ლეიტმოტივები ყოველთვის ერთმანეთს გადაემბებოდნენ, იშლებოდნენ ერთმანეთში და ერთმანეთს აშუქებდნენ. მეორე კითხვა გვაბრუნებდა ჩვენ ყოველთვის პირველზე: რის გაკეთება შესძელით თქვენ სოციალურ რევოლიუციისათვის, შეიძლება ის ჩავთვალოთ მოგებულად? და ამას მივყავდით ჩვენ ხელახლავ მეორე კითხვაზე: „რომ ჩვენმა რევოლიუციამ გაიმარჯვოს, საჭიროა მას შეუერთდეს დასავლეთი ევროპა, რატომ ის ამას არ აკეთებს?"

1918 წლამდე მთელი მარქსისტული ქვეყანა უყურებდა სოციალურ რევოლიუციას, როგორც რაღაც ფინალურ აკორდს; მთელი ქვეყნის მუშები ერთდებიან კაპიტალიზმის დასამხობად და სამუდამო ბედნიერების შესაქმნელად. მაგრამ 1918 წელს კომუნისტები თვითონ განცვიფრებულნი, შეიქმნენ რუსეთში ხელისუფლების პატრონად და ეხლა მათ უხდებათ თავიანთი ათასი წლის სამეფო განახორციელონ. მართალია, არის ზოგიერთი დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება, ურომლისოდაც მათ ერთბაშად არ შეუძლიათ დაამკვიდრონ უკეთესი, უფრო ბედნიერი ფორმა ცხოვრებისა. ეს მიზეზებია: გაგრძელებული ომი, ბლოკადა და სხვა. მაგრამ ისინი თვითონ ცხადად ხედავენ თავიანთ მოუმზადებლობას, რომელიც განსაზღვრულია მარქსისტულ აზროვნების მეთოდებით. აუარებელ შემთხვევებში, რომელთაგანაც ზოგიერთი მე უკვე ვუჩვენე ზევით, კომუნისტებმა სრულებით არ იციან რა გააკეთონ. ჩვეულებრივ საშუალო კომუნისტს ადვილად მოუყვან გულს, როდესაც ვინმე დააეჭვებს იმაში, რომ ყველაფერი ახალ რეჟიმში კეთდება ყველაზე კარგათ და ჭკვიანური. ის მოგაგონებს ჯიუტ დიასახლისს, რომელსაც უნდა ყველა დააჯეროს ოჯახში ყველაფერი რიგზეაო, იმისდა მიუხედავად, რომ ნამდვილად უწესრიგობა სუფევს იქ. გვაგონებს, აგრეთვე უკვე დიდი ხნის დავიწყებულს სუფრაჟისტკებს, რომლებიც დაგვპირდნენ ჩვენ სააქაო სამოთხეს იმ წუთიდან, როდესაც ჩვენ განვთავისუფლდებით იმ ტირანიიდან, რომელსაც ქმნის მამაკაცების მიერ დადგენილი კანონი. ლენინმა გულწრფელად აღიარა, ამ უკანასკნელ დროს, რომ რუსეთის რევოლიუცია არის დასაწყისი უსაზღვრო ექსპერიმენტების ეპოქისა. სულ ცოტა ხნის წინად ის სწერდა შემდეგს: „ვინც აიღო თავის თავზე გიგანტიური საქმე კაპიტალიზმის მოსპობისა, უნდა გამოტყდნენ, რომ იმათ მოუხდებათ გამოსცადონ ერთი მოქმედების მეთოდი მეორეზე, სანამ ბოლოს არ მონახავენ იმ გზას, რომელიც ყველაზე უფრო ეთანხმება მათ მიზნებს და ამოცანებს."

...ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საუბარი დაიწყო კითხვიდან, დიდი ქალაქების ბედის შესახებ კომუნიზმის დროს. მინდოდა გამეგო რამდენად გრძნობს ლენინი რუსეთის ქალაქების სიკვდილს. დაცემული პეტერბურგი მიკარნახებდა იმ აზრს, რომელიც მე წინად არ მომსვლია თავში, რომ გარეგნობა და თვითონ სიცოცხლე ყველა ქალაქისა განისაზღვრება მაღაზიების ვაჭრობით და ბაზრით, და მისი განადგურების შემდეგ ცხრა მეათედი შენობებისა თითქმის ყველა ქალაქებში გადაიქცევა სრულებით უსარგებლოდ და კარგავს ყოველგვარ აზრს. ლენინი გამოტყდა თავისი ლაპარაკის დროს, რომ ქალაქები უსათუოდ შესამჩნევად მცირდებიან თავისი სიდიდით „ისინი იქნებიან სრულებით სხვა, ვიდრე ეხლა“. მე მივუთითე მას, რომ ეს საჭიროებს გიგანტიურ მუშაობას, მხედველობაში მქონდა თანამედროვე ქალაქების მოსპობა და მათ ნაცვლად ახალის გაშენება. ეკლესიებს და უზარმაზარ პეტერბურგის შენობებს ექნებათ მაშინ მნიშვნელობა მხოლოდ ისტორიული ძეგლებისა, როგორც მაგალითად ნოვგოროდის ეკლესიებს ანდა პესტუმის ტაძარს და ყველა ის, რაც შეადგენს თანამედროვე ქალაქს, გაჰქრება. ლენინი ძლიერ მხიარულად დამეთანხმა ამაში. მგონია იმას სასიამოვნოდ ეჩვენა ლაპარაკი იმ კაცთან, რომელსაც ესმის აუცილებლობა კოლექტივიზმის შედეგების. „რუსეთი უნდა სრულიად ხელახლად გარდაიქმნეს, უნდა შეიქმნეს ახალ ქვეყნად, რომელიც სრულებით არ ემსგავსება ძველს“.. „მრეწველობაც სრულიად ახლად უნდა გარდიქმნეს“ „იცით თქვენ რომ რუსეთში დაიწყეს კიდეც უკვე ელექტროფიკაცია“.

საქმე იმაშია, რომ ლენინი თუმცა უარყოფს, როგორც მართლმორწმუნე მარქსისტი ყოველგვარ „უტოპიას“, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თვითონ ჩაება ელექტრონულ უტოპიაში. ის მთელი თავისი ძალღონით უჭერს მხარს ორგანიზაციულ საქმეს რუსეთის გიგანტიურ ელექტროს სადგურისას, რომელიც უნდა მსახურობდეს მთელ მოქალაქეებს, წყალით, სინათლით და მამოძრავებელი ძალით. ის მარწმუნებდა, რომ ორი ასეთი საცდელი სადგური არსებობს კიდეც.

შეიძლება განა წარმოვიდგინოთ უფრო გაბედული პროექტი თვალუწვდენელ გაშლილ ქვეყანაზე, უსაზღვრო ტყეებით და გაუნათლებელი გლეხებით, ტეხნიკის განუვითარებლად და მომაკვდავ ვაჭრობა-მრეწველობით. ასეთი ელექტროფიკაცია არსებობს უკვე ჰოლანდიაში, ამაზე ამბობდნენ ინგლისში და შესაძლებელია რომ ისეთ მჭიდრო დასახლებულ და მრეწველობით განვითარებულ მხარეში ის დაგვირგვინდეს გამარჯვებით და სასარგებლოდ გამოდგება ეკონომიურ საქმისათვის. მაგრამ მისი წარმოდგენა რუსეთში შეიძლება მხოლოდ ძალიან მდიდარი ფანტაზიით. მე პირდაპირ არავითარი ასეთი წარმოდგენა არ შემიძლია. მაგრამ ეს პატარა კაცს კრემლში ალბათ შეუძლია. ის ხედავს გამოუსადეგარი რკინის გზა თუ როგორ იქნება შეცვლილი ელექტროთი. ხედავს თუ როგორ მოეფინება ამგვარ გზების ქსელი მთელ მხარეს და როგორ გაჩაღდება ახალი კომუნისტური მრეწველობა. ის ლაპარაკობდა ისე, რომ სანამ ვუსმენდი, თითქმის დავიჯერე ამის შესაძლებლობა. „და თქვენ გაბედავთ და დაიწყებთ ასეთ ექსპერიმენტებს იმ გლეხებზე, რომელნიც მიზდილია მიწასთან“. არა მარტო უნდა გარდიქმნეს ყველა ქალაქები არამედ უნდა გამოიცვალოს მთელი მიწის სარგებლობის უწესრიგობა.

ეხლაც თანამედროვე ხანაში, სთქვა ლენინმა, ყველა ნაყოფი სასოფლო მეურნეობისა არ იქმნება რუსეთში გლეხების მიერ. ჩვენ ზოგიერთ ადგილას გვაქვს მსხვილი სასოფლო მეურნეობა.

მთავრობამ უკვე დაიწყო მრავალ ადგილას დიდი მამულების ექსპლოატაცია მუშებით და არა გლეხებით, იქ სადაც მდგომარეობა ხელს უწყობს ამას, შეიძლება გავრცელდეს ერთ გუბერნიიდან მეორეზე. გლეხები დანარჩენ გუბერნიებისა უსწავლელნი და ეგოისტები ვერაფერს ვერ გახდებიან, სანამ არ მიაწევს მათზე რიგი.

შეიძლება მართლა ძნელი იყოს მოტეხო რუსეთის გლეხობა ერთბაშად. მაგრამ ნაწილ-ნაწილად ძალიან ადვილია. გლეხების გახსენებაზე ლენინი მომიახლოვდა და ჩამილაპარაკა კონფიდენციალურ ტონით, თითქო ეშინოდა, რომ გლეხებმა მისი პლანი არ გაიგონ. მე მას შევეკამათე, რომ არ შეიძლება მარტო ცხოვრების მატერიალურ მხარის გარდაქმნა, არამედ უნდა გარდაქმნა მთელი ხალხის ფსიქოლოგია, რუსები თავის ბუნებით არიან: ინდივიდუალისტები და ვაჭრები და თუ ააშენებ ახალ ქვეყანას, უნდა ყველაზე უწინ გარდაქმნა ხალხის სული. მაშინ ლენინმა მკითხა: ვნახე თუ არა მე ის მუშაობა, რომლითაც მივდივართ წინ? მე მოუყევი მას ჩემი შთაბეჭდილებანი ამ სფეროში და ვაქე ბევრი ჩემი ნახული, რომელმაც დიდი სიამოვნება მოჰგვარა. მისი რწმენა თავის საქმისა უსაზღვროა. „მაგრამ, ეს ხომ ყველა მარტო ესკიზებია და ნაწყვეტები“, ვკითხე მე...

„ჩამობრძანდით ხელახლავ რუსეთში ათი წლის შემდეგ და შეხედავთ რის გაკეთებას შევსძლებთ ჩვენ ამ დროში“. მიპასუხა მან.

ლენინის წყალობით მე გავიგე რომ მარქსის მიუხედავათ, კომუნიზმს შეუძლია იყოს აღმშენებლობითი და შემომქმედი. ჩემი საუბრის შემდეგ კლასობრივ ბრძოლის ფანატიკოსთან, ვიწრო კმაყოფილი მართლმორწმუნე მარქსისტების შეხედვის შემდეგ, ჩემთვის პირდაპირ დასვენება იყო, მელაპარაკა ამ არაჩვეულებრივ პატარა კაცთან, რომელიც გულახდილად აღიარებდა ყველა უდიდეს სიძნელეს და ამოცანის სირთულეს, რომელიც სდგას კომუნიზმის წინაშე.

ლენინს უნდოდა მოესმინა ჩემგან, რაც შეიძლება მეტი შთაბეჭდილებანი რუსეთზე. მე ვუთხარ მას, რომ ბევრ შემთხვევაში კომუნიზმი გადაჭარბებით ჩქარობს და ანგრევს ვიდრე ის ახალს აშენებს. ყველაზე ნათლად ეს მოსჩანს პეტერბურგის კომუნაში. იქ საყაჭროები მოსპეს, სანამ შექმნიდნენ ახალ სავაჭრო სისტემას. კოოპერატივები დაანგრიეს მის ნაცვლათ, რომ ისინი გამოეყენებინათ. ამან მიგვიყვანა ჩვენ ერთმანეთის ძირითად საკითხების დაშორებამდე, განსხვავება ევოლიუციურ კოლექტივის და მარქსიზმს შორის. კითხვა მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა თუ არა საერთოდ სოციალური რევოლიუცია? არის თუ არა საჭირო საბოლოოდ მოვსპოთ არსებული ეკონომიური წესწყობილება მაშინ, როდესაც ახალის აღდგენა არ შეიძლება.

მე მწამს ამ სისტემით საზოგადოების აღზრდა, არსებული კაპიტალისტური წესწყობილება შეიძლება ცივილიზაციით გარდიქმნეს კოლექტივისტურად, მაშინ როდესაც ლენინმა დიდი ხანია მიიღო მარქსისტული დოგმატები, კლასიური ბრძოლის აუცილებლობისათვის. დაჯერება მისი, რომ კაპიტალიზმის დაცემა არის მხოლოდ პრელიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფულის რეფორმა




სახალხო საფინანსო კომისრის მოადგილე ნ. პ. ბრიუხანოვი სინჯავს ახლად მოჭრილს ვერცხლის ფულს. მარცხნით მანეთიანი, ათშაურიანი, აბაზიანი, სამშაურიანი და ორშაურიანი.

დია პროლეტარიატის დიქტატურის და სხვა. ამისთვის ის იძულებული იყო, ესაყვედურა ჩემთვის, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი ისეთი გაუმაძღარია და ხარბი, რომ არ შეიძლება რამე ასწავლო მას. მანამ ის არ იქნება დამხობილი, განაგრძობს უმიზნოდ კაცობრიობის კეთილდღეობის გაფანტვას.

გამოვტყდები, რომ ჩემთვის ძალიან ძნელი იყო მასთან კამათი. მან უეცრად მაჩვენა ახალი წიგნი კლოცამონეის „ნაციონალიზმის ტრიუმფი", რომელსაც ჩემი შეტყობით ის სწავლობდა დიდი ყურადღებით „ხედავთ თქვენ, როგორც კი აღმოცენდება რაიმე ყველასათვის სასარგებლო კოლექტიური ორგანიზაცია, კაპიტალისტები მას იმ წამშივე ანგრევენ- აკი იმათ მოსპეს თქვენი ნაციონალური ვერფი, ისინი არ გაძლევენ თქვენ საშუალებას ქვანახშირის მაღაროებს ექსპლოტაცია გაუწიოთ". მან დაარტყა ხელი წიგნს „ყველა ამას თქვენ ნახავთ ამ წიგნში". სანამ მე ველაპარაკებოდი, რომ ომი გამომდინარეობს ნაციონალურ იმპერიალიზმიდან და სრულებით არა კაპიტალისტურ წესწყობილებიდან, მან უეცრად მკითხა: „რას ფიქრობთ თქვენ ახალ რესპუბლიკანურ იმპერიალიზმზე, რომელიც მოდის ჩვენთან ამერიკიდან". აქ. ბ. როტშტეინი ჩაერია ჩვენ ლაპარაკში, გაუკეთა რამოდენიმე შენიშვნა ლენინს რუსულ ენაზე, მაგრამ ლენინმა არ მიაქცია ყურადღება.

ყოველგვარ დიპლომატიურ თავშეუკავებლობით, რომელსაც ხშირად ახსენებდა ბ. როტშტეინი, ლენინმა დაიწყო ჩემთან თავის პროექტის გადაშლა, რომლითაც ერთ ამერიკელს უნდოდა გაეკვირებინა მოსკოვის მთავრობა. ამ პროექტში შედიოდა სასურსათო დახმარება და საბჭოთა მთავრობის ცნობა, თავდაცვითი ხელშეკრულება წინააღმდეგ იაპონიის ციმბირის აგრესიულ გადაწყვეტილებისა, დაარსება აღმოსავლეთ აზიის სანაპიროებზე ამერიკის საზღვაო სადგურებისა და გრძელვადიანი კონცესიები ექვსი ან ხუთი წლიანი კამჩატკაში და შეიძლება აზიის რუსეთის სხვა და სხვა ადგილებშიაც. ეს ყველა ქვეყნიერების სასარგებლოთაა მიმართული? არის ეს განა სხვა რამ თუ არა ახალ ქვეყნების შერყევა? მოეწონება ამგვარი გეგმა ბრიტანეთის იმპერიალიზმს? ლენინი სულ იმეორებდა კაპიტალიზმი იბრძვის და ეწევა კონკურენციას, ის გვევლინება კოლექტიურ მოღვაწეობის ანტიტეზად, მათგან არ შეიძლება განვითარდეს არც საზოგადოებრივი, არც მსოფლიოს ერთობა. მე შევეკითხე: საჭიროა მაინც რომელიმე სამრეწველო ხელისუფლება მოვიდეს რუსეთის დასახმარებლად. მას არ შეუძლია აღდგეს დაუხმარებლად. ჩვენი საუბარი გათავდა გაურკვევლად. ჩვენ მეგობრულად დავემშვიდობეთ, რის შემდეგ მე და ჩემი თანამგზავრი გამოგვიყვანეს კრემლიდან„ისეთივე სიბრთხილით, როგორითაც შიგ შეგვიყვანეს.

„ის საკვირველი ადამიანია", სთქვა ბ. როტშტეინმა „მაგრამ მისი მხრივ ეს იყო მეტათ უტაქტიკო".

მე ლაპარაკის სურვილი არ მქონდა, მივდიოდით ჩვენს სასტუმროსაკენ, ოქროსფრად ბრწყინვალე ხეების ქვეშ, რომლებიც იზრდებოდნენ ძველ კრემლის ორმოს ახლოს; მინდოდა მეფიქრა ლენინზე, სანამ მისი სახე ჩემ წარმოდგენაში არ დაკარგავდა თავის სიახლეს და როტშტეინის კომენტარიებს მე სრულებით არ ვსაჭიროებდი, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა მგზავრობის დროს ლაპარაკს.

შემეხვეწა არაფერი მეთქვა ბ. ვადერლიპისთვის რუსეთ-ამერიკის ლენინის გეგმის შესახებ, რომელმაც წინდაუხედავად აღიარა ჩემთან. ჩვენ დავბრუნდით სოფიის სანაპიროზე № 17 და ვისაუზმეთ ბ. ვადერლიპთან და ახალგაზრდა ინგლისელ მოქანდაკესთან ერთად. ჩვენ გვემსახურებოდა მოხუცი ლაქია, რომელიც მოწყენით უყურებდა ჩვენს მცირე საუზმეს და იგონებდა ძველ დიდებულთა სახლებს, სადაც ოდესღაც იყო სტუმრათ კარუზ და მღეროდა ბრწყინვალე აუდიტორიის წინაშე. ბ. ვადერლიპი აპირებდა საუზმის შემდეგ დიდი ბაზრის დათვალიერებას და საღამოს ბალეტზე წასვლას. მაგრამ მე ჩემი შვილით გადავწყვიტე იმ დღესვე დავბრუნებულიყავ პეტერბურგში, რომ თავის დროზე რეველში სტოკგოლმის გემზე მოვხვედროდი.

# ვაჟა-ფშაველა.

(მოგონება).

ძვირფასი ვაჟა, როგორც ჩვენი ხალხის გაუტეხელი მხნეობის საუცხოვო გამომხატველი და ჩვენი სამშობლო პოეზიის ღრმა მესაიდუმლე, ისე როგორც მთის შვილი დიდათ მოყვარული ამ მთისა, თავის თავს დიდ ვაჟკაცად სთვლიდა და ედარებოდა იმ გმირებს, რომელთაც აქებდა ლექსებში ვაჟკაცობისათვის ფშავ-ხევსურეთის ხალხი. ამიტომ იყო ვაჟა თავის ნების-ყოფის კაცი, მაგარი მკლავისა, ღონისა და თავზარდამცემი ყველა მისი ვინც კი მის პიროვნებას და სილაღეს შეეხებოდა. არა ერთი დამამტკიცებელი საბუთებია ამისი მის ცხოვრებაში. ავიღოთ თუნდ „ტყის მცველობა" თიანეთის მაზრაში როდესაც სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ ნიკოლოზის დროს, მოინდომა ფშავ-ხევსურეთის ტყე-ველი და ვაჟას აბანოს წყალი დაექვემდებარებინა თიანეთის მაზრისათვის. ვაჟამ იუკადრისა, წერილობითი პროტესტი გაუგზავნა სახელ. ქონ. სამმართველოს და ჩქარავე თან დააყოლა თემის კრებაზე გამოტანილი განაჩენი, რომელშიაც ხალხი ფშავეთის ტყე-ველს აღიარებდა სხვა და სხვა გვარეულობის საკუთრებად და არა რუსეთის სახელმწიფოს ქონებად. ამ ამბავმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია ხსენებულ სამმართველოში.

ვაჟა ჩასთვალეს ხალხის ამბოხებელათ. ამ დამოუკიდებლობამ კარგა ხანს გასტანა. საქმე სამჯავრომდის მივიდა, ვაჟა მედგრათ იდგა და ძველი სიგელებით სცდილობდა დაემტკიცებინა თავისი ნათქვამი, მაგრამ ვერც ძველმა მთავრობამ მიაღწია მიზანს მის ჩქარა დამხობის გამო და ვერც თვით პატივცემული ვაჟა შეესწრო განთავისუფლებულ თავის საყვარელ ტყე-ველს. ვაჟა თავის ნათქვამზე მტკიცეთ იდგა და განაჩენის ძალით ხალხსაც ამაგრებდა, ვაი იმის ბრალი ვინც „ტყის მცველებს" დაუახლოვდებოდა ჯარიმის შემდეგ ის თემიდან უნდა გამორიცხულიყო.

ერთხელ ვაჟას მოგვარეს „ტყის მცველთან" სახლის მასალის მოჭრის ნებართვა მოეტანა. ვაჟამ გაიგო ეს ამბავი, დაიბარა ეს ვაჟბატონი და როცა უკანასკნელი, რომელიც ჯერ მალავდა თავის საქციელს და შემდეგ კი გამოტყდა, შემოუქნია ხმალი და რომ ფშაველი სწრაფათ არ გადამხტარიყო გვერდზე შუაზე გააპობდა. ამავე დროს „ტყის ადმინისტრაცია" სცდილობდა ვაჟას პრესტიჟის დაცემას, ხალხში ავრცელებდა სხვა და სხვა პროვოკაციულ ხმებს ვაჟაზე, მემამულეობა უნდა, თქვენ გატყუილებთო და სხვა... რასაკვირველია ბრთხილი ფშაველი ამ ანკესებზე, მით უმეტეს ვაჟას წინააღმდეგ, არ წამოეგებოდა თუ ნაძირალა ვინმე არა, რომელთაც ვაჟა სხვანაირად უსწორდებოდა.

ერთხელ მისმა მეზობელმა ფშაველმა, რომელიც არც სახლისათვის იყო და არც კარისათვის გადმოდგა და დაუწყო გინება ვაჟას, თქვენმა საქონელმა ყანა დაგვილიაო. მას არა თუ თავისი ყანა არა ჰქონდა, სხვისიც კი არ დაუმუშავებია. ვაჟამ უპასუხოთ გამოიღო თოფი და გაუშვა ტყვია „ძაღლი მარტო ამის ღირსიაო" სთქვა და ამოაყირავა ფშაველი. ბოლოს აღმოჩნდა, რომ იგი შიშით წაქცეულიყო, მარტო ყელში აღმოჩნდა ტყვიისგან განაკარწი.

ათს მკათათვეს ს. ხახმატში (ხევსურთ სოფელია) იცის დღეობა „ათენგენობა". აქ იკრიბებიან როგორც პირ-აქეთა ისე პირ-იქითა ხევსურები. ამ დღეობისათვის მზადდება საკმაო არაყი, ლუდი და სხვა... ახალ მიცვალებულების პატრონებს კი მოტანილი აქვთ სანიშნოთ და დო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღისათვის სხვა და სხვა საჩუქრები მკვდრის მოსაგონათ და მოსახსენებლათ, ხალიჩა, ფარდაგი, ძროხა, ცხვარი, თხა, ხურჯინი, თოფრა და სხვა... მიიღებს ის ვინც ნიშანში მოარტყავს ტყვიას და ან დოღში გაიმარჯვებს. ვაჟა ამისთანა დღეობას, რომ არ დასწრებოდა შეუძლებელი იყო, კარგი ცხენების შენახვაც უყვარდა, ჰყვანდა მას ცხენები საჯდომი (იორღა) და მარბელარიც (სადოღო) ამ დღეობისათვის.

თანახმათ ჩვენი წინასწარ გადაწყვეტილებისა შეუარე ფასანაურიდან ვაჟას. ჯერ ისევ დღე იყო ჩარგალში რომ ავედი, ვაჟა თავის სახლის წინ ბოსტანში მწვანილს მარგლავდა, დანახვისთანავე დამიყვირა „ჩაავ ვეფხვო! კარგი თოხარიკი გიშოვიაო“ აათვალიერ ჩაათვალიერა ცხენი და გაატანა ბიჭს ბალახზე დასაბმელათ. „კარგ დროს მოხვედი შენ არ მომიკვდე, ისეთი პანტის არაყი მაქვს რომ შენი მოწონებულიო“ და დაუძახა დედაკაცს: „დედაკაცო საუკეთესო სტუმარი გვეწვია ნამგზავრს პური ეშიებაო...“. ბოდიში მოვიხადე ნუ სწუხდებით, მალაროს კარს ვისაუზმე ჯერ ადრეა მეთქი. ჯერ სიტყვა არ დამემთავრებინა, რომ წამოიყვირა ვაჟამ: „წყალი შესწყდა, ალბათ მთაში ზვავი ჩამოვიდაო“... ნაწვიმარი იყო და წყალი საგრძნობლად დიდი მოდიოდა. სულ ნახევარი საათი არ იქნებოდა, რაც ამ წყალში ჩემი ცხენით დახრამულ სანაპიროს ამოვხტით, ეხლა კი რომ გავიხედე, რიყეს ხალხი დასეოდა და გაფაციცებული კალმახს დაეძებდა. ჩავედით ჩვენც. ვაჟამ გუბეებში დაუწყო თევზს ძებნა, შემდეგ თვალიდან სადღაც გაჰქრა, ჩვენ საკმარისად ავკრიფეთ მშრალ რიყეზე კალმახი. პატარა ხნის შემდეგ მთიდან მოგვესმა საშინელი გრიალი, ვაჟაც გამოჩნდა, სიცილით მოდის, დაგვიახლოვდა თუ არა დაგვიყვირა „ლაჩრებო, მონადირენი თუ ხართ? ნადირობა ესეთი უნდაო“ და გადმოაგდო მწვახეზე ზურგიდან ოცდა თხუთმეტ გირვანქიანი ორაგული. მთის გრიალს ჩქარა წყალიც მოჰყვა, ვაჟას შეეშინდა ნათესი არ წაგვილეკოსო და გაიქცა სახლში თოხის გამოსატანათ, ჩადგა წყალში და უკვლევდა წყალს გზას, რომ მის ბოსტნის ყორე არ დაენგრია. უკვე დაღამდა. ვაჟამ შემიპატიჟა თავის სამუშაო ოთახში, რომელიც წარმოადგენდა პატარა ერთ ფანჯრიან ოთახს, მარჯვნივ სდგას უშნო უბრალო ფიცრის ტახტი ქეჩა გადაფარებული და ერთი მუთაქა. პირდაპირ ბუხრის გვერდზე სდგას სამფეხა პატარა მტვრიანი მაგიდა, მეოთხე ფეხის მაგიერ შეწყობილია აგურების ნამტვრევები, მაგიდაზე აწყვია რამდენიმე წიგნი და ჟურნალგაზეთები და საწერ კალამი. საოჯახო ოთახის გასავალ კარებთან კუნჭულში, სდგას დიდი მოწნული კალათი თიხის ჰურჰლით, რომელიც პანტის არაყით იყო სავსე. იმ ღამეს კარგი დრო გავატარეთ. მეორე დღეს კი ადრე გავემგზავრენით ს. ხახმატში. სწორედ იმ დროს, რომ ხალხი სუფრაზედ იმართებოდა მივედით. დაგვინახეს თუ არა ხევსურნი მაშინვე ჩვენსკენ წამოვიდნენ.

— „ვაჟაის გამარჯვება, როგორ ხართ, კაცით, საქონლით, მანდილიანით. მტერს ხომ არ შეუწუხებიხართო და სხვა...“

„მე რა გამიჭირდება თუ თქვენ კარგათ მეყოლებით“, უპასუხა ვაჟამ.

ნურა გაგიჭირვდეს, ნურც მთაჩია ნურც ბარჩიგაო, კვლავ უპასუხეს ხევსურთ. „ვაჟაის რაი გაუჭირდება“, დაუმატეს სხვებმა. შეგვიპატიჟეს საფეხნოში. აქ გაიმართა საუბარი საერთოდ საქართველოზე და ქართველი ხალხის ცხოვრებაზე. ჩქარა მიგვიპატიჟეს სუფრაზე, გაგვიმასპინძლდენ, როგორც კი შეიძლებოდა, „შევსვით მრავალნი ლუდნი და არაყნი“, შემდეგ გაიმართა ნიშანში სროლა, ყმაწვილების გასროლილი თოფის ხმა კანტი-კუნტათ ისმოდა. ვაჟას პატივსაცემათ ყმაწვილებმა უკან დაიწიეს და სანიშნოსთან უფროსნი წარსდგნენ. ვაჟას აუხსნეს ნიშნის სივრცე, რგოლების მნიშვნელობა და რომელი ნიშანი რა საჩუქრით ჯილდოვდებოდა. ყველამ თოფები მოიმარჯვეს, დააწყებინეს ჩახმახებს ჩხაკა-ჩხუკი. ვაჟამაც საბუდრიდან ამოიღო ამ დროსთვის გაწმენდილი თოფი.

დაიწყეს თოფის სროლა. ხევსურნი საერთოდ დიდი თუ პატარა თოფს კარგათ ისვრიან, მაგრამ არც ვაჟა გამოდგა ნაკლები მსროლელი. თითეული გასროლილ ტყვიის შედეგზე ნიშანთან დაყენებული კაცები აძლევენ ცნობებს. ესროლა ვაჟამაც და პირველივე ტყვია მოახვედრა ნიშანს: მენიშნემაც ამცნო მსროლელთ, რომ ტყვია მოხვედრილიაო, ვაჟას ეს არ ეუცხოვა, მიუხედავათ იმისა, რომ ხევსურთ შეექნათ ლაპარაკი და ქება მისი. მხოლოდ ვაჟამ ერთი სთქვა: „ბიჭმა იცისო“. რამდენჯერმე ესროლა ვაჟამ. მაგრამ არც ერთი არ აუცდენია, შეეჯიბრა ერთი პირ-იქითელი ხევსური ს. მუცოდან. ვაჟამ იუკადრისა და თავხედ ხევსურს დაუდო სანაძლეო „ცხენი ცხენზედაო“. ესე იგი ვინც დასმულ ნიშანს ვერ გაარტყავდა ცხენზედ ხელი უნდა აეღო. გამოაძრო ცხენის ავშარას ჩაჩანაკის რგოლი და უთხრა:

„ამ რგოლში ვინც ტყვიას გააძვრენს ის მოგებული იქნებაო“, მაგრამ ხევსურმა ეს ველარ გაბედა. გაჩნდა დოღი, წავიდა ვაჟაც, მიუხედავად ვაჟას ბაჩა ცხენისა მაინც ვაჟა აქაც მოგებული დარჩა, აღარ მახსოვს მეორედ თუ მესამედ მოვიდა იმ დროს, როცა მეხუთე ცხენიც იღებდა საჩუქარს.

თიანეთის მაზრაში ვინც კი იცნობდა ვაჟას ჩხუბს ვერავინ გაუბედავდა. ჭიდაობაც კარგი იცოდა. ერთხელ უთხრეს ვაჟას უკანა ფშავის დიაკვანზე. კარგი მოჭიდავეა, გლდანელთან მოჭიდავე ზემო თიანელ ტონესთან ბევრჯელ უჭიდავნია და ვერ წაუქცევიათო. ვაჟამ გაიცინა და უთხრა: მართალია ეგ თქვენი დიდი მხეცია (დიაკვანიც იქვე იდგა), მაგრამ ბევრს არას მოვთხოვ, რამდენჯერაც დავცე იმდენი აბაზი ამოიღოსო, თუ არა და ჩარგლის დუქანში ქეიფი ჩემი ხარჯი იყოსო. დიაკვანს ჩარგლის დუქანის ღვინის გემომ წასძლია და დარწმუნებული, რომ ვაჟა მას ვერ გაუძლებდა ღიმილით გავიდა ველზე, ვაჟამ გაიძრო ფეხიდან ჩუსტები, დაავლო ხელი ამ მხეცს და ელვის სისწრაფით გაშალა მწვანეზე. მაყურებელთა სიხარულის სიცილს საზღვარი არა ჰქონდა, „ეგ ერთი აბაზიო“ დაატანა ვაჟამ. დიაკვანი ამბობს: ფეხი გამიცურდა ბალახზეო. იმანაც გაიხადა ჩუსტები და ხელ მეორედ ეკვეთნენ მოჭიდავენი ერთმანეთს. ეხლა კი ეტყობათ, რომ ერთმანეთის დაძალვა ძნელი იყო, მაგრამ ისევ შუა სარმით ამოაპირქვევა ძლიერი მოჭიდავე. ვითომ აქ არაფერი ამბავიაო, სთხოვს ხალხს, „ჩავიაროთ ჩარგლის წყალზე და თუ აქვს ღვინო იმ „ავაზაკს ფარსაშვილს გადავკრათო“, ხალხს კი ჯერ სიცილით გული ვერ მოებრუნებინა.

ფშავეთი იწყობა მაღაროსკარის საზოგადოებიდან ს. თვალივიდან ორ-წყლამდე. აქ უკანა ფშავეთის არაგვს ერთვის ხევსურეთის წყალი, აქედან კი იწყება ხევსურეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ანატორიის აკლდამამდე, (საზღვარია ქისტებისა), ამ აკლდამების ზევით მთაზედ ხევსურები ლოცულობენ თავიანთ ხატს, ანატორიის წმ. გიორგის სახელით. ეს მთა ჰყობს პირ-იქითა ხევსურეთს შატილის ხეობას არდოტის ხეობიდან. ამ მთაზე იცის მრავალი ჯიხვი და ირემი სადაც ვაჟა-ფშაველას არა ერთხელ უვლია აქ სანადიროდ თავის მეგობარ ჭონქარა ჭინჭარაულთან ერთად, ხოცდნენ ნადირს და ნანადირევს აჰკიდებდნენ ჭონქარას ჯორაკას. ჭონქარა დიდი მეგობარი იყო ვაჟასი, მიუხედავათ იმისა, რომ ის სცხოვრობდა პირ-იქით ს. კისტანს (შატილის საზოგადოებაში). კვირაში ერთხელ თუ არა თვეში ორჯერ მაინც უნდა ჩასულიყო ვაჟასთან, ესაუბრა მასთან საქართველოზედ, რაც საერთოდ ხევსურს ძლიერ აინტერესებს. მით უმეტესს რუს-იაპონიის ომის დროს, ჭონქარა მისი ხშირი სტუმარი იყო. იმ დროს ხევსურთ ქისტეთში გავრცელდა ხმა: „რუსობა აღარ არისო, დალია იაპონიის ტყვიამაო“ და სხვა... დაიწყო ქისტების მიერ თავდაცემა ხევსურ-ფშაველთზე და თუშეთზედ. ქისტებმა შემოუთვალეს ფ[შ]ავ-ხევსურეთს: „კომლზედ სამ სამი ცხვარი უნდა იხადოთ კულუხად ჩვენს სასარგებლოთ წელიწადშიო, თუ მუდამ დაწიოკება არ გინდათო. ამაზედ ისედაც აღელვებულმა, ჭონქარამ ლექსი დასწერა და გამოუგზავნა ვაჟას და თან დააყოლა: „თოფის პატრონებზე იზრუნეო“.

უკანასკნელად ვაჟა ვინახულე ივლისის 16-ში 1915 წ. საავადმყოფოში, იგი სავარძელში იწვა და ძალა მიხდილს ბუზები ველარ მოეგერებინა, გაეხარდა რომ დამინახა. ბევრი მელაპარაკა მთაზე და თავის ოჯახზე. ნატრობდა ფშავში ყოფნას და იქაურ ცივს მჟავე წყალს. ჯავრობდა, რომ „ამ დრომდე სოფელში ვერ წამიყვანეს სადაც უთუოდ კარგად გავხდებოდიო“. საჭმელზედ რომ შევეკითხე რა გესიამოვნება მეთქი მითხრა: „მხოლოთ ცივს აღდაშის საზამთროს შევსჭამდი, რომ იყოსო“. მაშინვე გამოვიქეცი ვიყიდე საზამთრო, საყინულეში გავაციებინე და ისე ავიტანე. მომვლელი ქალი გაჯავრდა საზამთროს ჭამა აკრძალული აქვსო. ვაჟამ გადახედა მკაცრი თვალებით „ამას ვინ ჰკითხავს, გასჭერი, შენი კურთხეულის ხელით და მომაწოდეო“ გავსჭერი მივაწოდე ერთი ნაჭერი, იამა, გემრიელათ შესჭამა, მოუჭერი მეორე, მაგრამ უარი მითხრა მაგას „მერე შევჭამო“. შევატყე დაღლილობა, თვალებიც ეხუჭებოდა და გამოვეთხოვე. თურმე ეს გამოთხოვება პირველი და უკანასკნელი ყოფილიყო.

**კონს. კავკასიძე.**

# მ ე

ჩემი მისწრაფება უსაზღვროა, მიზანი დიდი. მე უნდა გადავლახო ეს უდაბნო და აფრიკის ცხელი მზით—გაელვარებულ ქვიშნარში გავდო გზა და ხიდი.

მიზანი ჩემი დიდია, მისწრაფება უსაზღვრო!.. მე არ ვარ უიარაღო. ჩემს მკერდში ერთი მუჭა გულის ნაცვლად, ვულკანი ფეთქს! ჩემს სხეულში ძარღვებისა და არტერიების მაგიერ ღრმა არხებია გაყვანილი და შიგ მონავარდე ელექტროს ჩქერს მთელი ქვეყანა მოჰყავს მოძრაობაში.

მე არ ვგრძნობ თავს ამაოებაში! ჩემს გარშემო სიცოცხლეა—სიცოცხლე ლამაზი და ძვალ-მაგარი. მე მახალისებს ის და მზე მომავალი ჩემს სულში ანთებს კოცონს სიყვარულისას...

მიზანი ჩემი დიდია... მისწრაფება უსაზღვრო... დღეს უდაბნო უნდა გადავლახო... ქარავანი მზათაა: მივემგზავრები... მარტო ვარ, მაგრამ გმირი ვარ... ერთი ვარ, მაგრამ მასსა ვარ. და მივდივარ წინ, არ მეშინია, რადგან ვიცი: გამარჯვება ჩემია.

ვიღაცა ბნელ ღამეში ზვიად უდაბნოს აშლილ ქვიშნარის კორიანტელში ყრუდ ხითხითებს: ვერ მოხვალ ჯერ. ვერ მოხვალ ჯერ. მოვაჯექ გადაფრენილ ხმებს... გადავეყრდნე რკინის ყავარჯენს და თვით მე ჩემში შეყვარებულმა; ჩემი ძალღონით აღფრთოვანებულმა; პასუხი გავე ხვეულებში ყრუდ მოხარხარეს:

მე მეკუთვნის ყველა ეს მხარე: ეს ქალაქები და სოფლები, ეს სასახლეები და მაღაროები, ეს ოაზისი და ეს უდაბნოც... ჩემია ყველა ეს და მე ვარ მეფე—მეფე მთელი მსოფლიოს, მთელი ნივთიერების და შორს შენ ჩემგან – ბნელ ხვეულებში მოფორიაქე... შენ ვერ შესძლებ: ჩემი ოცნების გაცამტვერებას, ჩემი მიზნების გამასხარებას... მე შენს ნიაგარს, რომელიც ეხლა აი, ამ წუთში ცდილობს თავი წამოყოს, რომ ქვიშნარის კორიანტელში გზა დამიკარგოს მე ერთი სულის შებერვით დავახჩობ და... ჩემს ქარავანს, ჩემს მზეს და ოცნებას დაუბრკოლებლივ მივიყვან დანიშნულ ადგილს.

ჩემი მისწრაფება უსაზღვროა, მიზანი დიდი. მე დღეს ეს უდაბნო უნდა გადავლახო, რომ მზე—ბივრიტი იქ მწვერვალზე ეგრე რო ბრწყინავს და ანთებს ვარსკვლავს სიყვარულისას მალე დავკოცნო. და ვნახო იგი.

მე მარტო ვარ, მაგრამ გმირი ვარ... მე მარტო ვარ, მაგრამ მასსა ვარ. მივქრივარ წინ და არც მეშინია რადგან ვიცი: **გამარჯვება ჩემია.**

**პეტრე სამსონიძე.**

# კ. ლიბკნეხტის და როზა ლუქსემბურგის მკვლელობა.

15 იანვარი 1919 წ. შავს ასოებით აღიბეჭდება სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. ამ დღეს ბერლინში მხეცურად მოჰკლეს მსროლელ ცხენოსან გვარდიის დივიზიის ოფიცრებმა ამხანაგები: როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი.

სოციალ-დემოკრატი არტურ ციკლერი, ამჟამად სტინესის თანამშრომელი, იანვრის აჯანყების შემდეგ ათავსებს „ფორვერტს“-ში სამ სტრიქონიან ლექსს:

მრავალი ათასობით პროლეტარები არიან ერთს რიგში,

მაგრამ კარლ, როზა, რადეკი და კომპანია მათ შორის არ არიან!...

განა ეს ლექსი არ იყო მოწოდება მკვლელობის მოსახდენად?

სოციალ-დემოკრატიული სახალხო რწმუნებულთა საბჭო „შეიდემანის მეთაურობით“ ნებას აძლევს ბერლინის

ეროვნული ბიბლიოთეკა



კ. ლიბკნეხტი



როზა ლუქსემბურგი

ქუჩებზე გაეკრათ პლაკატები, რითაც აშკარად მოუწოდებდენ ორ კომუნისტ ბელადის მოკვლას.

იმავე სოციალ-დემოკრატიულმა სახალხო რწმუნებულთა საბჭომ მოათავსა სასტუმრო „ედენში“, სადაც ცხოვრობდა რ. ლუქსემბურგი, შტაბი მსროლელ ცხენოსან გვარდიის დივიზიისა. არავითარ კაზუისტიკით არ შეიძლება იმათი მოქმედების გამართლება.

1919 წელს, იანვრის დასაწყისში, როზა მუშაობდა „როტე ფანეს“ რედაქციაში, ლიბკნეხტი კი დადიოდა ყრილობებზე, მოუწოდებდა მასსას საბრძოლველად გაძლიერებულ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იცოდა, რომ მკვლელები ყოველ მხრივ ჯაშუშობდნენ და ცდილობდნენ ლიბკნეხტის და ლუქსემბურგის მომწყვდევას. ც. კ.-ამ აიძულა, რომ ისინი დროებით წასულიყვნენ ბერლინიდან. ამ დროს უკვე დატყვევებული იყო ლეო იოგინესი, კარლი და როზა კი არა ლეგალურ მუშაობას ეწეოდნენ. კერძო ბინებზე ჰმართავდნენ სხდომებს ც. კ.-ისას. მაგრამ ამხანაგების ყრილობა ამ გვარ ბინაზე დიდხანს ვერ დარჩებოდა შეუმჩნეველი, ბინას მალმალ იცვლიდნენ.

კარლი და როზა გადავიდენ ნეიკლებნში კერძო სახლში, იქაც მიაქციეს ყურადღება; დაიწყო ჩხრეკა. ორივ ამხანაგი გადაყვანილ იქმნენ 14 იანვარს საღამოთი ერთ მეგობრის ოჯახში, ბერლინის ვესტენის მდიდარ კვარტალში იმ იმედით, რომ შეძლებულთა სახლებში ჩხრეკა არ იქნებოდა. მაგრამ აქაც გამარჯვებით დამთვრალი თეთრგვარდიელები მოსვენებას არ აძლევდნენ. პატრულები აჩერებდენ და ჩხრეკავდენ მეეტლეებს და ავტომობილებს. ბინაში სცხოვრობდენ რეაქციონურად განწყობილი მდგმურები. ბინის საჩქარო გამოცვლა აუცილებელი იყო. ამ სტრიქონების დამწერმა ვეცადე მეშოვა უცხოელის დოკუმენტები რათა ჩვენს ამხანაგებს შესძლებოდათ გაჩხრეკის დროს თავიანთი თავი უცხოელებად წარედგინათ.

15-ს იანვარს, საღამოს 9 საათზე, მათ ბინაზე საბუთებით ჯიბეში, ჯარის-კაცმა გამიღო კარი და მეც დამატუსაღა. ბინა დაკავებული იყო სამხედრო პირებით. კარლი უკვე წაყვანილი იყო. როზა არ წაეყვანათ. ის იწვა ქვეშაგებში ავადმყოფი. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, როგორ გაიგეს თეთრ-გვარდიელებმა ამხანაგების საცხოვრებელი ბინა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ჯარის-კაცები დაბრუნდენ, გაჩხრიკეს მთელი ბინა და მოითხოვეს, რომ როზა ამდგარიყო და მათ წაჰყოლოდა.

გამოუცხადეს, რომ ის როზა ლუქსემბურგია, დაჭერილი კი მისი ამხანაგი კარლ ლიბკნეხტი! როზამ უთხრა „კამათს არ დაგიწყებთო.!“ მეც წინადადება მომცეს გავყოლოდი. ბინის ახლოს ქუჩაზე, ავტომობილი იდგა. ჩაგვსვეს და მე და როზა წაგვიყვანეს რამოდენიმე შეიარაღებულ ჯარის-კაცის თანხლებით. რამდენიმე ხნის შემდეგ, ავტომობილი გაჩერდა კურფიურსტენდამში, სასტუმრო ედენის წინ, სადაც მიყვანილ იყო კარლ ლიბკნეხტი. მთვრალ ოფიცრებისა და მათგან წაქეზებულ ჯარის-კაცების წრეში გაგვატარეს. ოფიცრები საზიზღრად იქცეოდენ როზა ლუქსემბურგის მიმართ. პირველ სართულში სადაც იყო უფროსის ოთახი, იგი პოლკოვნიკ პაპსტას წარუდგინეს. მე გამაჩერეს დერეფანში და მესმოდა, როგორ აქეზებდნენ ოფიცრები ჯარის-კაცებს მოსაკლავად. რამოდენიმე წუთის შემდეგ მეც ამიყვანეს პირველ სართულში და მაიძულეს დერეფანში პირით კედლისკენ დადგომა. რამდენიმე ხნის შემდეგ პოლკოვნიკ პაპსტას ოთახიდან კარლ ლიბკნეხტი გაიყვანეს. ჰოტელის ბურჟუაზიული მცხოვრებნი: ქალი და კაცი კარლს შეურაცყოფდნენ. ასევე შეურაცხყოფდნენ როზა ლუქსემბურგს. რამოდენიმე წუთის შემდეგ გავიგონე დაბლა ხმაურობა და ვიგრძენ, რომ რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო. ჩემს თავზე ალარაფერს ვზრუნავდი. ჯარის-კაცებმა უბრძანეს სასტუმროს მცხოვრებთ დაშლილიყვნენ და თავიანთ ოთახებში შესულიყვნენ. ჩამოვარდა სრული სიჩუმე. მოვიდა ოფიცერი ჯარის-კაცით, აღელვებულს თვალები მხეცურათ უბრწყინავდა, მიბრძანა ხელ-ახლად კედლისკენ პირი მიმებრუნებინა. ვიფიქრე: ეხლა კი მოკვლას მიპირებენ-მეთქი. ოფიცერთან მოსული ჯარის კაცი, როგორც შემდეგ გამოირკვა, იყო ეგერი რუნგე, რომელიც შემდეგ გამოტყდა: კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი მე მოვკალიო. ლეიტენანტ კრულემ უბრძანა ჩემი დახვრეტაც. გავლის დროს პოლკოვნიკ პაპსტას ოთახში შევვარდი და მოვითხოვე დაკითხვა და სიცოცხლის შენარჩუნება. ყალბი საბუთების საშუალებით შევძელ ოფიცრების გაბათილება. გადამგზავნეს ყაზარმაში, იქ ერთი ღამე გავათენე. შემდეგ ერთ ციხიდან მეორე ციხეში გადაყვანის დროს შევძელ გაქცევა. 14 მაისს, 1919 წელს, სამხედრო სასამართლოში, ყოველგვარ ცდის მიუხედავად დაემალათ სინამდვილე, გამოაშკარავდა:

ეგერი რუნგე მოიხმარეს ბრმა იარაღად. ის დასთანხმდა ამხანაგების მოკვლას, რის გამო დიდს ჯილდოს აღუთქვამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ. ასე ასწერენ მკვლელობის ამბავს: „კარლ ლიბკნეხტი წაიყვანეს სასტუმროდან ავტომობილშიო. ეგერი რუნგემ ორჯერ დაარტყა უკანიდან თავში. კარლ ლიბკნეხტი გრძნობა დაკარგული დაეცა—ოფიცრები ლიბკნეხტის ცემას არ უკრძალავდნენ. ესენი იყვნენ: გორსტა ფონ პფლუგკ გარტუნგი, შტიგე, ლიპმანი, ფონ რიტგენი, შულცი, ჰაინც ფონ პფლუგკ გარტუნგი და იეგერ კლემენტი ფრიდრიხი. იმის მაგივრად, რომ ავტომობილი წასულიყო მოაბიტში, წავიდა ახალი ტბით შარლოტტენბურგის შოსეს მიმართულებით. ერთ ადგილს, სადაც იწყებოდა სრულიათ გაუნათებელი ბილიკი, ავტომობილი, ვითომდა, დაზიანდა. ლიბკნეხტს თავში ცემისაგან გრძნობა დაკარგულს ჰკითხეს: შეუძლია თუ არა მას სიარული. ორი ჯარის-კაცი შველოდა სიარულს. ორიც წინ მიუძღოდა და ორიც უკან მისდევდა ხელში რევოლვერებით. გაიარეს რამოდენიმე ნაბიჯი და ლიბკნეხტი მოჰკლეს, ვითომც მას გაქცევა დაეპირებინოს. პირველად ესროლა კაპიტანმა ფონ პფლუგკ გარტუნგმა. როდესაც როზა ლუქსემბურგი მიჰყავდათ სასტუმროს მთავარ გასასვლელით, ისევ ის რუნგე იდგა კარებთან. პოლკოვნიკმა პეტრიმ უბრძანა: როზა ლუქსემბურგი ციხეში ცოცხალი არ მიეყვანათ. გზაში რუნგემ ორჯერ დაარტყა თავში ისე, რომ ის წაიქცა. ტრანსპორტის უფროსმა პორუჩიკმა ფოგელმა მკვლელობას ხელი არ შეუშალა. როზა ჩააგდეს ავტომობილში. წასვლის დროს ავტომობილს შეახტა ჯარის-კაცი და როზა ლუქსემბურგს უკანიდან დაარტყა თავში რაღაც მძიმე საგანი. ავტომობილმა გაიარა ლანდვერის არხის და ზოოლოგიურ ბაღის შუა. არხთან იდგა ჯარის-კაცთა ჯგუფი. გადასვლის დროს პორუჩიკმა ფოგელმა ესროლა როზა ლუქსემბურგს თავში. მაშინა გააჩერეს და ფოგელის ბრძანებით ცხედარი არხში ჩააგდეს. მეორე დღეს მკვლელობის მონაწილეებმა სიმთვრალის დროს გადაიღეს სურათი ერთად.

სამხედრო სასამართლომ ნამდვილ დამნაშავეებს ხელი დააფარა. მხოლოდ პორუჩიკს ფოგელს მიუსაჯეს ორი წლით და ოთხი თვით ციხე „უფლების ბოროტად გამოყენებისა, მთავრობისთვის ყალბ ცნობების მიწოდებისა და გვამის დამალვისათვის“. ეგერი რუნგეს კი „მკვლელობის განზრახვისთვას და იარაღის ბოროტად მოხმარებისთვის“ მიუსაჯეს ორი წლის ციხე და დაითხოვეს ჯარის რიგებიდან. მაგრამ „გასამართლებულ“ მკვლელს ფოგელს პოლკოვნიკმა პაპსტმა „განაჩენის“ გამოტანამდე ბერლინის პოლიციის პრეზიდიუმის დახმარებით უშოვა ყალბი პასპორტი და სამი დღის შემდეგ „გასამართლებისა“ ფოგელს მისცეს საშვალება გაქცეულიყო ციხიდან ჰოლანდიაში. მკვლელს რუნგეს, მართალია, არ ქონდა მიცემული ყალბი პასპორტი და გაქცევის საშვალება, მაგრამ ის იყო დაჯილდოვებული თავის საგმირო საქმის გამო. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ის აღჭურვეს ყალბი დოკუმენტებით, რომ არ ეცნოთ მუშებს. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს მკვლელი მობეზრდა ბურჟუაზიას და რადგან ველარ იღებდა მოწყალებას, ჩავარდა გაჭირვებაში, რამაც აიძულა საქვეყნოდ გამოტეხილიყო. გვამი როზა ლუქსემბურგისა იპოვეს ოთხნახევარ თვის შემდეგ „ლანდვერი არხში“ 31 მაისს. მისი გვამი მიაბარეს მიწას, ფრიდრიხსველის სასაფლაოზე, იანვრის აჯანყების გმირების გვერდით, სადაც მარხია თვით ლიბკნეხტიც.

3 ეს სამარცხვინო და ბოროტი შემთხვევა მიტომ გაიხსენე, რომ მკითხველს დავანახვო ნამდვილი მკვლელები. ესენი იყვნენ არა ოფიცრები და ჯარის-კაცები სასტუმრო ედენის, არამედ სოციალ-დემოკრატების „ბელადები“., რომლებიც იმ დღეებში აღვირ ახსნილ კონტრ-რევოლიციონური ტერორით ბერლინში კომუნისტურ ბელადებს უმასპინძლდებოდენ. დაე, მთელი ქვეყნის მუშათა კლასმა დაიხსომოს ეს სამარცხვინო აქტი. სოციალ-დემოკრატების ბელადებმა, ბურჟუაზიის მოსამსახურეებმა მოჰკლეს ჩვენი ლიბკნეხტი და ჩვენი როზა, მაგრამ მათი სული სცოცხლობს ჩვენს შორის. კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი ჩვენთვის ცოცხლობენ, რადგან ცოცხალია რევოლიუცია.

ვილჰელმ პიკი.



ნიკო გოცირიძე

# მუშა-მსახიობი ნიკო გოცირიძე.

მსახიობი ნიკო გოცირიძე დაიბადა 1873 წელს 6 აგვისტოს ქ. ტფილისში, ანჩისხატის უბანში. მისი მშობლები იყვნენ უბრალო მოქალაქენი, მამა მისი ხელობით დერციკი (ქართულ კაბა-ახალუხის მკერავი) დიდი მოყვარული ქართული წიგნებისა. პატარა ნიკო სასწავლებლად მიაბარეს მთაწმინდის პირველ-დაწყებითი საქალაქო სასწავლებელში, მან აქ დაჰყო 1886 წლამდე. დათავების შემდეგ ის გადაიყვანეს სახელოსნო სასწავლებელში, მან დაჰყო აქ პირველ კლასში ორ წელს და, რადგანაც დათხოვნისა ეშინოდა, თითონვე დაასწრო და გამოვიდა. პატარა ნიკო იქნებოდა ასე 12-13 წლისა როდესაც იგი თავისმა ძმამ წაიყვანა პირველად ქართულ თეატრში და გამოიყვანეს „ქოროღლში“ უსიტყვოთ ფაშის მხლებლად. როდესაც ცოტა წამოიზარდა იგი უკვე სცენით გატაცებული ქალაქის სხვა და სხვა უბნებში თვითვე მართავს საბავშვო წარმოდგენებს. ქართულ თეატრის სცენაზედ პირველად ითამაშა „სამშობლოში“ ზაზას როლი 1893 წ. ამავე წელს გამოვიდა მოხუც მეომრის როლში. პიესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მტარვალში“. 1893 წლიდან დაწყებული ვიდრე 1897 წლამდე იგი სხვა და სხვა ალაგას თამაშობს. ამ წელს, სცენის მოყვარე დათიკო შველიძის თხოვნით, იგი გამოდის ავჭალის სახალხო თეატრის სცენაზე. აქ მან თავისი იშვიათი სასცენო ნიჭით მიიპყრო საზოგადოების დიდი ყურადღება და შეიქმნა ერთი საყვარელი მსახიობი და ერთი დაუღალავი აქტიური მონაწილე სახალხო წარმოდგენების მოწყობისა, რომელთაც ხშირად თვითვე ხელმძღვანელობდა და რეჟისორობდა. მისი მუშაობა იყო აქ ყოველთვის უსასყიდლო. ავჭალის სახალხო თეატრის დასი ნიკო გოცირიძის მეთაურობით კვირაში ერთხელ მართავდა წარმოდგენას რკინის გზის სახელოსნოების თეატრში სადაც დაიარებოდენ განსაკუთრებით რკინის-გზის მთავარ სახელოსნოების მუშები. ნიკო გოცირიძე პროფესიით ხელოსანი იყო, მუშა, და იგი დიდხანს მუშაობდა რკინის-გზის მთავარ სახელოსნოში, სამღებრო ცეხში მხატვრად. ნიკო ამ რამდენიმე წლის წინად ბევრჯერ იქმნა მიწვეული, როგორც ტფილისის, აგრეთვე ქუთაისის სცენაზედ პროფესიონალ მსახიობათ. მას კარგს ჯამაგირსაც პირდებოდნენ მაგრამ სახალხო თეატრის მუშაკმა ყოველთვის უარი შეუთვალა. უსასყიდლოდ არჩია ერთგული სამსახური მუშათა თეატრში 1922 წლამდე. ამ წელს იგი იქმნა მოწვეული აკადემიურ თეატრის დასში, სადაც მან დიდი სახელი და ყურადღება დაიმსახურა, როგორც მაღალ ნიჭიერმა მსახიობმა. ამავე დროს იგი ისევე ითვლება მსახიობად სახალხო თეატრის დასში. ნ. გოცირიძე იყო რეჟისორად სახალხო სახლში ოსების დრამატიული წრისა, 1908 წ. 1921 წლამდე. მისი უახლოესი დახმარებით გადათარგმნეს ქართულიდან ოსურს ენაზე 15-მდე პიესა რომელიც მისივე რეჟისორობით იდგმებოდა ოსურად. მას აგრეთვე ხშირად იწვევდენ, ქუთაისში მონაწილეობის მისაღებათ, სადაც იმართებოდა წარმოდგენები განსაკუთრებით მუშებისათვის. აქაც იგი უსასყიდლოდ იღებდა მონაწილეობას. ესევე იწვევდნენ, მას ქ. განჯაშიაც რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეთათვის გამართულ ქართულ წარმოდგენებზედ მონაწილეობის მისაღებათ. იგი ყოველთვის დაუზარელი იყო. ამავე ხნის განმავლობაში, მას ზაფხულობით შემოვლილი აქვს თითქმის მთელი საქართველოს პროვინცია, სადაც მონაწილეობას იღებდა უმთავრესად სახალხო წარმოდგენებში. მას ამ ხნის განმავლობაში უთამაშნია მრავალი სხვა და სხვა ხასიათის როლი, რომელთა შორის, შესანიშნავად განუსახიერებია შემდეგი ტიპები: „სტეფან მაკარიჩი“ „გრუშნევსკი“ „მედროგე პავლე“ „საქო“ „აკოფა“ „გეურქა“ „სარქისა“ „ელიზბარიან“ „გიქო“ „ზიმზიმოვი“ „ერშ“ „კასტილოვ“ „კობუს“ „ალეშმალენბახ“ „იუსოვი“ „შმაგა“ „ორგან“ ტარტიუფში. „ჟურდენი“ „დოქტორი“ და მრავალი სხვა. ნიკო გოცირიძე, ეხლაც ახალგაზრდულის გატაცებით და სიყვარულით ემსახურება ქართულ მელპომენის ტაძარს.

ქართველი ხალხი უხდის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს და ღირსეულად დააფასებს ხალხის წიაღიდანვე გამოსულს, დიდს მუშა მსახიობს ნიკო გოცირიძეს. ჩვენც გულწრფელად ვულოცავთ ნიკოს დღესასწაულს, და ვუსურვებთ ხანგრძლივ დაეტკბოს თავისი მადლიანი ნიჭით ქართველი ხალხი.

ვაშა, ხალხის შვილს!
ვაშა ჭეშმარიტ ქურუმს!.

ვ. ბ.

# ლატავრა

## ტრაგედია 5 მოქმედებად *)

### მოქმედება მეორე.

დარბაზი მარმალილოს სვეტებით.

I.

**ლატავრა, გამდელი და ამალა** ხელსაქმეობს.

**ლატავრა:** რა დროა, ნენო?
**გამდელი:** ორჯელ იყივლეს...
განა როდემდის უნდა იფხიზლო?
**ლატავრა:** ძილიც გამიკრთა და მოსვენებაც!
არას მამცნობენ!..
იქნებ დამარცხდნენ?
რაო? რად სდუმხარ?
**გამდელი:** მათი მძლეველი ჯერ არავინ დაბადებულა!
**ლატავრა:** იმ დღეს რომ მითხრა:
„თუ ძვირს იძრახებს ერთი მათგანი,
„ცუდათ წაუვათ საერთო საქმე?—
ვინ იყო იგი?
მე ეს სიტყვები არ მავიწყდება...
მგონია, თითქოს დაარღვიეს მტკიცე კავშირი...
ვგრძნობ რაღაც მძიმეს... სულის შემხუთველს...
ვიღაც ხმაურობს...
გაჰხედე გარედ...
იმ კარებს უკან თითქოს სდგას ვიღაც...

შემოიჭრება Inkubus.

II.

**იგინივე და Inkubus.**

**ლატავრა.** რა უცნაური სახის კაცია?!
რა ამბავს იტყვი სიდან მოსდიხარ?
**Inkubus.** მახარობელი!!
**ლატავრა.** დაგაჯილდოვებ!
მითხარ ამბავი ჩვენი სარდლების.
**Inkubus** მტრის ბანაკიდან ჩემის ნებით ვაწვდიდი ცნობებს...
გავწირე თავი...
ვიცი ლატავრა დამიფასებდა...
**ლატავრა.** და დაგიფასებ... ამბავი მითხარ!
**Inkubus.** ავიღე ხელი ჩემს ცოლშვილზე და ქონებაზე...
და თავი დავსდე ერთგულებით რაინდებისთვის...
**ლატავრა** ბრძოლა წააგეს?
**Inkubus.** მე რომ ის ერთი საიდუმლო არ მეთქვა მათთვის...
**ლატავრა.** წააგეს ბრძოლა?
**Inkubus.** რა ბრძანებაა!
გამარჯვებულნი ბრუნდებიან ჩვენი სარდლები...

*) იხილე დროშა № 9.

**ლატავრა.** ჯილდოთ რას ითხოვ?..
**Inkubus.** კვლავ მიმსახურე...
**ლატავრა.** ძეგლს დაგიდგავ ოქროთ დადაფნულს!
**Inkubus.** მოვისწრაფოდი, რომ მე პირველს მეხარებინა...
ახლო არიან...
**ლატარვა.** ახლო არიან!
ჩემო დობილნო! აანთეთ ყველგან!
დაღლილ მეომრებს დაუმზადეთ სუფრა გაშლილი.

*ანთებენ. სუფრას შლიან.*

**Inkubus.** მე ჯილდოდ განა ის არ მეყოფა,
რომ შენ ნეტარებ?
კიდევ მისმინე...
ერთის პირობით: არ მიიღო ნათქვამი გულთან!
გამარჯვებულებს შეცილება შეექნათ გზაზე!
რომელმა უფრო ადიადა შენი სახელი
და ვის ეკუთვნის პ ი რ ვ ე ლ ო ბ ა? მათი კამათი
ისე გამწვავდა, თუ საქმეში არ გავრეოდი,
დაიღვრებოდა ძმათა სისხლი...
**ლატავრა.** თითქოს ეგ ვიგრძენ!..
**Inkubus.** შენს მსჯავრს ელიან!
ჩემი რჩევაა: პირველობა არვის არგუნო,
თუ მოსურნე ხარ, არ დაირღვეს მათი კავშირი!..

*გარედ გამარჯვების სიმღერა.*

**ლატავრა.** ვერ გამოვარჩევ მათში მე ვერც ერთს!
**Inkubus.** მეც ეს მწადიან! სიბრძნე იქნება!
**ლატავრა.** გამარჯვებულნი მიბრუნდებიან...
ღამის სიჩუმეს მღერით არღვევენ!
**გამდელი.** შვილო შენც უნდა მოიკაზმო;
**ლატავრა.** ვმხიარულობ!
**ხმები გარედ:** გაუმარჯოს!
**Inkubus.** უნდა შევესწრო, თავის ბედსა თვითვე სწყვ-
ლიდეს!

III

**იგინივე. სამი რაინდი და მეომარნი.**

*კარებთან სდგებიან დარაჯები. შემოდის სამი რაინდი. უკან მეომრები.*

**ლატავრა.** რა რიგის ღელვით გელოდებოდით!
**Inkubus.** თქვენი ამბავი მე მოუტანე,
თქვენთვის მარადჟამს თავდადებულმა!
**რატი.** მოსისხლე მტერმა ომი ველარ შემოგვიბედოს...
**Inkubus.** რა მამაცობა, ვაჟკაცობა გამოიჩინეთ!
**ლატავრა.** ჯილდოთ მიიძღვნით სამივენი ჩემს წმინდა
ამბორს.

*ეამბორება.*

**გურამ.** სულში გ ა რ დ ა მ ქ მ ე ნ...
მომავალში მხნედ გემსახურო!
**რატი.** მზის სხივით მ ა გ ზ ნ ე ბ...
მომავალში მხნედ გემსახურო!
**ბექარ.** ფ ხ ი ზ ლ ა დ მ ა მ ყ ო ფ ე ბ...
მომავალში მხნედ გემსახურო!
**ლატავრა.** მყუდრო სავანე თქვენთვის მზად არის!
**ამალა.** გაშლილი არის სუფრა სალხინო!
**ლატავრა.** სულს ვუძღვნათ შვება და გულს სიამე!
**გამდელი.** იარაღი ჩამოიხსენით!
**Inkubus.** მე... მე მიბოძეთ! *იარაღის ახსნას შველის.*
**გურამ:** *ბექარს განზე გაიხმობს. სუფრაზე დასხდომამდე ყველას ლაპარაკი საიდუმლო ჩურჩულით.*
ურჩიე რატის: ამ სუფრაზე სიტყვა არ დასძრას!
**Inkubus.** *რატის იარაღს ჩამოართმევს.*
გესმის, აქეზებს: ლატავრასთან სიტყვა არ დასძრა!
დიდებული ხარ! რარიგ იბრძოდი! რა რიგ იბრძოდი!
**რატი.** ჩემი ძმები კი იჩემებენ ამ გამარჯვებას!
**Inkubus.** თუ მათ დაუთმე, ზედ შეგსხდებიან!
მარტო ხარ... ერთი!..
**ბექარ.** *გურამს ბევრი ვურჩიე...* მაგრამ ჯიუტობს!
გადარეულა!
**გურამ.** *ბექარს* ის ჩვენი დავა აქ რომ ავტეხოთ.
არ მოუხდება! საქმეც წახდება!
**Inkubus.** *გურამთან მიირბენს* არ მოუხდება, ვფიცავ ჩემს
გამჩენს!
ოჰ, ოჰ, ეგ რატი რა ყოფილა! აუტანელი!
ვამშვიდებ მაგრამ, ჩემი არ ესმის!
მაგრამ თქვენ ისე თავმდაბალი ხართ,
რომ პირველ ადგილს დაუთმობთ, ალბად! *გამკილავად იცინის*
**გურამ.** დაიმსახურონ!
**Inkubus.** და არც შეგფერით, რამე დაუთმოთ...
საქვეყნო საქმე მით წახდება!..
**გურამ.** *ბექარს* ბექარ! გავალებ! გეხვეწები, დღეს დაამ-
შვიდო!
**Inkubus.** ეგ მე მომანდეთ! ჩემზე კარგად ვინ შეასრულებს?
**გურამ.** თვით ლატავრასაც ეწყინება.
**Inkubus.** ჰაი, ჰაი, რომ ეწყინება!
თქვენთვის საჩუქრად რა ხმალი მაქვს...
**ბექარ.** *გურამს* იქადებოდა: ჩვენ ლატავრამ მსჯავრი და-
გვდოსო!
**გურამ.** მხოლოდ დღეს არა! ხვალ, ზეგ, მაზეგ! შემდეგ,
ოდესმე
**Inkubus.** *რატის* გესმის? ორივეს პირი შეუკრავს...
ჰსურთ შენი ღვაწლი არ დაანახვონ!
მაგრამ შენ უნდა თამამად იყო! ერთი ხარ მხოლოდ!
**ლატავრა.** აბა, დაბრძანდით! თქვენც! დაბრძანდით!

*ლატავრა სათითაოდ ყველას მიიპატიჟებს. აგრეთვე Inkubus-საც.*

**kubus.** მე მირჩევნია, გემსა ხუროთ!

*Inkubus დარბის და თადარიგს იძლევა. ზოგს სუფრაზე იპატიჟებს.*

ოხ, დღეს ზეიმი, რა ზეიმი უნდა ვიხადოთ!
სამი რაინდის სასახელოდ!
არ ვიცი მათში რომელია... ჰო, შემდეგ იყოს!
მათში ნაკლები რომელია, ვინ იტყვის ამას?
თანასწორობა?—*რატის ჩუმად.*
კაცს თვით ბუნების წინააღმდეგ მოუგონია!
„კაცი არ ყველა სწორია!“
მცირეს რა უნდა? თანაბარი გახდეს დიდისა!
ბუნებამ იცის საზღვარი და უსაზღვროება!
ხა! ხა! ხა!
ყველას გეტყობათ დაღლილობა!
თქვენს გასართობად, ჰხედავთ, რა გვარ ტანსაცმელში ვარ!
აბა, მუსიკა!

*უცბად იცვლის სამგზავროს და გამოჩნდება მასხარის ეკვნებში.*

ფიალას ვიღებ, ვსვამ სადღეგრძელოს!
ვინც აქ თქვენს შორის პირველი არის!
ლატავრა ხა, ხა! *სვამენ.*
**ბექარ.** შენ... ეგ ხარხარი...
**Inkubus.** მე ვმხიარულობ!
თუ გწყინს სიცილი, მოვიკუპები!
—მე ვსთქვი პირველი! პირველობა ყველას არ შესწევს...
შენს წინაშე რომ...

ამას ვინ განსჯის?
ბექარს მე კი ყმაწვილო! ასე ნუ მიბღვერ!
**ლატავრა.** ერთი მთხრობელიც არ აფრინეთ!..
**Inkubus.** ახ, რომ იქ დავა არ ამტყდარიყო!..
**ლატავრა.** ეხლა მიამბეთ!
**რატი.** სანამ ჩვენს ამბავს მოგითხრობდეთ, უნდა გადასწყდეს..
**ბექარ.** ჰო, როგორ არა! რატის ძალუძს ..
სთქვას სადღეგრძელო... მხნედ იბრძოდა ჩვენი ლაშქარი!
— ეხლა დაჩუმდი! რატომ ვერ ითმენ?—
**რატი.** როგორ დავჩუმდე, როს ჩემს სახელს ორნი იჩემებთ!
**ბექარ.** მართალს არ ამბობ!
**Inkubus.** ისე დავუკრავ ჭიანურს, რომ ყველა გაჰკვირდეს!
ია, ია! ჰოო! სვამს და ყველას ასმევს.
**რატი.** მართალს არ ვამბობ?
მე თუ არ ვამბობ, დაე განსაჯოს!
**Inkubus.** დიახ! დიახ!
**ბექარ.** ლატავრას უყვარს სამივე ძმა, ხოლო ამ სამთაც წმინდა სიყვარულს ფრთა შეასხეს და ასახელეს:
ლატავრა ა ი დ ი ო! *)
შენი დიდება ანეტარებს ყველა ჩვენთაგანს!
ვმღერით: ლატავრა. აიდიო!
სვამენ. მღერიან. ქალთა ამალა ცეკვავს.
**ყველანი.** ლატავრა აიდიო! მუსიკა, რომელიც საცეკვაოზე გადადის.
**Inkubus.** ჩემთან იცეკვე!
**ქალი.** მე სხვასთან მინდა!
**Inkubus.** და მე კი შენთან! ცეკვავენ.
სიმხიარულე!..
ახ, რა კარგი ხარ, ჩემო მალხაზო!
ცეკვით გაუვლის რატის, ყურში.
ახ, რა კარგი ხარ და გამცირებენ!
**რატი.** შეაჟრჟოლებს.
ქალს უმღერა თუ...
მე? მე? ღირსიც ვარ! მე სხვაც გამკილავს! მაგიდაზე ხელს დაჰკრავს.
მოვითხოვ სიტყვას!
**გურამ.** რატის ყურში.
უკვე მთვრალი ხარ! შემდეგ,—დროს ჰნახავ!..
სვამენ.
**Inkubus.** რატისთან ახლოს ვითომც ქალს ელაპარაკება.
რაღა თქმა უნდა, სჯობს რომ იცოდეს.
— მეტად კარგი ხარ და მომხიბვლელო!—
**ქალი.** ჩვენ ყურს გვიგდებენ...
**Inkubus.** რომ არ გვიგდებდნენ, ხომ თანახმა ხარ!?
თუ სხვასაც ესმის, გულში მოხვდება!
მაგრამ ზოგიერთს ცივი აქვს გული!
გინდა გასთელე, გინდ დაამცირე..
შენ ამ სამს ძმაში ვის უფრო მეტად შეიყვარებდი?
**ქალი.** ყველას თანაბრად!
**Inkubus.** ეგ ხომ ლატავრას მიბაძვა არის!..
მაინც ერთერთი უნდა ირჩიო!
**ქალი.** ვინც უფრო არის თავდადებული...
**Inkubus.** ხმა მაღლა მერე? ვინ არის თავდადებული?
**რატი.** როს სამნი ძმანი ჩვენის ჯარით ავიყარენით...
**გურამ.** რატის თავაზიანად აწყვეტინებს და ლატავრას მიჰმართავს.
სამთავეს მხოლოდ ერთი რწმენა გვასულდგმულებდა:

თავი დაგვედო ჩვენი სულის ღვთაებისათვის!
ვიბრძოდით მედგრად და თან ვიძახდით:
აიდიო ლატავრა!
სვამენ.
**ლატავრა.** თქვენთან ვნეტარებ!
ფიალას ასწევს.
მსურს ვიდღეგრძელო სულის თვისტომნი.
და სიყვარული ჩემის გულისა.
გურამ და რატი! შენ ბექარ ჩემო!
**Inkubus.** ვაშა! ვაშა!
ნეტა მომეცეს კვლავ შემთხვევა, თქვენთვის თავს დავსდებ!
ვიცი, ვინ რისთვის ფასდება და...
**რატი.** ვინ რისთვის!? მე კი?
**Inkubus.** მღერის.
ერთს კაცს ჰყვანდა გრძელყურა;
წელზე ფიჩვი ეხურა.
აზიდვინეს ქვა-კირი,
ვერ გაბედა გაჰქირი,
რადგან მოუქონებდნენ,
ეძახოდნენ გმირს;
ზედაც შეაჯდებოდნენ
პატიოსან... პირს!
**რატი.** ჭიქას გასტეხს.
**ბექარ.** რა დაგემართა?
**რატი.** არ შემძლიან!
ლამის თვალებით სულში შეეჭრას...
მე კი რად ვსდუმვარ?
მიყვარს...
უნდა ერთერთი აირჩიოს...
**Inkubus.** მე ჩემს მიჯნურთან დაველურ ვთამაშობ!
დილავრანინა! რანინა!
**რატი.** დავა შეგვექმნა...
გურამ და ბექარ უხერხულად გრძნობენ თავს.
რომელმა უფრო ადიადა შენი სახელი!
მსაჯული შენ ხარ!
როს სამნი ძმანი ჩვენის ჯარით ავიყარენით...
სუფრიდან წამოიშლებიან.
ჩემი მერანი საითაც კი გამაქროლებდა,
იქ ჩემი ხმალი მუსრს ავლებდა მოპირდაპირეს!..
ერთი მხედარი ჩემკენ ზათქით გამოექანა...
ასწია ხმალი... დავასწარ და ის ძირს დაეცა.
მოვკალ სარდალი! დავატეხე მტრის ბანაკს ზარი.
მე დავამარცხე...
**გურამ.** ჩემის გეგმით!
**რატი.** ის გეგმა იყო ჩემი გეგმა!
**ბექარ.** თითქოს თქვენ მარტო იბრძოდით და...
მართალი არის: გეგმა იყო უფროსის ძმისა...
**რატი.** ჩემს გამო იყო გამარჯვება და მტრის დამხობა.
**გურამ.** შენ ტყვედ ჩავარდი...
**რატი.** მე ტყვედ ჩავარდი?
**გურამ.** და მე დაგიხსენ?
**რატი.** ცრუობ!
**გურამ.** თავხედობ!
**ბექარ.** არ გეკადრებათ!
რაკ იყო,— მორჩა! დღეს ჩვენა ვართ გამარჯვებულნი!
**გურამ** თვით ენგიჩარი ხელიდან ვერ წაგვივიდოდა,
მაგრამ შენ იქაც იჯიუტე!... აქაც თავს იგდებ!
**რატი.** მე უთქვენოდაც გავიმარჯვებდი!
**ლატავრა.** გულნატკენი. სამთავ იკმარეთ!

---
*) აიდიო საუკუნო უცვალებელი.,

თქვენში მე ვერც ერთს გამოვარჩევ... თანასწორნი ხართ!

**Inkubus.** დიდებულს ბრძანებ!

—ო! რა რიგ მინდა სეირს ვუყურო! —

ლატვრა გადის. გურამი აცილებს. უკან ამალა მისდევს.

**Inkubus.**

მღერის.

დიდებული, დიდებული, დიდებულია?

IV

**რატი, ბექარ, Inkubus.**

**ბექარ.** რა არის დიდებული?

**Inkubus.** ვინ არის დიდებული?

**ბექარ.** მე შენი ქცევა, სულ არ მომწონს!

**Inkubus.** არც გაიძულებ!

**ბექარ.** წადი! დაგვტოვე!

**Inkubus.** აწ გვიან არის!

მღერის არც შეგვწევს ნება!

შენთვის შავი ტუზი ვარ!

ყველას სულში უზივარ!

არ მოვწონვარ იმ კუ, ბუზს!

იხარხარებს ინკუბუს!

ცეკვით და ხარხარით გადის.

**ბექარ.** რატომ არ ძალგვიძს მოვიცილოთ?

ტკიპი! ბალღიჯო!..

თვითეულს, ჩვენგანს შემოეჭრა სულის სიღრმეში!

მე ვგრძნობ მაგისგან მოიშხამა ჩვენი სიმშვიდე!

აბა, ეს რა ქმენ? ჩაუმწარე ზეიმი ყველას!

**რატი.** შენც მას ემხრობი?

**ბექარ.** არც შენ, არც იმას!

**რატი.** ახ, ჩემო ბექარ! შენ არ გესმის მისი წადილი!

მას უნდა ჩვენში პირველობა...

ის ჩვენ გვამცირებს...

შენ შეგიძლიან შეურიგდე...

მე ეს არ ძალმიძს..

ხალხი მყავს მეტი...

მეტი ჯარი და მეტი მომხრე...

მიყვარს ლატავრა...

ის უნდა იყოს მხოლოდ ჩემი!

**ბექარ.** ის უნდა იყოს მხოლოდ შენი?

შენ ეგ სურვილი როდის აქეთ აღგეძრა გულში?

განა ლატავრა შეიძლება ერთს ეკუთვნოდეს?

**რატი.** მე მინდა, მე მსურს... ავასრულებ...

რა არის ყ ვ ე ლ ა, როცა უნდა მ ა რ ტ ო სტკბებოდე?

ის ხმალი უნდა მე გარდმომცეს...

ის დროშა უნდა ჩემი იყოს...

და თვით ლატავრაც... მას გვირგვინი...

**ბექარ.** რა შავის ზრახვით მოსწამლულხარ?

რომელ გვირგვინზე ლაპარაკობ?

**რატი.** რომლის ღირსიც მხოლოდ ერთია!

**ბექარ.** ვერ გცნობ! ვინ ხარ?

ჩემი ძმის სახე ვისის ბაგით .მესაუბრება?

**რატი.** გურამს ემხრობი?

**ბექარ.** მე წელან გითხარ: არც შენ, არც იმას!

**რატი.** ჩემთან!... ან მასთან!

**ბექარ.** ის სცდება და შენ უარესად!

როგორ გგონია? მე ბრმად უნდა დავემორჩილო

ან შენს, ან იმის შავს სურვილებს?

ეს არ იქნება!...

მეც საკუთარი გული მიცემს... მაქვს მოსაზრება!

**რატი.** პირი შეუთქვამთ!—

ყური დამიგდე!

მე რომ ჩავიგდო ხელისუფლება,

ჩემს მოადგილედ გამოგაცხადებ!

**ბექარ.** ირონიით შენს მოადგილედ!!

**რატი.** შენ რომ გიყვარდა, მას ცოლად შეგრთავ...

**ბექარ.** შენ? და მარტო შენ ხელისუფლება...

მერე, გურამი?

**რატი.** ოხ, გურამ! გურამ! არ დავინდობ...

**ბექარ.** მაშ მეც?—

**რატი.** აგამაღლებ! მხარი დამიჭი!

**ბექარ.** ეგ ერთხელ გითქვამს, აღარ გაბედო!

**რატი.** ბავშო!

**ბექარ.** შეურაცხყოფას არ გაპატიებ!

**რატი.** რეგვენო!

**ბექარ.** რეგვენი მხოლოდ ძმის სისხლს მოითხოვს!..

**რატი.** სანდო აღარ ხარ! უნდა გავსწორდეთ!

**ბექარ.** განა თუ ხმალში დაგივარდები?

იბრძვიან.

V.

იგინივე და **გურამ**, შემდეგ **დარაჯები**.

**გურამ.** ჩააგეთ ხმლები!

რატი! რა გინდა?

რა მიზეზს ეძებ?

**რატი.** შენ თვით გამოტყდი, შე ბაიყუშო!

შენ რა გსურს, გვითხარ!?

არა გსურს განა ერთი უფლობდე?

ერთს გეკუთნოდეს სამთა ძმათა ხვედრი საუნჯე?

**გურამ.** გაჩუმდი, თორემ...

**რატი.** ლაჩარი იყო, თუ ქადილი არ შეასრულო!

**გურამ.** ჰეი, დარაჯო!

შემოდიან დარაჯები. ბეჭედს უჩვენებს.

შეიპყარ რატი!

**რატი.** ა! ა! ბეჭედი!!! უკვე ბეჭედიც!..

ჩვენში ერთ-ერთი მეტი არის!

რატი ებრძვის, გურამ იგერიებს.

ბრძოლაში გურამს სჭრის. კიდევ განაგრძობენ.

VI.

**ლატავრა.** ახ! გურამ! რატი!

ლეჩაქს იგლეჯს და შუაში ჩააგდებს. ხმლებს დაუშვებენ. პირს აქეთ-იქით იბრუნებენ.

როგორ? თქვენ იბრძვით?.. და სასიკვდილოდ?

**გურამ.** ო, დავუჭრივარ! ბექარი მიიყრდნობს.

**რატი.** სიჩუმის შემდეგ.

მისთვის ბეჭედი მიგიცია ხელისუფლების...

მე თქვენთან აღარ მედგომება! ჩემი გზა ვიცი!

ყველას გაჩვენებთ, მე რის ღირსიც ვარ! გადის.

**ბექარ** წინ ეღობება საით?? გონს მოდი!

**რატი.** გზა.

**ბექარ.** შენ სხვაგან ეძებ მოკავშირეს ჩვეს დასამხობად!..

ნებას არ მოგცემ!

**რატი.** გზა.

**გურამ.** შეიპყარით! არსად გაუშვათ!

**ლატავრა.** გაშტერებული სდგას ჩვენი ზეიმი მოიშხამა!

გარედ Inkubus-ის ხარხარი ისმის.

## მესამე მოქმედება.

### იგივე სცენა.

I.

მწიგნობარი, მოურავი. მსაჯულნი. გურამ და ლატავრა.

**მოურავი**. თავი ანებეთ კაზმულ ლაპარაკს.
ჩვენ ახალ საფრთხის წინაშე ვდგევართ.
**I მსაჯული**..
საფრთხის წინაშე ვინ დაგვაყენა!
**II მსაჯული.** მეც მომისმინეთ!
მრავალში სცდებით!
ვის ასამართლებთ?
თქვენ ხელთ ვინ არის?
რატი გასცილდა ამ ქვეყნის საზღვრებს.
რას მოიქმედებს, ეს ჯერ არ ვიცით!
ბექარს მომხრენი მოუკრეფია.
გურამს უცხადებს ომს დაუნდობელს...
შელახულია jus gentium!
მაგრამ ვის დავსვამთ დამნაშავის შერცხვენილ სკამზე?
პირიქით გვმართებს:
გულის მოგება აღელვებულ ჩვენი სარდლების..
**მწიგნობარი.** ხალხი მიაღწევს უმაღლეს წერტილს
და საზღვარს იქით გასაქანი რომ აღარ არის,
თავის თავს ებრძვის, რომ დაამხოს, კვლავ აღორძინდეს..
ვინ იცის, იქნებ უკვე ვსდგევართ ჩვენ ამ მწვერვალზე?
მე მათში ვერც ერთს ვერც გავამტყუნებ, ვერც გავა-
მართლებ!
**მოურავი**. გატყობთ ყველანი დიდ რყევაში ხართ,
ეჭვის ქსელშია გონება თქვენი!
ეჭვი და რყევა! ხალხს ეს დაჰღუპავს.
უთუოდ რატიმ უღალატა ხალხის ინტერესს..
ის ალბად გვირგვინს ეტანება...
და ამ გვირგვინს კი აქ ვერ ჰპოებს...
ალბად მიჰმართავს გვირგვინოსანს..
აზიელ მტარვალს... ჩვენს მტერს ძველთაგან!
მას ენგიჩარი იარაღად გამოიყენებს
და გველის საფრთხე...
ჩვენ უნდა ეხლავ მოვემზადნეთ!
დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკა!...
**III მსაჯული.** მე თქვენ გამტყუნებთ!
სარდლებს მიეცით დიდი უფლება...
მათ ეს ბოროტად გამოიყენეს...
ან და ლატავრა!?
რად არის იგი ესდენ ლამაზი და მომხიბვლელი,
რომ მთელი ხალხი განსაცდელში მისგან ვარდება?
**ხმები:** ლატავრა თვითონ ხალხი არის, ხალხი—ლატავრა!
**ლატავრა.** მე თქვენი აზრი, თქვენი სახე, სული და გრძნობა
გამასამართლეთ!
თქვენი თავი გაასამართლეთ!
მე თქვენში დავალ უკვდავება თქვენი ყოფნისა.
გამასამართლეთ იმიტომ რომ ეს უკვდავება,
ვინც ღრმად შეიგრძნო, შეუყვარდი და ამ სიყვარულს
ჰსურს დაეუფლოს...
ამ სიყვარულით ჰსურს შეიმოსოს.
თქვენში თვით ჩემთვის ბრძოლა სწარმოებს:
ვინ უფრო მეტად ადიადებს თქვენს არსებობას
და ამ ბრძოლისთვის მრავალი გზაა...
მაგრამ, ვაი, თუ ნამდვილს გზას ასცდეთ!
გურამ!
სად არის რატი?
**გურამ.** აღარ არსებობს ჩემთვის ძილი და მოსვენება!
**ლატავრა.** სად არის ბექარ?
**გურამ.** გავიასკეცე ჩემი ძალა შენს სამსახურად!
**ლატავრა.** შენი ალერსი აღარ მატკბობს, რაც ხან შეს-
ძულდი...
**გურამ.** ახ! რა ვიზრუნო, შენი გული კვლავ დავიბრუნო!?
**ლატავრა.** კვლავ დამიბრუნე ბექარ და რატი!
**გურამ.** მოღალატენი!
**ლატავრა.** მსაჯულთ განსაჯონ!
**გურამ.** სისხლს ჩარჩენია განდიდების უგვანო სენი!
**ლატავრა.** თვალებში ჩაჰყურებს
შენს გულში იგრძენ კვლავ ჩემი მზერა!
როს გარდავქმნიდი წმინდა ალერსით!
ერის მსაჯულნი ისტორიის ხლარში გაებნენ...
ვის დასდონ ბრალი, არ იციან... მაგრამ შენ იცი...
წადი და ისევ დამიბრუნე!

II.

იგინივე. Inkubus. **მოციქულნი, გზირი, გამდელი ამალა.**

**Inkubus** ხა! ხა! ხა!
კარგაა საქმე!
როგორ ყურები ჩამოგიყრიათ?
არავითარი შიში არ გველის...
საქმე კარგაა...
აი ბექარის მოციქულები...
მხოლოდ ამ გზირსაც ყური დაუგდეთ...
ხა! ხა! ხა!
გარწმუნებთ, რომ საქმე კარგაა!
ვისთვის და რისთვის?

გადის

III.

იგინივე. **Inkubus**-ის გარდა.

**მოურავი.** რა ამბავს გვეტყვით?
**მოციქული.** მომხრეობამ დაგვღუპა ყველა!
**ლატავრა.** მოხუც სახეებს შიშის ფერი რად დაგდებიათ?
**მოციქული.** ბექარი გვგზავნის თქვენს წინაშე...
ჩვენი განდგომა და ღალატი უნდა შეგვინდოთ!
**გურამ.** ის ხომ საომრად მოდიოდა ჩემს წინააღმდეგ?
**მოციქული.** თვისი მახვილი შეაბრუნა! ეხლა მტერს ებრძვის!
ჩვენც გვაპატიეთ ჩვენი განდგომა!
**მოურავი.** ჩქარა გვიამბეთ! ჩვენს თავს რა ხდება?
**მოციქული.** გზირზე უთითებს აი, უსმინეთ!
**გზირი.** ხალხი განცხრომით ეძლეოდა მყუდრო ცხოვრებას,
რადგან მას შიში აღარ ჰქონდა გარეშე მტრისა.
ანაზდეულად შეგვეცვალა სიტკბო სამსალად!
ჯერ კიდევ მამლებს არ ეყივლათ, რომ ჩვენს გადაღმა
ერთ-ერთს სოფელში საშინელი ყიჟინა ასტყდა,
ცეცხლი მოედო აქა-იქ სახლებს...
ისმოდა ქალთა წივილი და შველის ძახილი!
გავეშურენით მისაშველებლად...
**გურამ** სარკმლიდან მეციხოვნენო და დარაჯნო! ი ა რ ა ღ ი!
ვინ გვებრძვის, მითხარ! მტერი ვინ არის?
**გზირი.** რატი მოუძღვის ენგიჩარის უთვალავ ლაშქარს!
მას უკან რჩება დამონება საშინელებით!
ჩოჩქოლი და შეწუხება
**გურამ.** ჩემი ძმა რატი!
ოხ! რატი! რატი!—გული გამიპეთ, თუ ვარ მიზეზი!
გადის

IV.

იგინივე, გურამის გარდა

**ლატავრა.** დღემდე ცრემლები არ ვიცოდი!
**ხმა Inkubus**-ის. ჯარისკაცებო! არ დაუჯეროთ!

საქართველოს სახელმწიფო ... ტფილისი ... წიგნის პალატა

რატი აქ მოდის თქვენს საშველად და არა სამტროდ!
**ყველანი.**—ეს ვინ დაგვცინის?
—გზირო, შენ სცრუობ?
**გზირი.** წინ რატი მოდის... უკან მოსდევს მას ენგიჩარი...
**მოურავი.** მტარვალს მოუძღვის?...
I **მსაჯული.** წყეულიმც იყავ საიკაძის...
**გზირი.** არვის ინდობენ: არც ქალწულსა, არც ორსულს დედას...
გვირგვინოსანი მოაბიჯებს დაჭრილ გვამებზე.

გარედ ხმაურობაა. იძახიან: ციხის კარები გაამაგრეთ!

**ლატავრა.**
რატი! რა გვიყავ?
იქნებ გგონია, გამარჯვებულს მოგეგებები?

ამალა სარკმელში იყურება

**მოურავი.** ჩვენც ბრძოლის ველზე!..

მოურავი და მსაჯულნი გადიან

V.

ლატავრა, გამდელი და ამალა გარედ იყურებიან

**გამდელი.** ნუ გეშინიან, შვილო ლატავრა!
**ერთი ქალი.** ის ხომ რატია!
II **ქალი.** ის არის!
III **ქალი.** გურამს ებრძვის...
**გამდელი.** რა მოვიფიქროთ? ან რა ვიზრუნოთ?
**ლატავრა.** გული მიგრძნობდა... ასრულდა კიდეც!
I **ქალი.** გურამის ჯარმა მტერს შეუტია!
II **ქალი.** ის გურამს ებრძვის...
III **ქალი.** ხმალი გაუტყდა!
**ლატავრა.** ვის?
I **ქალი.** გურამს გაუტყდა!
**ლატავრა.** ახ! კედელს მიეყდნობა
**ქალები.** ტყვედ შეგვიპყრობენ!
**გამდელი.** კედლიდან ხმალს იღებს.
ჩემს მაგალითს მობაძეთ ყველამ.

ამოღებულ მახვილით კარებში ჩადგება. სხვებიც მის მაგალითს მიბაძავენ

VI.

იგინივე. აზიელი **ჯარისკაცები, რატი. Inkubus** და სხვები.

კარებს ამტვრევენ. ბრძოლის ხმაურობა.

**ჯარისკაცები:**—აქა ყოფილან!
—მაშ შეამტვრიეთ!

შემოამტვრევენ. გამდელი და ქალები იბრძვიან· შემოდის რატი, უკან Inkubus

**რატი.** ჩააგეთ ხმლები!
**Inkubus** ჩააგეთ ხმლები! რატი გიბრძანებთ!

რამდენიმეს შემოაქვს გვამი ბექარისა. ლატავრას წინ დაასვენებენ

**მებრძოლნი.** ბექარი მოჰკლეს!
**ლატავრა**
ახ! გულო ჩემო!
ბექარი მოჰკლეს! ვინ მოჰკლა იგი!?
ის რატომ მოჰკლა!
ძმამ ძმისა სისხლი ..
ო, ჩემო ტკბილო, საყვარელო, გულადო ბექარ!
მახვილით გამცნო შენმა ძმამ, თუ ვით ჰყვარებიხარ!
მან უღალატა თავის სახეს... და თავის სინდისს...
ხალხს უღალატა...
ხალხს თავისუფალს კისრად დაადო მეფის უღელი...
ბექარ! უდროოდ დამხობილო შენის ძმის ხელით!
თავგანწირულო!
ახ, ერთხელ კიდევ ამეტყველდი, ჩემო რაინდო!
დამშორებიხარ! ველარ გნახავ...
შენი მარჯვენა შენს ხალხს ველარ ემსახურება!
ბექარ!
ხალხო, მიტირეთ!

რატის მკაცრად

რა გინდა ჩემგან??

ამ დროს შემოდის ენგიჩარ ამალით

VII.

იგინივე და **ენგიჩარ,** უკან ამალა.

**ენგიჩარ** რატის მაგიერ სულყველაფერი!

პაუზა

ხა, ხა, ხა!
ეს უნდა იყოს ალბად ლატავრა!
**Inkubus.** ალბად!
**ენგიჩარ.**
ძლიერი სჩანდი. სუსტი გამოსდექ!
თავისუფალი შენი ქვეყანა დაპყრობილია!
თავისუფალი! ხა, ხააა!
Inkubus! რა სთქვი?
სილამაზე!
დიდებულია!
შენ შენის ნებით არ ისურვე და თვით გიახელ!
ქალებს უყურეთ? ხელთ იარაღი!
მათის იმედის მიმკლავდებოდი?

Inkubus ჩაჰხითხითებს:

დიახ, მართალს მეუბნებოდი! გამიმეორე!
**Inkubus.** ბატონო ჩემო!
**ენგიჩარ.** მსურს მიმღერო!
**Inkubus.** ყურში განგებ მიყვირე!
**ენგიჩარ.** მიმღერე მეთქი ლატავრაზე!
**Inkubus** გემორჩილები! თავისთვის.
გიმღერ კი არა, ვიცეკვებ კიდეც!

მღერის და თან ბექარის გვამის გარშემო ცეკვავს

იგი ერთია შორეული ტურფა ასული!
**ენგიჩარ.** შორეული! ააა! დღეს ახლოა!

ლატავრას ვამპირივით უახლოვდება და გაშტერებით უყურებს

კვლავ უარს მეტყვი?
**ლატავრა** დაშნას მოუღერებს. ენგიჩარი მოასწრობს და ხელს შეუჩერებს. დაშნასართმევს.
**ენგიჩარ.** ეგრე ლამაზი იქნებ სხვა დროს არც კი ჰყოფილხარ!
მაგ ბაგეს რისხვა!.. დიდად მომწონს!..
ამ დარბაზს უნდა გამოეთხოვო...
არ არის შენი შესაფერი... მე სხვა ვიზრუნე!..
გამომყე!
შენ არც ხმას იღებ, არც იძვრები მაგ ადგილიდან.
მხოლოდ ამ დაშნით... ხა, ხა, ხა!
გამომყე-მეთქი!
**ლატავრ**.. ფეხს არ მოვიცვლი!
**ენგიჩარ.** სითამამე? მე ეგეც მომწონს!
**ლატავრა.** რა გინდა ჩემგან?
**ენგიჩარ.** წელან გითხარ: სულყველაფერი!
**ლატავრა.** არაოდეს!..
**ენგიჩარ.** ცივად დაგიმორჩილებ!
**ლატავრა.** შენ მაგ იმედით...
**ენგიჩარ.** ჩემის რწმენით...
**ლატავრა.** რწმენას დაჰკარგავ...
**ენგიჩარ.** ვაი, შენ მაშინ! ვაი, შენს ხალხს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლატავრა.** რაღაა ჩემთვის უარესი უბედურება?
ხალხი აიკელ... და მომიკალ ჩემი რაინდი....
**ენგიჩარ.** რად ხარ წარმტაცი!
**ლატავრა.** უბედურო ლატავრა!
**ენგიჩარ.** ბედნიერო!
**ლატავრა.** ჩემის ხალხისთვის!..
**ენგიჩარ.** შენ უნდა იყო დედოფალი დედოფლებს შორის
**ლატავრა** ვარ! არა შენთვის!
**ენგიჩარ** სიჩუმის შემდეგ ჰეი ვეზირო!
შემოიყვანე ტყვე გურამი და ამის თვალწინ
თავი მოჰკვეთე!

შემოჰყავთ გურამი დაბორკილი. რატი პირს იბრუნებს.

VIII

იგინივე და გურამ

**ლატავრა.** დიდს რყევაში და სულის ტანჯვაშია. შემდეგ ენგიჩარს უახლოვდება
ნუ ინებებ!
ნება მიბოძე ..
შენ მე დამიპყარ... კიდევ სისხლი...
მაჩუქე იგი!
**ენგიჩარ.** სამაგიეროდ რას მივიძღვნი?
**ლატავრა.** შენ ძლიერი ხარ... ყველაფერი დღეს შენ გეკუთვნის...
შენთვის საჭირო ..
**ენგიჩარ.** მე მსურს ლატავრა!
**ლატავრა.** არაოდეს!
**ენგიჩარ.** მოჰკვეთეთ თავი!
**ლატავრა.** შესდექ!
—რად ვერ ვახერხებ პირმოთნეობას!—
თან წამოგყვები! მაჩუქე კი მისი სიცოცხლე!
**ენგიჩარ.** მომწონს!—მიჩუქებია!

მცველებს

ჩემს კარავამდის მიაცილეთ!
**ლატავრა.** გულმოკლული გემშვიდობებით?
ეგრე დავემხე, დღეს ტყვე შევიქენ!

ლატავრას მიაცილებენ როგორც ტყვეს.

გადის გურამიც, მას მისდევს ლატავრას ამალა.

IX.

იგინივე. ლატავრას, გურამის და ამალის გარდა.

**რატი.** ჩვენი პირობა?
**ენგიჩარ.** რა პირობა?
**რატი.** როგორ?!
**ენგიჩარ.** არ მახსოვს!
**რატი.** შენ ის ტყვედ მიგყავს...
**ენგიჩარ.** ხა, ხა, ხა!
**რატი.** ახ! მივარდება ყელში. მცველები შეიპყრობენ.
**ენგიჩარ.** სახიფათოდ ხმარობ იარაღს!
შენ არ გეგონოს ტყვედ შეგიპყარ!..
მე შენთვის ვზრუნავ!..
ტყვედ არც ლატავრა მიმყავს ჩემთან!
ჩემთან იცხოვრებთ. აქ დროება არეულია!

მცველებს ანიშნებს. გარშემო შემოერტყმიან და მიჰყავთ

**Inkubus.** } ხა ხა ხა!
**ენგიჩარ.** }

X.

იგინივე, **რატის** გარდა.

**ენგიჩარ.** ვეზირო ჩემო!
თუ რამ გაბედოს გულში ჩაეცით!
რატი არ არის დღეის შემდეგ ჩემთვის საჭირო!
მაგან თავის ძმებს უღალატა,—არც მე დამინდობს!

Inkubus-ს

**Inkubus!** ბარაქალა!
კარგად გცოდნია სამსახური!
**Inkubus.** ისე შევუჩნდი და ავრიე, სულ ვერ გამიგეს!
თუმცა ბექარი ცოტად გრძნობდა ..
**ენგიჩარ.** ბარაქალა!
**Inkubus.** მძულდნენ!
**ენგიჩარ.** ბარაქალა!
**Inkubus.** რასაც დამპირდი?
**ენგიჩარ.** სიამოვნებით!
აათამაშე შენი ოქრო...
გინდა ამ ქვეყნის გამგედ დაგნიშნო?
**Inkubus.** სახიფათოა!
მაშინ მე ცხადად გამოვჩნდები! საქმეს არ არგებს!
შენი სარდალი დანიშნე და მხოლოდ უბრძანე,
რომ მან უჩემოდ არ გადადგას ერთი ნაბიჯიც!
**ენგიჩარ.** ჭკვიანურია! ბარაქალა!
ჩემო სარდალო! შენ აქ რჩები ამ ქვეყნის გამგედ!
ისე მოიქეც, ინკუბუსმა როგორც გიბრძანოს!
იმ ტყვეთა შორის უვარგისნი გამოარჩიეთ,
ხოლო ჯანსაღი და ბრძოლაში გამოსადეგნი
გადმოასახლეთ ჩემს უდაბურს და მწირს ადგილზე!
იგი ასულნიც გამოჩენილ გმირთ დაურიგეთ!
ვინც კი აქ დარჩეს, ჩემი ღმერთი უნდა ილოცოს...

ფარდა.

**სანდრო შანშიაშვილი.**

# ანატოლ ფრანსი

საფრანგეთის თანამედროვე კულტურაში განსაკუთრებულ და თვალსაჩინო ალაგს იჭერს ანატოლ ფრანსი, როგორც გამოჩენილი რომანისტი და კრიტიკოს თეორეტიკოსი; იგი თანამედროვე მოღვაწეა არა მარტო ცხოვრებით არამედ იდეებითაც.

ა. ფრანსი დაიბადა 1845 წელს მეტად არისტოკრატიულ წრეში და, რაც უმთავრესია—აღზრდილია ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ კულტურის გემოვნების ზეგავლენით. იგი არსებითად ბურჟუაზიული კულტურის მატარებელია, მაგრამ აქ იგი იყოფა ორ ადამიანად, ორ პერიოდად; ა. ფრანსი მეოცე საუკუნის დასაწყისამდე და ა. ფრანსი მეოცე საუკუნეში. განვიხილოთ პირველი პერიოდი.

ფრანსის ლიტერატურული კარიერა იწყება ლექსების პატარა ტომით „L' Etui de Nacre". უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ფრანსი თავის მოღვაწეობის დასაწყისიდგანვე არ ყოფილა ორიგინალური. ეს პირველი წიგნი პარნასელების სკოლის აშკარა ზეგავლენით და მანერითაა შექმნილი. ამას მოჰყვება ანტიური დრამა დაწერილი ლექსად: „Les Noces Corinthiennes", ამ პერიოდს ეკუთვნის მისი თანამშრომლობა გაზეთ „temps"-ში, რომელშიაც იგი სწერდა კრიტიკულ წერილებს, წერილმან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშვნებს და ბიბლიოგრაფიებს. (პირველად კი მხოლოდ ქრონიკიორი იყო).

ამ პირველ პერიოდს ეკუთვნის ფრანსის მრავალი მოთხრობები და კრიტიკული წერილები. პირველ მოთხრობებში იგი სატირიკოსია, სადაც ხაზგასმულია გულკეთილობა და ჰუმანიურობა. შემდეგ მოთხრობებსა და ლექსებში ფრანსი დიდის ერუდიციით და ნაზი ფსიქოლოგიზმით ამუშავებს სხვადასხვა საუკუნის სულს (ისტორია ფრანსისთვის საყვარელი საგანია.) მთელ რიგ მოთხრობებში (კრებული „Lalthasar“) იგი ამჟღავნებს თავის ფანტაზიის სიძლიერეს. ისტორიაში მისი საყვარელი თემაა რელიგიათა ბრძოლა. ყველა რომანებში და წერილებში ფრანსს აქვს უძლიერესი ტენდენცია ფილოსოფიურ—მეტაფიზიკურ აზროვნებისადმი. ასწერს რა მოვლენებს მხატვრული თვალსაზრისით, იგი უმატებს თავის ფილოსოფიურ მრწამს და ეს მრწამსიც ამ სილამაზიდან და ესთეტიკიდგან გამომდინარეობს. ამიტომ იგი მოწაფეა ეპიკურისა.

ა. ფრანსი ამ პირველ პერიოდში ტიპიური იმპრესიონისტია. ჩვენ ვსთქვით, რომ იგი არ არის ორიგინალური; აქ იგი ეპიგონია იმპრესიონიზმის და ე. წ. „ჰუმანიურ ინდივიდუალიზმისა“, რომელსაც ეკუთვნიან, სტანდელი, მერიმე, ფლობერი, რენანი და სხვა. კულტურის ყველა სფეროში ფრანსი იმპრესიონისტია, და იმ ადამიანთა ტიპს ეკუთვნის, რომლებიც პასიურად ითვისებენ გარემყარ სამყაროსგან შთაბეჭდილებებს და ამ შთაბეჭდილებებში ეძებენ შთაბეჭდილებებს ლამაზს, ესთეტიურს, მხატვრულს: „მე ყოველთვის ვუყურებდი ცხოვრებას, ამბობს ა. ფრანსი—როგორც წარმოდგენას, მე არასოდეს არ ვყოფილვარ მეთვალყურე, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რადგან ამისთვის უნდა გქონდეს თავისი სისტემა, მე კი არავითარი სისტემა არ გამაჩნია. მეთვალყურე უყურებს გონებით, მაყურებელი კი თვალების განკარგულებაშია. მე ვიყავი შობილი მაყურებლად ან კიდევ „მე მივყავარ გრძნობას სილამაზისას“ („Livre de mon ami“). სილამაზის სიყვარულით აიხსნება ისიც, რომ ფრანსს უყვარს ანტიური ქვეყნის ის ხანები, როცა ჰყვაოდა ხელოვნება.

მაგრამ გარდა ესთეტიური დატკბობისა იმპრესიონისტი ეძებს ეროტიულ დატკბობასაც, ამრიგად; პასიურობა, შთაბეჭდილებები, ესთეტიზმი, ეროტიზმი, სიძულვილი თანამედროვე წყობილების, სკეპტიკობა, დატკბობა, აზროვნება მეტაფიზიკური და ინდივიდუალური („ადამიანის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტება“) ამორალობა, აი პირველი პერიოდის ა. ფრანსი, რომლის განხორციელებას იგი მხოლოდ „ეპიკურის ბაღებში“ ოცნებობდა და თვითჩაკეტილობა ამ „ბაღში“, აი მთელი ფანტაზია ფრანსისა. ყოველივე ეს დამახასიათებელია არა მარტო ა. ფრანსისა, არამედ საერთოდ იმპრესიონიზმის.

მაგრამ დაიწყო მეოცე საუკუნე და ფრანსიც იცვლება. ორი ათეული წლების შემდეგ, როდესაც ნაციონალისტებმა, ანტისემიტებმა და კატოლიკებმა მოინდომეს შიგნიდან აეფეთქებინათ საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკა, მაშინ მთელი საფრანგეთი გაიყო ორ ბანაკად, საფრანგეთის სოციალისტური პარტია ჟ. ჟორესის ხელმძღვანელობით ჩადგა ერთიან რესპუბლიკანურ ფრონტის სათავეში. აქ ფრანსში მოხდა კარდინალური გარდატეხა. ბუნებით მგრძნობიარე, ჰუმანიური, უაღრესათ ინტერნაციონალისტი და ანტი რელიგიოზური



ანატოლ ფრანსი. უკანასკნელი პორტრეტი.

ადამიანი, იგი გადაჭრით და უყოყმანოდ გადავიდა სოციალისტურ ბანაკში.

ფილოსოფოსი—ესთეტი-ეპიკურელი-სკეპტიკი, პოლიტიკის მტერი უცებ მოექცა პროლეტარიატის მებრძოლ რიგებში. ფრანსის ნაზმა გონებამ იგრძნო არსებული ქვეყნის აღსასრულის მოახლოვება, იგრძნო, რომ არსებულ კაპიტალისტურ ქვეყნის ბრჭყალებში იღუპებოდა მშვენიერი კულტურა და ამასთანავე იგრძნო, რომ მომავალის ძალა—პროლეტარიატია, რომელიც უნდა გამხდარიყო ამ კულტურის მატარებელი.

ისტორიულ—ფანტასტიურ და ნაზ ესთეტიურ რომანებიდან ფრანსი გადადის ფსიქოლოგიურ—საზოგადოებრივ-სოციალურ რომანებზე თანამედროვე ცხოვრებიდან. დაივიწყა „ეპიკურის ბაღი“ და ეს ბაღი გადმოიტანა საშინელ სინამდვილეში. ამიერიდგან თავის კრიტიკულ წერილებში იგი უშიშრად ხდის ფარდას საშინელებას და ბოროტებას და ყოველგვარ სანტიმენტალობის გარეშე, ჯერ თავის გმირების სახელით შემდეგ კი თავისივე სახელით ჰგმობს უსამართლო წყობილების სამართალს, მის ეთიკას, კანონებს და აშკარა სიმპატიით ეპყრობა ჩაგრულთ. ფრანსი დიალექტიკია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და სპინოზასთან ერთად იგი ცდილობს, არ იტიროს, არ იცინოს, არც განსაჯოს, არც მორალიზაცია უყოს, არამედ გაიგოს და ახსნას. (აქ იგი დარჩა იმპრესიონისტი!).

ფრანსი იწყებს ისევ ისტორიულ რომანების დიდ სერიას "Nistoire Contemporaine"-ს საერთო სათაურით. აქ იგი ნაწილობრივ დარჩა ძველი ფრანსი ესთეტი და ისტორიკოსი თავისი ფილოსოფიური ანალიზით, მაგრამ რაც უმთავრესია ამ სერიაში შევიდა თანამედროვეობაც და აქ, როგორც თანამედროვეობის შემეცნებელი იგი სოციალური მწერალია, ტენდენციური ფაბულა შედუღებულია ცოცხალ საზოგადოებრივ რეალობასთან, არჩევნებითი და რევოლიუციონური აგიტაციით, ინციდენტების, გაფიცვების და მთელი რიგი ფაქტების აღწერით. აღწერილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრეიფუსის პროცესი (ეს პროცესი იყო თავდაპირველი მიზეზი ა. ფრანსის გარდატეხისა და მან დიდი სამსახური გაუწია მას ავტორიტეტის გაზრდაში, ამ პროცესის მეოხებით ფრანსი შეიქმნა გამოჩენილი მოღვაწე ანტინაციონალისტური ოპოზიციისა და სახალხო მწერალი), და მრავალი წვრილმანები მის თანამედროვეობისა.

რომანი „Affair Craihgulbille“ სატირაა მიმართული თანამედროვე წყობილების მიმართ, რომელშიაც ავტორმა გამოიჩინა დიდი ცოდნა მუშათა კლასისა. რომან „ღმერთებს სწყურიათ“-ს შემდეგ, რომელშიაც მთელი მწერლური პათოსით აწერილია საფრანგეთის რევოლიუცია ისტორიულ პერსპექტივაში, იგი სწერს „ანგელოზების აჯანყება“-ს მწარე მკბენარ სატირას ღმერთის წინაარმდეგ. შემდეგ იგი სწერს „უკეთეს დროებისკენ“, „თეთრ ქვაზე“, „კუნძული პანგვინიკების“-ას, რომლებშიაც ირონიულათ აცილებს საფლავისაკენ კაპიტალისტურ წყობილებას და არსებული პერსპექტივებით იხედება მომავლისკენ. ირონია ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ფრანსისა, მაგრამ ამას ემატება სიყვარული მომავლისა. მომავალის განჭვრეტაში იგი ეთანხმება მარქსის დებულებას, რომ მთელი ისტორია დღემდე შესავალია მომავალი სოციალისტური წყობილებისა და დიდის რწმენით აღიარებს სენ-სიმონთან ერთად, რომ „სამოთხე“ კაცობრიობის „ოქროს საუკუნე“ წარსულში კი არ არის, არამედ მომავალშიაო. ამიტომ მან მიიღო რევოლიუცია მთელი თავისი საშინელებით არა როგორც პოეტური ფანტაზია, არამედ როგორც გარდაუვალი სინამდვილე, და იგი პოულობს თავის თავში იმდენ გაბედულობას, რომ მოიხსნას არქაული სამოსი ადამისა და შეეგებოს რევოლიუციას. იგი დასცინის არსებულს, დასცინის და ამასთანვე დასტირის მის სიკვდილს, რადგან თვით გამოსულია ამ არსებულისაგან და უყვარდა იგი.

ასეთია ა. ფრანსი შემოქმედების მეორე პერიოდში. მან დასტოვა ფრანსი პირველი პერიოდისა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთლად დატოვება იმისა რაც იგი იყო, შეუძლებელია. იგი დარჩა ისევ ეპიკურელი ფილოსოფოსი ესთეტი, დარჩა უდიდესი მხატვარი. დამსახურებაც იმაშია, რომ იგი მთელ თავის უკანასკნელ რომანებს დიდის ოსტატობით ჰქმნის და დარჩა ერთი საუკეთესო ფრანგი „conteùzs“ ენის მხატვრობით და სტილით.

ბევრი კრიტიკოსი და მათ შორის ფრანგი მიშო ფრანსის ამ გარდატეხას, არა გულწრფელ გარდატეხათ სთვლის. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფრანსი ჩადგა სოციალისტურ პარტიის რიგებში, გახდა უაღრესი ანტირელიგიოზური და ინტერნაციონალისტი, მას შემდეგ, რაც მან გამოაქვეყნა ანტიმილიტარისტული და ანტიიმპერიალისტური მანიფესტები უკანასკნელ ომის წინაალმდეგ, და გამოაქვეყნა თავისი რომანები „თეთრ ქვაზე“, „უკეთეს დროებისაკენ“ და „პანგვინიკების კუნძული“—ჩვენ იგი მიგვაჩნია პროლეტარიატის საუკეთესო მოკავშირედ.

პ. ქიქოძე



ტ ო ლ ლ ე რ.



ტოლლერ საპყრობილეში.

# ერნსტ ტოლლერ

მიუხედავად იმ ქარიშხლიან კატასტროფისა, რომლის რგოლშიაც ამ უკანასკნელ წლებში მოექცა გერმანეთი, იქ მაინც ხდება გიგანტიური სიძლიერით ახალი კულტურული და მხატვრული სულის აღდგენა. კერძოთ ხელოვნების სფეროში ეს აღდგენა ხდება უმთავრესად იმ მიმართულების დროშის ქვეშ, რომელსაც ეწოდება ექსპრესიონიზმი.

ამ მიმართულების წარმომადგენლები დრამის სფეროში არიან გეორგ კაიზერ, ფრიც ფონ-ურნუ, ფრანც ვერფელ, ერნსტ ტოლლერ და სხვ.

თვითეული მათგანი აწვითარებს რევოლიუციონურს იდეებს, მათი სიტყვები მიმართულია ბურჟუაზიულ საზოგადოების წინაალმდეგ. მაგრამ მათგან ძლიერ უმნიშვნელო რიცხვი არის შეკავშირებული საქმით მებრძოლ პროლეტარიატთან. მათ შორის—ერნსტ ტოლლერ, ადამიანი, რომელიც რამოდენიმე წელი იტანჯება ნიდერშენფელდის ნესტიან სატუსაღოში მხოლოდ იმისთვის, რომ მან გაბედა დაჩაგრულ პროლეტარიატის ინტერესებისთვის ხმის ამოღება და მისი დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერნსტ ტოლლერ დაიბადა 1893 წ. 1 დეკემბერს, ქ. სამოჩინში, ბრომბერგის მახლობლად, (გერმანეთში), საკმაოდ შეძლებულ ვაჭრის ოჯახში.

პირველ დაწყებითი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, შედის რეალურ სასწავლებელში, სადაც გამეფებულ იყო პრუსიის მილიტარიზმის და ბრმა დისციპლინის სული; მას ეს რეჟიმი ბორკავდა, გზას უხშობდა. ერნსტ ტოლლერმა ხსენებულ სასწავლებელში დაჰყო შვიდი წელი. ძისი მოგონება მას შემდეგში სულს უღშფოთებდა.

სწავლის გასაგრძელებლად ის მიემგზავრება საფრანგეთში და შემდეგ შვეიცარიაში, საიდანაც ის ბრუნდება გერმანეთში მსოფლიო ომის დაწყებისას, იმ მიზნით, რომ „დაიხსნას სამშობლო", რისთვისაც ის ეწერება მოხალისეთა ჯარში.

13 თვის თხრილებში ყოფნის შემდეგ ტოლლერს ანთავისუფლებენ სამსახურიდან, როგორც გამოუსადეგარ ადამიანს სამხედრო კარიერისთვის. ის მიემგზავრება მიუნხენში და შემდეგ ჰეიდელბერგში სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ სწავლის მაგივრად მას იტაცებს რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც მაშინ სწრაფი ნაბიჯით ვითარდებოდა. აარსებს ახალგაზრდა რევოლიუციონერების წრეს, რომელშიაც თავი მოიყარა საკმაოდ დიდმა რიცხვმა გაბედულ ახალგაზრდა რევოლიუციონერებისამ და რომლებიც ეწეოდნენ გაბედულ აგიტაციას პრუსიის იუნკრულ-ჩინოვნიკური მთავრობის წინააღმდეგ.

მთავრობის ბრძანებით სულ მალე დაატუსაღეს „სამშობლოს მოღალატე" ერნსტ ტოლლერ. სატუსაღოს კედლებში მან შექმნა თავისი პირველი დრამატიული ნაწარმოები „Die Wandlung", სადაც დახასიათებულია მებრძოლი ადამიანი და ისმის ძახილი შებორკილი მონისა.

გერმანეთის პირველმა რევოლიუციამ ის გაანთავისუფლა სატუსაღოდან.

ტოლლერი მიეშურება მიუნხენში; იქ იმ ჟამად გამოცხადებული იყო საბჭოთა ხელისუფლება. ის მონაწილეობას იღებს აქტიურ მუშაობაში და ხდება ბავარიის საბჭოთა მთავრობის წევრად. ამ მთავრობის არსებობა არ იყო ხანგრძლივი. დაეცა 3 თვის შემდეგ და ტოლლერსაც მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ატუსაღებენ.

ცნობილმა მწერლებმა თომას მანმა, ჰერგარდ ჰაუპტმანმა და ბერნსგარნე ბერნსონმა ხმა აღიმაღლეს ტოლლერის დასაცავად, მაგრამ სასამართლომ თავისი გაიტანა და მებრძოლ ადამიანს გადაუწყვიტა ხუთი წლით სატუსაღო. ვადა ამ სასჯელისა შესრულდება 1924 წ. 16 ივლისს.

მაგრამ ნიდერშენფელდის ნესტიანმა კედლებმა ვერ შესძლო დამორჩილება ერნსტ ტოლლერის ამაყი სულისა. მან იქ სრული სიმშვიდით დასწერა ხუთი საყურადღებო დრამა, რომელიც გადათარგმნილ იქმნა თითქმის ყველა ენაზე. თითეულ ამ დრამათაგანის მთავარი მამოძრავებელი ფენომენი არის ბრძოლა დაჩაგრულ კაცობრიობის სულის გასანთავისუფლებლად, რომელსაც ის იხილავს „კარდინალურ საკითხების რგოლთა სვლაში" და რომელიც წარმოადგენს არა აბსტრაქციული გზით ასახვას, არამედ ცხოვრების სინამდვილის რელიეფურ სახეს ანუ როგორც თვით ამბობს: „ჩემს ნაწერებში იხატება ცხოვრების მკვეთრი სურათები და მისთვის მე არაფერი მიმიმატებია".

ამ მიზნით არის დაწერილი: „მანქანების განმანადგურებელნი", „კაცი მასსა", „Der deutsche hinkemann" და სხვ.

შალვა რადიანი.

# ჩვენი კულტურული ფრონტის გარშემო.

წერილი მესამე.

ქართველი ერის და მისი მშრომელი ნაწილის სწავლა განათლებისა და კულტურულ განვითარების საქმე საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან, რუსეთის დიდ რევოლიუციამდე, ბიუროკრატიული რუსეთის წყალობით მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ძველი რუსეთის სასკოლო პოლიტიკა ულმობელ სისასტიკით უარყოფდა პედაგოგიის—ყოველგვარ საღ მოთხოვნილებებს არა თუ განაპირა შემოერთებულ ქვეყნებში, თვით რუსეთშიაც. ამრიგად მოზარდი თაობის სწავლა განათლების საქმეს სრულიად ყალბ ნიადაგზედ აყენებდა.

ბიუროკრატი მოხელეები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, რომ განაპირა ქვეყნებში სამუდამოდ ჩაექროთ კულტურული კერა, და მოესპოთ—ერისათვის ნორმალური განვითარების გზა.

საქართველოს საუკეთესო შვილები კარგად გრძნობდნენ ამ გამათახსირებელ პოლიტიკას, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო, მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე, კულტურული ფრონტის განსამტკიცებლად შესაფერს პირობებს ვერა ჰქმნიდნენ.

ვინც ქართველი ერის გონებრივად განვითარების ისტორიას—ოდნავ მაინც—დაკვირვებია, იგი უეჭველად დაგვიმოწმებს, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ 6 ხევარში გამარუსებელი პოლიტიკის წყალობით საქართველოს მთელს ტერიტორიაზედ კულტურული მაჯის ცემა შეწყდა, ეროვნულ კულტურულ დაწესებულებათა ჩანასახიც კი მოისპო და განადგურდა, ქართული ენა თითქმის მთლად განიდევნა სასწავლებლებიდან და მოზარდი ახალგაზრდობა მოსწყდა ბუნებრივად განვითარების გზას.

მაგრამ საბედნიეროდ რუსეთში თავი იჩინა სამოციან წლებში განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც თუ უახლოეს არა, შორეულ მიზნად მაინც დაისახა რუსეთის მაშინდელი მთავრობის მავნე და გამათახსირებელი საერთო პოლიტიკის შეცვლა.

ცხადია ეს მოძრაობა საქართველოშიაც დიდ თანაგრძნობას მოიპოვებდა.

ამ იდეებით გატაცებულმა ჩვენმა ახალგაზრდობამ სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით გააჩაღა ხალხში და ხალხისათვის კულტურულ ფრონტის გარშემო მუშაობა და მიუხედავად იმ დროის აუტანელ პირობებისა, რამდენიმედ მიაღწიეს დადებით შედეგსაც.

დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ბესარიონ და ნიკო ღოღობერიძეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მრავალი კიდევ ჩვენი სხვა მოღვაწე კარგად გრძნობდნენ ქართველი ერისა და მისი მშრომელი ნაწილის გარშემო შექმნილ დამღუპველ პირობებს და ამიტომ მთელს თავის ცოდნას, ენერგიას და გამოცდილებას იყენებდნენ იმისათვის, რომ ქართველი ერი ეხსნათ დაღუპვისგან, არ ჩამოეშორებინათ იგი გონებრივად განვითარების სალსა და ნორმალურ გზას.

ჩვენს მაშინდელ მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ სკოლა დიდი კულტურული ძალაა და მისი ნორმალურ პირობებში ჩაყენება პირველ ხარისხოვანი საზრუნავი საგანია და კიდევაც ამ მხრით მიმართეს მათ თავისი მოღვაწეობა.

რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბიუროკრატი მოხელეები, საქართველოში ყალბ სასკოლო პოლიტიკას აწარმოებდნენ და სასწავლებლებში სამშობლო ენის სწავლება თუ ყველგან მთლად არ მოსპეს, მაინც შეზღუდეს და აუტანელ პირობებში ჩააყენეს.

საშუალო სასწავლებლებში, გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში, პირველ ორ კლასში ისწავლებოდა სამშობლო ენა და ისიც მეექვსე გაკვეთილები ჰქონდა განკუთვნილი და ყველასათვისაც სავალდებულოდ არ იყო მიჩნეული.

სოფლის სკოლების სასწავლო პროგრამებში მართალია ქართული ენის, როგორც საგნის, სწავლება შეტანილი იყო, მაგრამ ათასგვარი ხრიკების წყალობით ამ ენის სწავლება არა ბუნებრივად და სრულიად უშედეგოთ სწარმოებდა.

აუცილებლივ საჭირო იყო სხვა გეზის დასახვა, რათა საშუალება მისცემოდა ჩვენს მოზარდ თაობას უფრო ნორმალურ პირობებში მიეღო სწავლა განათლება და ყალბსა და გამათახსირებელ გზას ჩამოშორებოდა.
სკოლის გაეროვნების საკითხში, არა უკანასკნელი როლი ერგო ქართულ გიმნაზიებს, რომელთაც მართალია სახელწოდება სათავად-აზნაურო გიმნაზიებისა ჰქონდათ, მაგრამ იქ სასწავლებათ დაშვებული იყვნენ მრავლობით ქართველი მოწაფეები წოდების გარეშე.

ჯერ კიდევ 1905 წელს, როცა რუსეთის დიდი იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეს მოედო განმათავისუფლებელი მოძრაობა ტფილისის ქართული გიმნაზიის ხელმძღვანელებმა განსვენებული მებრძოლის და დიდი რევოლიუციონერის შიო ჩიტაძის, ამ სასწავლებლის გამგის, ხელმძღვანელობით მოაწყეს ბარიატინის ქუჩაზედ, სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, ტფილისის ყველა ტიპისა და საფეხურის მასწავლებელთა ყრილობა, რომელზედაც განსვენებულმა ჩიტაძემ გაბედულად, სრულიად უშიშრად, საჯაროდ მოითხოვა. „თავისუფალი სკოლა თავისუფალ რუსეთში“.

მასწავლებელთა ეს ყრილობა თავისი შედეგებით მეტად დიდ მნიშვნელოვანი გამოდგა. განსვენებული შიო ჩიტაძის მიერ გადმოსროლილმა ლოზუნგმა ყუმბარასავით იფეთქა საქართველოს ფარგლებში და მოზარდმა ახალთაობამ სასტიკი პროტესტი გამოუცხადა ძველ სკოლას და მის ხელმძღვანელობას, მან სასტიკათ დაჰგმო უმთავრესი საფუძვლები ამ სკოლისა და ნიშნად ღრმა აღშფოთებისა და უკმაყოფილებისა ყველა სასწავლებელში საერთო გაფიცვები გამოაცხადა.

კარგად მახსოვს, იმავე 1905 წელს ტფილისის მოსწავლე ახალგაზრდობამ მამა დავითის მთის წვერვალოზედ საპროტესტო მიტინგი გამართა.

კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელი მზრუნველი ზავადცკი და ტფილისის სასწავლებლების მასწავლებლები და ადმინისტრატორები შეიკრიბენ მამა დავითის მთის კალთების ძირს და ფიქრობდნენ თუ ყველას არა, ნაწილს მაინც მონაწილეობა მიეღო მიტინგში და ერთგვარი ხელმძღვანელობა გაეწია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

მოსწავლეთა მიტინგის მომწყობმა კომისიამ გამოუგზავნა ოლქის მზრუნველს ზავ დცკის დელეგატები და შეატყობინა, რომ მიტინგის პრეზიდიუმმა დაადგინა ყრილობაზედ დასწრების ნება არ მისცეს არც ერთს მასწავლებელს და ადმინისტრატორს გარდა ტფილისის ქართულ გიმნაზიის გამგის და მასწავლებლებისაო.

ზავადცკიმ ღიმილით, მაგრამ ამავე დროს შესამჩნევი გულის ტკივილით მიმართა ქართული გიმნაზიის მაშინდელ გამგეს შიო ჩიტაძეს: „შიო ალექსეევიჩ! თქვენ და თქვენი მასწავლებლები მაინც დაესწარით ყრილობას, რაკი ჩვენ ესეთი დასწრების უფლებას არ გვაძლევენ, და იმედი მაქვს საჭირო ხელმძღვანელობას გაუწევთ მოწაფეებს“ო...

მიტინგი, რომელზედაც ქართული გიმნაზიის მასწავლებლები დაესწრნენ, ახალგაზდური ჩვეულებრივის აგზნებით ჩატარდა. მთელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ ერთხმად დაჰგმო ძველი სკოლის საფუძვლები.

ეს უშიშარი ხმა მუდამ და ყოველ ჟამს მოუწოდებდა მოსწავლე ახალგაზრდობას ახალი ცხოვრების წესწყობილების დასამყარებლად და განსამტკიცებლად.

ჩვენი სწავლა განათლების მიუდგომელი მკვლევარი ცხადია თავის დროზედ უტყუარ მსჯავრს დასდებს ამ სასწავლებელთა დაუძინებელ მტრებს, რომლებიც ყოველ მოხერხებულ დროს სიკვდილის აჩრდილივით თავს დასცქეროდნენ და მათ მოსპობას და მიწასთან გასწორებას ენერგიულად ცდილობდნენ.

მთავრობის სასკოლო პოლიტიკის დასაპირდაპირებლად და ერთგვარად ამ პოლიტიკის შესანელებლად ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა დააარსეს ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც წესდებით უფლება ეძლეოდა ბიბლიოთეკებისა და პირველდაწყებითი სასწავლებლების გახსნისა ყველა იმ ადგილებში, სადა ქართველები სცხოვრობდნენ.

ამ საზოგადოების მესვეურებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ სოფლის სკოლები თავისი სასკოლო პროგრამებით მოზარდ თაობას გადაგვარების გზაზედ აყენებდნენ და ნაცვლად ჭეშმარიტი სწავლა განათლებისა გონებას განზრახ უხშობდნენ.

აი, სწორედ ამ ანორმალობის თავიდან ასაცილებლად წ. კ. საზოგადოებამ მოიპოვა უფლება მის მიერ გახსნილ სასწავლებლების პროგრამაში შეეტანათ ქართული ენის და სამშობლოს აღწერის შესწავლა, ანგარიშისა და სხვა საგნების სწავლება პედაგოგიის სალი მოთხოვნილების თანახმად ეწარმოებინათ სამშობლო ენაზედ.

ტფილისისა და ქუთაისის ქართულ გიმნაზიებს და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებთან ერთად ტფილისის სასულიერო სემინარიაც ყოველთვის მოძრაობის ავანგარდში იდგა და თავისი ყოველდღიურ მოქმედებით სასტიკ პროტესტს უცხადებდა არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებულ რეჟიმს და ჩვენი ეროვნული კულტურისათვის დამღუპველ სასკოლო პოლიტიკას.

ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკის მოწაფის მიერ სასიკვდილოდ დაჭრა სამკვდრო-სასიცოცხლო პირველი ომის გამოცხადება იყო საქართველოში არსებულ სასკოლო დამღუპველ პოლიტიკის წინააღმდეგ.

ეროვნულ კულტურის განსამტკიცებლად და გასაჩაღებლად წინამძღვარიიანთ კარში ჩვენის საზოგადო მოღვაწეების თაოსნობით გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომლის სასწავლო პროგრამას საფუძვლად დაედო სამშობლო ენაზედ ყველა საგნების სწავლება.

მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას რომ სამშობლო ენაზე სწავლა აღზრდის მიღების საშუალება არ მოსპობოდა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა საყმაწვილო წიგნების გამოცემას. ამავე მიზნით 1884 წელს დაარსდა ანდრია ღულაძის რედაქტორობით საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“, 1890 წელს მეორე საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ ანასტასია წერეთლის რედაქტორობით, ხოლო 1904 წელში კი განსვენებული მარიამ დემურიას რედაქტორობით მესამე საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“.

ამ პერიოდულ საყმაწვილო გამოცემათა გარდა ტფილისში და ქუთაისში და აგრეთვე პროვინციის ზოგიერთ ქალაქებში დაარსდა კერძო წრეები, რომლებიც დროგამოშვებით სტამბავდნენ საყმაწვილო წიგნებს და ამრიგად ხელს უწყობდნენ ჩვენ მოზარდ ახალთაობას სამშობლო ენაზედ სწავლა-განათლების მიღების საქმეში.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ჩვენდა საბედნიეროდ და სასიხარულოდ სამუდამოდ ბოლო მოუღო განაპირა ქვეყნების და მათ შორის საქართველოს ასი წლის მონობას და ქართველმა ერმა თავისუფლად ამოისუნთქა იმ იმედით, რომ იგი ამიერიდან შესძლებს თავისი ეროვნული კულტურის განმტკიცებას და აღორძინებას მშრომელი მასების საკეთილდღეოთ.

რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიის სივრცეზედ და აგრეთვე განაპირა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიაც რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ დამყარდა ახალი ცხოვრება ახალი მიზნებით და სულ სხვა მიმართულებით და ამ ჟამად ისტორიის ჩარხის უკან მოტრიალება და ძველი დესპოტიური რეჟიმის გამეფება ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია და არავითარ შემთხვევაში შესაძლებელი არაა.

მშრომელი მასების 90 პროცენტმა როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიაც იგემა თავისუფლების სიტკბოება და ამიტომ იგი ამიერიდან არავის არ დაუთმობს რევოლიუციის მონაპოვართ.

სასკოლო პოლიტიკაში უკვე ცხოვრებაში გატარებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეფორმები სრული თავდებია იმისა, რომ ის შიში, რომელსაც თვითმპყრობელობის ტახტის დანგრევამდე განიცდიდა ქართველი ერის შეგნებული და მშრომელი ნაწილი ასი წლის განმავლობაში, ჩვენს მოზარდ თაობას ამიერიდან უკვე არ მოელის და ამრიგად ჩვენი ეროვნული კულტურული ფრონტის აღორძინება და განმტკიცება უზრუნველყოფილია.

ცხადია, განათლების კომისარიატის მიერ ცხოვრებაში გატარებულ სასკოლო რეფორმათა შორის ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლების გაეროვნების რეფორმას ერთერთი საპატიო ადგილთაგანი უჭირავს.

სასწავლებლების ასი წლის მონობის შემდეგ მათი გაეროვნება დიდი პასუხისმგებელი საქმეა, მისი ცხოვრებაში გატარება საღი პედაგოგიური პრინციპების მიხედვით დიდ სიფრთხილეს, დიდ წინდახედულებას და დიდ სამზადის მოითხოვს, თუ გვსურს რომ ამ მნიშვნელოვანმა რეფორმამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს და ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას მიეცეს სრული საშუალება და შესაძლებლობა სამშობლო ენაზე მიიღოს ჭეშმარიტი სწავლა განათლება.

განათლების კომისარიატმა სათანადო ანგარიში გაუწია თანამედროვე ქართული სკოლის მოთხოვნილებათ და მიიღო შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარი ზომები, რათა გაეროვნებულ სასწავლებლებისათვის მოემზადებია სათანადო ცოდნით შეიარაღებული კადრი მასწავლებლებისა, სკოლები უზრუნველეყო საჭირო სახელმძღვანელოებით და ერთგვარი გარკვეული ტერმინოლოგიაც შეემუშავებინა სახელმძღვანელოებში სახმარებლად.

ცხადია, განათლების კომისარიატს ჯერ კიდევ დიდი მეცადინეობის და ენერგიის დახარჯვა დასჭირდება, რომ სასწავლებლებში გაეროვნების საქმე სასურველ დონეზედ დააყენოს, ვინაიდან ეს საკითხი დღევანდელი ჩვენი ცხოვრების პირობებში მეტად რთულსა და პასუხისაგებ ფარგლებშია მოქცეული.

გაეროვნებულმა სკოლებმა რომ მართლაც სასურველი ნაყოფი მოიტანოს აუცილებლად საჭიროა მივაწოდოთ მოსწავლე ახალგაზდობას გარეშედ საკითხავი **საყმაწვილო წიგნები** და ამ რიგად გაუადვილოთ მას სახელმძღვანელოების საშუალებით შეძენილი ცოდნის გაფართოვება და უფრო ღრმად და ვრცლად შეთვისება.

საყმაწვილო წიგნების გამომცემლობას საქართველოს გასაბჭოებამდეც ჰქონდა მიქცეული ყურადღება. ამ დარგის წიგნების გამოცემას ხელმძღვანელობდნენ ჩვენში არსებული საყმაწვილო ჟურნალების რედაქციები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, კერძო წრეები და ზოგიერთი კერძო პირებიც.

სამწუხაროდ, ვინაიდან სახელმწიფო ამ საჭიროებისათვის არცერთ გროშს არა ხარჯავდა, მოხსენებულ პირთა და ორგანიზაციების მოღვაწეობა საყმაწვილო წიგნების გამომცემლობის საქმეში მეტად ვიწრო ფარგლებით იყო შემოხაზული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი განათლების კომისარიატმა საყმაწვილო წიგნების გამოცემის საქმე სახელმწიფოებრივ საჭიროების საქმედ აღიარა

კომისარიატმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია საბავშო გამომცემლობის სათანადო სიმაღლეზედ დაყენება, რადგან ჩვენი საბავშო ლიტერატურა მეტად ღარიბია და სკოლისა და ოჯახის მოთხოვნილება კი ამ მხრით სრულებით არაა დაკმაყოფილებული არსებული საყმაწვილო წიგნებით.

ამ მეტად საჭირო საქმის განსახორციელებლად კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობასთან დაარსდა **ლიტერატურულ მხატვრული სექცია**, რომელსაც მიზნად აქვს დასახული შექმნა და განვითარება თანამედროვე სკოლის საჭიროებისათვის საყმაწვილო ლიტერატურისა.

კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დებულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით ლიტერატურულ მხატვრულ სექციას დავალებული აქვს აგრეთვე მუსიკისა და საბავშო თეატრის ჯეროვნად მოწყობა.

ეს სექცია დაარსდა 1922 წლის ივნისში და ამა წლის 1 იანვრამდე დიდი ენერგია გამოიჩინა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად.

სალიტერატურო სექციის მეცადინეობით დაიბეჭდა 34 სახელწოდების საყმაწვილო გამოცემა მხატვრული და პროლეტარული შინაარსისა.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში სექციამ ქართულსა, სომხურსა და თათრულ ენებზედ გამოსცა 176.000 ცალამდე სხვა და სხვა სახელწოდების წიგნი და ჟურნალი.

სალიტერატურო სექციის მნიშვნელობა ჩვენი მოზარდი თაობის გათვითცნობიერების საქმეში მეტად დიდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან მან მიზნად აქვს დასახული განავითაროს და შექმნას რესპუბლიკანური მაშტაბით ახალი სკოლისა და ცხოვრებისათვის შესაფერისი ლიტერატურა და ხელოვნება მუსიკისა, თეატრის, მხატვრობის და კინემატოგრაფიის შექმნის და განვითარების სახით.

ამ დიდი და რთული მიზნების მისაღწევად და ცხოვრებაში გასატარებლად სექცია ბეჭდავს დასურათებულ საბავშო ჟურნალებს და კრებულებს სკოლისა და სასკოლო ასაკამდე ბავშთათვის, არჩევს და ადგენს გამოსაცემ საყმაწვილო წიგნებს ლიტერატურის ყველა დარგიდან.

სალიტერატურო მხატვრულ სექციასთან არსებობს სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც შედიან განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ყველა განყოფილების გამგენი და საჭიროების მიხედვით კოოპტაციის სახით იწვევენ დროგამოშვებით მცოდნე და გამოცდილ პირებსაც.

ვფიქრობთ და კიდევაც ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მოხსენებული კრებული ღირსეულ ხელმძღვანელობას გაუწევს საყმაწვილო ლიტერატურის აღორძინებისა და განვითარების საქმე და ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ეს საშვილისშვილო საქმე სახელმწიფოებრივ საჭიროების საქმედ გამოაცხადა და მიმდინარე 1924 წლისათვის ხარჯთაღრიცხვით 33,244 მანეთი გადასდო.

ჩვენ ჩვენის მხრით ვუსურვებდით სალიტერატურო სექციას წარსულ წლებთან შედარებით კიდევ უფრო მეტს ენერგიას, კიდევ უფრო მეტ გამჭრიახობას და საქმიანობას საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემისა და მისი გავრცელების საქმეში.

ალექსანდრე მიქაბერიძე.

# ევროპიის პოლიტიკური მოღვაწენი და მწერლები ლენინზე.

(დასასრული *).

## ტომ. შოუ.

(საზოგადო მუშაობათა მინისტრი მაკდონალდის კაბინეტში; მანამდე კი — მე-2 ინტერნაციონალის მდივანი.)

თქვენ მთხოვთ მოგაწოდოთ ჩემი აზრი ლენინზე. თუმცა მე ვიყავი და ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ ლენინის პოლიტიკა შემცდარი იყო, რომ შეუძლებელი იყო მისი იდეების განხორციელება, და განსაკუთრებით რუსეთში, მიუხედავად ამისა, მე არ შემიძლია შევცვალო მის შესახებ ჩემში ერთხელ განმტკიცებული აზრი მასზე, როგორც უთუოთ უშიშარ, უთუოთ პატიოსან ადამიანზე, რომელიც ყოველთვის მზად იყო ეღიარებინა, რომ ესა თუ ის ნაწილი მისი თეორიისა ვერ განხორციელდა და აქედან შესაფერი დასკვნა გამოეყვანა. ეს უკანასკნელი ღირსება შეიძლება ჩავთვალოთ ყველაზე უფრო იშვიათ ღირსებად პოლიტიკოსებისა და იმ პიროვნებათა, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ ხალხზე.

## ოლაფ შეფლო.

(ნორვეგიის კომპარტიის თავმჯდომარე).

ნორვეგიელი პოეტი პერ სივლე ერთ თავის ლექსში ამბობს: „დროშის სიდიადე იმაშია, რომ იგი რჩება მაშინაც, როდესაც მედროშე ეცემა“.

## ტურე ნერმან.

(შვედელი პოლიტიკოსი და მწერალი)

მისი სახელია—ბრძოლა. მისი მოგონებაა—ბრძოლა. მისი მემკვიდრეობა—ბრძოლაა.

## ე. ხეგლუნდ.

(ცნობილი შვედელი კომუნისტი)

ლენინი რევოლიუციის დინამიტი იყო, ახალ წესწყობილების მიწის ძვრა. იგი ბელადიც იყო ახალ სოციალურ წესწყობილების აღმშენებლობის, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობის საქმეში. იგი იყო ყველა ქვეყნის ღარიბთა და დაჩაგრულთა დროშა. მისგან შექმნილი საქმე ათას წლებს იცოცხლებს.

## ემილ სტანგ.

(ნორვეგიის კომპარტიის მე-2 თავმჯდომარე.)

მე მქონდა ბედნიერება ლენინთან მუშაობისა კომინტერნის პირველ კონგრესისათვის მზადების დროს. მასთან გაცნობის დროს მე გამაოცა მისმა სიდიადემ ჩვენთან შედარებით და მისმა დაუჯერებელმა თავმდაბლობამ. ამ ისტორიულ დღეებში ის იყო არა მარტო ჩვენი დიადი და შორსმჭვრეტელი მასწავლებელი, არამედ ჩვენი უგულითადესი და საუკეთესო ამხანაგი.

## ალბერდ ტრენ.

(საფრანგეთის კომპარტიის ც. კ. წევრი)

მსოფლიო რევოლიუცია განაგრძობს თავის გზას. ლენინი გარდაიცვალა. მოვიწმინდოთ ცრემლები და განვაგრძოთ ჩვენი გზა.

ჩვენი გენიალური ბელადი გარდაიცვალა, მაგრამ ჩვენთან დარჩა იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მან შექმნა 1903—1917 წლებში.

---

*) იხ. დროშა № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შუაგის, კომუნისტურ ინტერნაციონალის და რუსეთის პარტიის სულის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროთ უნდა შემოკრბენ მსოფლიო პროლეტარიატის ყველა ძალები.

ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმი სცოცხლობს.

ლენინიზმი, ეს მოქმედებაში მყოფი მარქსიზმი, ბურჟუაზიის წინაალმდეგ ბრძოლაში წაიყვანს მსოფლიო მუშათა კლასს.

## გეორგ ლუკაჩ.

(უნგრელი მწერალი, კომუნისტი).

ოპორტიუნისტები ამბობენ: რუსეთის რევოლიუციის გამოცდილება ლენინმა დოგმატიურად მიუყენა სრულიად სხვაგვარ პირობებს ევროპისას. მათი პაპები თავის დროზე ამბობდნენ ინგლისურ კაპიტალიზმის განვითარების პირობები მარქსმა გადაიტანა მთელ კაცობრიობის განვითარების კანონებზეო—ორივე შემთხვევაში ოპორტიუნისტებს გამორჩათ ერთი წვრილმანი რამ, სახელდობრ, რომ მარქსი და ლენინი მსოფლიო ისტორიულ მასშტაბის გენიოსები იყვნენ. როგორც მარქსმა ინგლისურ ქარხნის ანალიზიდან განავითარა საზოგადოთ კაპიტალიზმის განვითარების ჭეშმარიტი კანონები, ისე ლენინმა არა თუ აღმოაჩინა რუსეთის რევოლიუციის შესაძლებლობანი (პროლეტარიატის როლი, დამოკიდებულება გლეხობასთან და სხვ). და ამასთან ერთად დაინახა მათში აგრეთვე მსოფლიო რევოლიუციის პრობლემები. არც მარქსს და არც ლენინს არ გადაუქცევიათ „ზოგადად“ ის, რასაც მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. ორივემ ერთი ქვეყნის განვითარებაში ჭეშმარიტ გენიოსის განჭვრეტით იპოვეს საყოველთაო განვითარების ფარგლები.

## ჟაკ სადულ

(საფრანგეთის კომპარტიის ერთი ბელადთაგანი).

იმ აუნაზღაურებელ დანაკლისის შესაფასებლად, რომელიც წილად ხვდა საბჭოთა რუსეთს, უნდა გავიხსენოთ, რომ საფრანგეთის მუშათა კლასმა ათი წლის ძალდატანების შემდეგ და გერმანიის მუშათა კლასმა ხუთი წლის ბრძოლის შემდეგ ჯერაც კი თავი ვერ დააღწიეს იმ აღრევას, რომელშიაც ისინი მოამწყვდია ჟორესის, კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის სიკვდილმა.

მაგრამ ლენინი გვიტოვებს ჩვენ ისეთ მემკვიდრეობას, როგორიც ვერ დაგვიტოვეს ვერც ჟორესმა და ვერც კარლმა და ვერც როზამ. ის ჩვენ გვიტოვებს დიდებულ რევოლიუციონურ პარტიას, 15 წლის ბრძოლით გამობრძმედილს, ექვსი წლის ძალაუფლების ქონებით მომწიფებულს და გამოცდილს. ის გვიტოვებს ჩვენ თავის სახელს, ბურჟუაზიის პირველ დამარცხების სიმბოლოს, თილისმას, რომელიც ჩქარ და დიად გამარჯვებებს მოუტანს მსოფლიო პროლეტარიატს. ის გვიტოვებს ჩვენ ორ საშინელ დრედნოუტს, მის ორ ძლიერ ხელით აშენებულს და სოციალურ ოკეანეში, ჩაშვებულს: საბჭოთა რუსეთს და კომუნისტურ ინტერნაციონალს ბოლოს ლენინმა დაუტოვა მისგან ჩამოყალიბებულ და გაწვრთნილ პროლეტარულ რევოლიუციის სამხედრო ფლოტს სასწაულთ მომქმედი კომპასი—გაუმჯობესებული მარქსისტული მეტოდი.

დეე, ლენინის სიკვდილით სასოწარკვეთილებამდე მისული ამხანაგები ნუ მიეცემიან კაეშანს. ნუ ფიქრობენ ისინი, რომ ეს კომპასი არაა საკმაო, რათა ქარიშხალის დროს დაიფაროს გემი. მართალია, მოკვდა ცივი გონების და რკინის ხელის მქონი, შეუდარებელი მესაჭე, იშვიათი მოქნილობის უნარით აღსავსე, ამცდენელი ყველა ქართა და მავნე მიმდინარეობათა, წინათ მგრძნობი წყალქვეშა ქვებისა. ის მოკვდა, მაგრამ მან დასტოვა თავისი მემკვიდრეობა.

ისტორია გვაძლევს ჩვენ იმის მაგალითებს, თუ როგორ გაუმაძღრობას იჩენენ ტიტანიური გენიოსები, რომლებიც იბადებიან ერთხელ ათას წელში და როგორ ამოკრეფენ ისინი მშობელ მიწის მთელ ძალას. ესენი გიგანტიური მუხებია, მათი ძლიერი ფესვები დედამიწის მთელ სინოყივრეს ამოსწურავენ და მათ უზარმაზარ ჩრდილში აღარ შეუძლიათ გახარება ახალგაზრდა ხეებს და ილუპებიან. მსოფლიო ბურჟუაზია თავს იტყუილებს იმ აზრით, რომ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში რუსეთის ჰორიზონტზე, სადაც რევოლიუციონურმა ენტუზიაზმმა ცეცხლი მოსდო მილიონების გულს, არა სჩანს პიროვნება, რომელიც შეენაცვლება ლენინს. მას წარმოდგენილი აქვს, რომ ლენინის შემდეგ დიდ რევოლიუციას უნაყოფობა დაებედა. მაგრამ იგი სასტიკად სცდება. სულ მალე დაინახავს მსოფლიო, რომ რუსეთის კურთხეული წიაღი დიდებულ შემომქმედ გმირთა მოდგმას წარმოშობს. ასე ყოფილა ყოველ დროს და ყველა ქვეყანაში იქ, სადაც არის ღრმა კავშირი დიად რევოლიუციონერთა საღ, შემძლებელ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ კლასთან, რომლის განთავისუფლებას ისინი ხელს უწყობენ.

ფრანგულ **მთის** საუკეთესო თავთა გაქრობამ ოდესღაც საშუალება მისცა ბონაპარტს მოეპარა საფრანგეთის ხალხისათვის ნიჭთა თაიგული, ახალ და საღ ძალთა კრებული, რომლებიც დაბადა ბურჟუაზიულ რევოლიუციის უკანასკნელ ექვსი წლის გამოცდილებამ. რუსეთის რევოლიუციამ კი მოახერხა თავის ბონაპარტების განდევნა, როგორც ეს გამოსთქვა ლენინმა ჩემთან ლაპარაკის დროს 1921 წელს: „მუშა იაკობინელები უფრო შორს მჭვრეტელნი, უფრო მაგარი არიან ბურჟუაზიულ იაკობინელებზე და იმდენი სიმძიმე და მამაცობა იქონიეს, რომ თითონ მოახდინეს თავისივე ტერმიდორიზაცია“ მათ მოახერხეს პატარა ბოროტებით დიდ ბოროტებისგან განკურნვა. გაბედული გომეოპატიაა, რომელიც შესძლო აღესრულებინა ყველაზე დიად აზრთა მეუფეს, რომელიც კი ოდესმე ცოდნია მსოფლიოს.

ლენინი მკვდარია, მაგრამ უკვდავია ლენინიზმი.

ლენინის საუკეთესო მოწაფეები ცოცხალია. მისთვის თავდადებული თანაშემწენი, ათასი და ასიათასი პროლეტარი, მისი გენიით აღზრდილნი, უდიდესი და უმცირესი მისი თანამშრომელნი, მხურვალე ლენინისტები მილიონები ძველ და ახალ მსოფლიოში შეუპოვრად და ცხოვლად განაგრძნობენ მის საქმეს. და ისინი უთუოთ ბოლომდე მიიყვანენ მას.

## გ. ლენგუელ.

(უნგრეთის კომუნისტი, ბუდაპეშტის ყოფილი პროფესორი და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარი).

გარდაცვლილ ლენინის ქება და ცოცხალ ლენინიზმის ძაგება მსოფლიო კონტ-რევოლიუციონურ პრესაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის უნდა გახდეს განსაკუთრებულ გაფრთხილების ნიშნად, რათა სწორად განვაგრძოთ ჩვენი რევოლიუციონური ბრძოლა, გვახსოვდეს რა ლენინი ლენინიზმის დროშის ქვეშაც.

## ანრი გილბო.

(საფრანგეთის კომუნისტი)

ის, რაც ლენინს ანსხვავებს რევოლიუციონურ მოძრაობის ბელადთა უმრავლესობისაგან—არ იმალება არც მის ფართო ცოდნაში, არც მის საერთაშორისო მოძრაობის გაგებაში, არც მის ერთ და იმავე დროს გრანდიოზულ და ნაყოფიერ შრომის მოყვარეობაში,—არამედ მის უნარში მასების ფსიხოლოგიის განსაკუთრებულ გაგებისა და მის განსაცვიფრებელ ნიჭში მომავალ მოვლენათა გარკვევის, იქნებოდნენ ისინი რამოდენიმე დღის თუ შორეულ მომავლის საკითხი, მის წინადგანჭვრეტის თავისებურ ნიჭში, რომელიც ორგანიული შედეგი იყო მისი მარქსიზმის, არა ნაწვალების ან ამოკითხულის, არამედ ორგანიულის და ჭეშმარიტის.

თავის ბრწყინვალე, ნაკლებად გავრცელებულ, ლენინისადმი მიძღვნილ წიგნაკში კამენევი გადმოვცემს ფაქტს, რომელიც, ჩემის აზრით, მოგვცემს საშუალებას გავიგოთ ლენინის ფსიხიკა და პოლიტიკა.

თავის ახალგაზრდობაში, ლენინი მუშაობდა ქარხანაში, უბრალო მუშის ცხოვრებით ცხოვრობდა, სწავლობდა მის პრიმიტიულ ფსიხოლოგიას, თვალყურს ადევნებდა მის ყოველდღიურ ვარამს, უსიამოვნებას და უხეშ მოქცევას და მუდმივ ჯარიმებს, რომელსაც ადგილი ჰქონდათ ხოლმე პატრონების მხრივ. და აი ამ მუშებს, რომელთაც შორეულად იგრძნეს კლასთა ბრძოლა, ლენინმა მისცა წინააღმდეგობის პირველი გაკვეთილები, მათთვის მან დასწერა პირველი თავისი ბროშიურა „ჯარიმები“. და არც ერთ ბელადს, მასსების ხელმძღვანელს, არ შეეძლო ასეთის სისწორით განეცადა გრძნობანი, განცდანი და გამოუთქმელი სურვილები ამ მასებისა, როგორც ლენინს, რომელსაც აღმოაჩნდა ისეთი მგრძნობიარობა, რომლის საშუალებით იგი ჩასწვდა გრძნობებს, განცდებს და გამოუთქმელ სურვილებს.

ზავის მოთხოვნილება, დაბადებული ძალა მიხდილობისაგან—ლენინმა მშვენივრად გამოიყენა რევოლიუციის საქმისათვის. რომელ ადამიანს და რომელ რევოლიუციონერს აღმოაჩნდებოდა გამბედაობა გამოსულიყო ბრესტ—ლიტოვსკის ზავის წინადადებით, რომელ რევოლიუციონერს ექნებოდა გამბედაობა გამოეცხადებინა მეორე ბრესტ-ლიტოვსკის აუცილებლობა, უფრო მძიმე რევოლიუციონურის თვალსაზრისით, **ნეპ**—ის.

ყველა იდეები, პირველად ლენინის მიერ წამოყენებული, ხან და ხან აღშფოთებდენ მის თანამოაზრეებს, მაგრამ მერმინდელი მოვლენები ამტკიცებდნენ მის თვალსაზრისის სისწორეს.

ისტორიულ მატერიალიზმის განსაკუთრებული განმმარტებელი, ლენინს არ ჰქონდა პრეტენზია მოვლენათა ხელმძღვანელობისა და მხოლოდ ზოგჯერ მოწინააღმდეგე ძალებს ერთ მიმართულებაში მოამწყვდევდა. ამას გარდა მას უაღრესად ჰქონდა უნარი პარტიულ ძალთა გაერთიანების და შეჯგუფებისა.

თავის სინამდვილის გრძნობის წყალობით, შეერთებულის მასების ფსიხოლოგიის გამძაფრებულ გაგებასთან ლენინი წინად განსჭვრეტდა მოვლენებს და ქმნიდა არა დღევანდელი დღის პოლიტიკას, არამედ თავის მუშაობაში თვით ისტორიულ პროცესს ერთვოდა.

და მაშინ, როდესაც ეგრედ წოდებული სახელმწიფო მოღვაწეები გვპირდებოდნენ აღმშენებლობას და ამის მაგიერ მხოლოთ აქცევდნენ, ლენინი, რომელსაც დამქცევის სახელი ჰქონდა, იყო ერთად ერთი, ვინც არა თუ სცადა აღმშენებლობა, არამედ ნამდვილი შემომქმედი იყო.

# ლიუდვიგ ბარნაი.

გარდაიცვალა სასცენო ხელოვნების მონოლიტი ლიუდვიგ ბარნაი. ადამიანი, რომლის მშვენიერი სახე და ხმა, დიდებულათ დამუშავებული დიქცია, ბუნებით თანდაყოლილი დარბაისლური ჟესტი და მოძრაობა აჯადოებდა, ესტეტიკის უმაღლეს გზნებაში ახვევდა ყოველ მაყურებელს.

ის დაიბადა 1842 წ. ბუდაპეშტში. სწავლა მიიღო იმ დროის სახელოვან მსახიობ ზენენტალის ხელმძღვანელობით. და ჯერ კიდევ ახალგაზრდა აღწევს თავის სახელის კულმინაციურ წერტილს: ხდება გერმანიის თეატრალურ გვარდიის ერთი უდიდესი საფუძველთაგანი.

ამ დროს გერმანიის სცენაზე გამეფებული იყო მეინინგელების ნატურალისტური შკოლა. (რომლის წარმომადგენლად რუსეთში ითვლება სამხატვრო თეატრი).

1873 წ. ბარნაის იწვევს მეინინგელების თეატრის ცნობილი რეჟისორი კრონეკ, და მას უხდება მუშაობის დაწყება სადებიუტო გამოსვლით მარკიზ პოზას როლში შილერის „დონ-კარლოს“-ში. შემდეგ მას მოჰყვა „ჰამლეტი, „ურიელ-აკოსტა“. როლების ყოველმხრივ არა ჩვეულებრივ შესრულებამ მისი სახელი შემოსა ბრწყინვალე შარავანდედით, შეუქმნა მსოფლიოს უდიდეს მსახიობის სახელი.

უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში გერმანიის სასცენო ხელოვნების სფეროში ახალი საყურადღებო დაწყებანი ცოტათ თუ ბევრად ყოველთვის დაკავშირებული იყო ბარნაის სახელთან.

ფრიდრიხ ჰაასესთან, პოსარტთან და ზიგვარტ ფრიდმანთან ერთად მან მისცა დასაწყისი „გერმანულ თეატრს“.

1887 წ. ბარნაი აარსებს ბერლინის პირველ სახალხო თეატრს („Berliner Theater“) თითქმის მარტო ტრაღიკულ რეპერტუარებით (შექსპირიდან, შილერიდან, გოეთე), რომლის უბადლო შემსრულებელი თვით იყო და რომელიც მან ჩამოასხა თავისებურ სტილში, რომელიც ბატონობდა ევროპის სცენაზე მე-XIX-საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში და მე-XX-ე საუკუნის დასაწყისს.

კლასიკურ როლებად მისთვის ითვლებოდა: მარკიზ პოზა, ურიელ აკოსტა, მეფე ლირი, მარკ-ანტონი, ოტელლო, ვალენშტეინ და სხვ.

ამის გარდა მის მეთაურობით დაარსებულ იქმნა გერმანეთის სასცენო მუშაკების პროფესიონალური კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირი, რომელმაც თავის არსებობის 50 წლის თავი ეხლახან იდღესასწაულა.

და ხანგრძლივ წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო მუშაობით დაღლილი 82 წ. მოხუცი ბარნაი ამ რამოდენიმე ხნის წინად გაემგზავრა ჰანოვერში დასასვენებლად. მაგრამ აქ მას მოუსწრო სიკვდილის შავმა აჩრდილმა...

**შ. რადიანი.**

# პროლეტარული მხატვრები.

(იხ. „დროშა“ №№ 4 და 6.)

## IV **უოლტერ კრენი.**

უოლტერ კრენი ეკუთვნის წარსულ საუკუნის გამოჩენილ მხატვართა რიგს. ეროვნებით ინგლისელია. დ. 1845 გ. 1903 წ.) შთამომავლობით ეკუთვნოდა მდიდარ ოჯახს. მამა მისიც მხატვარი იყო.

კრენი თავის შემოქმედების პირველ ნაბიჯიდანვე მიემხრო ე. წ. „პრელაფაელიტების“ შკოლას, მხატვრულ მიმართულებას, რომელიც იღებდა თავის დასაბამს და სანიმუშო მხატვრულ შემოქმედებას იტალიის საშვალო საუკუნეების XIV—XV მხატვრობიდან (გამოჩენილი წარმომადგენლები „პრელაფაელიტების“ შკოლისა—დანტე, როსეტი, ბენ-დჟონსი და სხ.).

დამახასიათებელი ამ სკოლისა იყო რომანტიკა ფანტაზია და განცდა, ისინი შორს იდგენ არსებულ ცხოვრებიდან: თემებს და ფაბულებს თავი ნთი სურათებისას ისინი იღებდენ არა გარემყარ სამყაროდგან, არამედ ზღაპრებიდგან, ძველ ლეგენდებიდგან, ფანტასტიურ სახეებიდან. ისინი თავიანთი ბუნებით მეტაფიზიკები და მისტიკოსები იყვენ და ჰქმნიდენ მისტიურ—მაგიურ „გაღმა ქვეყნის“ სახეებს. სიზმარი, გალიუცინაცია, ოცნება, განცდა, ლეგენდა ზღაპარი ასეთი იყო შემოქმედება კრენისა, ამას მოწმობს მისი სურათების სახელები: „ლეგენდა ჩონჩხის შესახებ“. „ბაბუკობის წყარო“ „სიკვდილი—მცელავი“, „ხიდი ცხოვრებისა“, „ზღვის ქალწული“.

წარსულ საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში კრენმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი სხვადასხვა სახის ხელოვნების შესწავლას. მან გამოუშვა სერია წიგნებისა ნახატებით და მთელი წყება შესანიშნავ შრომებისა, რომლებიც დღემდე სანიმუშოა. პლაკატები, კატალოგები, წიგნების ყდები და ილიუსტრაციები, კედლის და ფანჯრების წარწერები.

ამავე დროს ეკუთვნის კრენის გატაცება სოციალიზმით. ზედმეტია ლაპარაკიც, რომ კრენში თითქოს იყო სისხლი მუშური, არა! მასში ბუნებრივად—როგორც მუშა მხატვრებში არ იყო მუშების ნათესაობა, მაგრამ იგი იყო მგრძნობიარე და ზედმიწევნით ჰუმანიური ადამიანი, რამაც აიძულა ეთანაგრძნო მუშათა კლასისათვის. მუშათა კლასი მაშინ იწყებდა თავის კლასიურ ბრძოლას. წამოყენებულ იქმნა გრანდიოზული იდეა მუშათა სოლიდარობისა და მსოფლიოს შეკავშირებისა ინტერნაციონალის სახით. ამ იდეამ გაიტაცა მხატვარი. მრავალი შრომა კრენისა სუნთქავს მუშათა კლასისადმი თანაგრძნობით, იგი ჩაერია კლასობრივ ბრძოლაში და მუშებში აღვივებდა რევოლიუციონურ სულს თავისი მშვენიერი პლაკატებით.

კრენის სახით, ჩვენ ვხედავთ წარმომადგენელს მოწინავე, თავისუფლად მოაზროვნე ბურჟუაზიულ ინტელიგენციის, რომელიც არსებითად მტერია პროლეტარიატის და მისი იდეისა, მაინც უთანაგრძნობს მას და აკვირდება მის ძლევამოსილ ხმას, როგორც ერთ უძლიერეს ძალას მომავალი ქვეყნისას.

პ. ქ.

# ფულის რეფორმისათვის

კარდინალური მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის ფულის რეფორმას, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ტარდება. რეფორმა ფულის ბაზარზე არსებულ აღრევას დასასრულს მისცემს და მეურნეობის ყოველი დარგის განვითარებას საწინდრად დაედება. საბჭოთა ფულის ნიშნის კურსის კატასტროფიულად დაცემა, უზომოდ და ანგარიშგაუწევლად ქაღალდის ფულით ბაზრის ავსების შედეგი იყო, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აუცილებელი შეიქნა.

მსოფლიო ომამდე ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს ოქროს მტკიცე ვალიუტა ჰქონდა. ოქრო კანონიერ საგადასახადო ერთეულად და ფასეულობის საზომად იყო აღიარებული. ყოველგვარი ნაქმარი, ყიდვა გაყიდვა ოქროთი ანგარიშის გასწორების ნიადაგზე ხდებოდა, თუმცა ოქროსთან ერთად ტრიალში საბანკო ბილეთებიც იყო. ოქრო ტრიალში, თუ ანგარიშის გასწორება ნაღდ ფულზე ხდება, ცვდება, ამასთანავე ტეხნიკურად სიძნელეს წარმოადგენს, ამიტომ სახელმწიფო კერძო ბანკების დახმარებით ან და უშუალოთ, უშვებს ბილეთებს. ეს ბილეთები გაცვლა გამოცვლას აადვილებს და ოქროზე ხურდავდება. ბანკების საემისიო უფლება კანონმდებლობით შეზღუდულია, რომ ეს უფლება ბანკების მიერ ბოროტად არ იქნეს გამოყენებული. ოქრო საქონელია, მას როგორც სხვა საქონელს ფასეულობა აქვს, მაგრამ სხვა საქონელთა შორის უფრო მიზანშეწონილია ოქროსთვის ფულის ფუნქციების მინიჭება. მაშასადამე „ფულიც საქონელია, როგორც ყველა სხვა საქონელი, მაგრამ სხვა საქონელთაგან ფული მით განსხვავდება, რომ ფული ყველა სხვა საქონლის ეკვივალენტია, ე. ი. ის ისეთი საქონელია, რომელშიაც ყველა დანარჩენი საქონელი თავის ფასეულობას გამოხატავს. ფულის მიერ ასეთი თვისების მიღება ეს გაცვლის პროცესების შეერთებული მოქმედების შედეგია“ (ჰილფერდინგი-**финансовый кап.**) სახელმწიფოც ფულად ოქროს აღიარებს, რასაკვირველია, იმიტომ კი არა, რომ მას ასე სურს, არამედ იმიტომ, რომ ოქროს ყველა საქონელზე უკეთ შეუძლია ფულის ფუნქციების ასრულება. ამგვარად ფულის ფასეულობა დამოკიდებულია ოქროს იმ რაოდენობის ფასეულობისაგან, რომელსაც თვითონ შეიცავს. საკმარისია ოქროს ფასის დაწევა, რომ ფულმაც მასთან პროპორციით ფასეულობა დაკარგოს, უკანასკნელ გარემოებამ კი საქონლის ფასების საერთო მომატება გამოიწვიოს, რასაკვირველია, თუ ფულის თავისუფალი მოჭრის უფლება არსებობს, ხოლო თუ უკანასკნელი პირობა არაა, მაშინ გავლენას ფულის ფასეულობაზე სხვა ფაქტორები ახდენენ, რაზედაც ქვევით ვილაპარაკებთ. ფულის მოჭრის თავისუფლება ეწოდება მოქალაქეთა უფლებას, რომლის ძალით თითოეულ მოქალაქეს შეუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია თავისთვის საკუთარ ოქროს სხურებისაგან (слитки) სახელმწიფოს ფული მოაჭრევინოს საფასურის მიცემით.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოში ადგილი აქვს ოქროს რაოდენობის გაზრდას, თუ კი ამავე დროს საქონლის რაოდენობის გაზრდაც არ ხდება, შესაძლებელია ფულის გაიაფება.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია შვეციის მაგალითი გავიხსენოთ. ,,ომის დაწყებისთანავე შვეცია სხვა ნეიტრალ ქვეყნებთან ერთად მეომარ სახელმწიფოების საქონლის მიმწოდებელი და კომერციულ ურთიერთობაში შუამავალი გახდა. ამას შედეგად შვეციაში ოქროს დიდი რაოდენობა შეიზიდა, ვინაიდან ამავე დროს უცხოეთიდან შვეციაში საქონლის შეზიდვა შეწყდა, თავი იჩინა ინფლაციამ (ინფლაცია ეწოდება როგორც ქაღალდის ფულით ფულის ბაზრის ავსებას, რაც ფულის ფასის დაცემას იწვევს, აგრეთვე ყოველგვარ ფულის, ლითონის იქნება თუ საკრედიტო ნიშნების მათ მოთხოვნილებაზე გადამეტებას, რაც იმავე დროს საქონლის ფასების გაზრდას ნიშნავს.) ამის საწინააღმდეგოთ ოქროს ფულის თავისუფალი მოჭრა აკრძალეს და მთელ რიგ ღონისძიებათ მიმართეს, რათა საქონლის შემოზიდვა გადიდებულიყო, რომელიც ოქროს შემოზიდვას შეცვლიდა“ (კულიშერი—денежное обращение в прошлом и в настоящем).

ოქროც, როგორც სხვა საქონელი, ფასის მერყეობას განიცდის, რაც უშუალოდ ფულზედ გავლენას ახდენს. ასეთ მერყეობისაგან არც ერთი საქონელი არაა დაზღვეული, მაგრამ ამ კეთილშობილი ლითონის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მისი ფასი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ურყევი და მტკიცეა და მის რაოდენობის გაზრდაში დიდ ნახტომებს ადგილი არ აქვს. ამ მხრივ ოქრო ვერცხლზე უფრო ბედნიერი ლითონია. თუ მე-19-ე საუკ. დასაწყისში ოქროსა და ვერცხლის შეფარდება 1 : 15½ იყო, მე-19-ე საუკ. დასასრულს ეს შეფარდება 1 : 35-ით შეიცვალა, ე. ი. ვერცხლი ორჯერ უფრო გაიაფდა. აშკარაა, სადაც ბიმეტალისტური ფულის სისტემა არსებობდა ამ ლითონების ფულის ძველი შეფარდება ვერ დარჩებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისელ ბანკირის გრეშემის მიერ შემჩნეული ეკონომიური კანონი ამუშავდებოდა და ცუდი ფულის ნიშანი ტრიალიდან უკეთეს ლითონის ფულს განდევნიდა, ამ შემთხვევაში ოქროს, რომელსაც სხურებად გადააქცევდენ, გაყიდიდენ და სახელმწიფოს კი ვერცხლის ფულით გაუსწორებდენ ანგარიშს.

ეს გარემოებანი სახელმწიფოს მონომეტალისტური ფულის სისტემის მიღებას უკარნახებდა და ამიტომაც, უმთავრესად ოქროს ვალიუტა იყო, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ევროპის სახელმწიფოებში მიღებული 1914 წლამდე. მსოფლიო ომს ევროპის ყველა სახელმწიფოში დიდი ეკონომიური და ფინანსიური არევ-დარევა დაჰყვა. ომმა ბიუჯეტში არაჩვეულებრივი ხარჯები გამოიწვია, რომელთა დაფარვა ჩვეულებრივი შემოსავლით შეუძლებელით შეიქნა. საჭირო შეიქნა არაჩვეულებრივი შემოსავლის წყაროების გამონახვა.

როგორც საშინაო, ისე საგარეო სესხი, რომელიც მოითხოვს ნებაყოფლობას კრედიტორებისაგან და პროცენტების გადახდას, აგრეთვე ძველი ხარკების გადიდება, რომლის დროს სახალხო მეურნეობის გადახდისუნარიანობის გათვალისწინებაა საჭირო, დიდ დროს მოითხოვენ და პალიატიური ზომებია. ყველაზე უფრო იოლი გზა ემისიის გაზრდის მოლიპული გზაა. უპროცენტო და იძულებითი სესხის ქაღალდის ფულის სახით მიღება. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გასაზრდელად და დეფიციტის დასაფარავად მეომარმა სახელმწიფოებმა ამ ზომას მიმართეს.

ბანკნოტებსა და ლითონის ფულის შორის ყოველივე კავშირი გაწყდა. ბანკნოტების ოქროზე დახურდავება შესწვიტეს. ბანკნოტებს იძულებითი კურსი მისცეს, ე. ი. არავის აქვს უფლება უარი სთქვას ქაღალდის ფულის ლითონის ფულის თანაბრად მიღებაზე, ამგვარად ქაღალდის ფულის სისტემა ჩნდება სახელმწიფოსაგან დაწესებულ იძულებით კურსს ქაღალდის ფულის გაიაფებისაგან დაზღვევა არ შეუძლია. ქაღალდის ფულის გაიაფება მით უფრო საშიშს ხასიათს მიიღებს, რაც ემისია ზომიერების ფარგლებს გადასცდება.

წმინდა ქაღალდის ფულის ტრიალის დროს ყოველგვარი კავშირი კეთილშობილ ლითონთან შეწყვეტილია, ხოლო ქაღალდის ფულის ფასეულობას განსაზღვრავს ერთის მხრივ ფულისა და ფულის სუროგატების რაოდენობა, მეორე პოლიუსზე საქონლის ფასების ჯამს აქვს მნიშვნელობა. მაგრამ ,,ვინაიდან ქაღალდის ფულის ფასეულობა საქონლის ჯამის ფასეულობით განისაზღვრება, რომელიც ტრიალში იმყოფება, ეს ჯამი კი მრავალგვარ ცვალებადობას განიცდის, ამიტომაც ქაღალდის ფულის ფასეულობაც უნდა განიცდიდეს დიდ ცვალებადობას (ჰილფერდინგი—финансовый кап. გვ. 42) ,,ამგვარად მარტო ქაღალდის ფული, ბოლოს და ბოლოს, შეუძლებელი უნდა შეიქნეს, ვინაიდან მის დროს საქონლის ტრიალი მუდმივ პერტურბაციებს უნდა განიცდიდეს“ (ჰილფერდინგი—იქვე).

ქაღალდის ფულის გაიაფების რეკორდს დამარცხებულმა და რევოლიუცია განვლილმა სახელმწიფოებმა მიაღწიეს. ამ სახელმწიფოებში ქაღალდის ფულის კურსის დაცემაზე ემისიის გარდა სხვა ფაქტორებიც მოქმედებდა. ფულის კურსის დაცემა საბეჭდავ მანქანის მუშაობას წინ უსწრებდა, რაც შრომის ნაყოფიერების დაცემით, საქონლის რაოდენობის შემცირებითა და სხვა მიზეზებით აიხსნება.

რუსეთში 1919 წ. 1 იანვრისათვის იყო 34 მილიარდის ემისია, რომელიც 525 მილიონ ოქროს მანეთს უდრიდა. შემდეგ წელში ემისია გაიზარდა 164 მილიარდამდე და უდრიდა ოქროს 380 მილიონ მანეთს. ხოლო 1920 წ. დაბეჭდეს ტრილიონი რაც მხოლოდ 180 მილ. ოქროს მანეთს უდრიდა. ეს ციფრები აშკარად ყოფენ, რომ ბაზრის ტევადობა დაპატარავდა, ქვეყანა კი ეკონომიურს და ფინანსიური უფსკრულის წინ იდგა.

მაგრამ სამოქალაქო ომით ცეცხლ მოკიდებულ ქვეყანას, რომელიც სოციალისტურ საფუძვლებზე შენდებოდა, არ ჭირდებოდა მტკიცე ფულის ნიშანი. ,,კარგი რევოლიუცია, ცუდი ფინანსები“, ანდა სოციალისტური მეურნეობის დროს, როდესაც სასტიკი რეგლამენტაცია არსებობს, წარმოება და განაწილება სახელმწიფოს შეგნებულ ხელმძღვანელობითა და განრიგებით ხდება, ფული კარგავს თავის ფუნქციებს, ის ზედმეტ ბარგად ხდება.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მდგომარეობა ძირეულად შესცვალა. კერძო ინიციატივას განსაზღვრული სამოქმედო ასპარეზი მიეცა. ნაციონალიზაცია ქმნილი მრეწველობა ტრესტებისა და სინდიკატების სახით მომხმარებელთან დასაახლოვებლად ბაზარზე გამოვიდა. საჭირო შეიქნა სწორი კალკულიაცია, საბუღალტერო წიგნები, წაგება-მოგების ანგარიში.

დაიწყო გაცვლა-გამოცვლა, საბირჟო ბიუელტენები, რომლებიც დამოუკიდებელ მეურნეობათ ერთმანეთს აახლოვებენ, მოთხოვნილებასა და მიწოდებას ათანაბრებენ, მეურნეობისათვის გაცვლა-გამოცვლა სასიცოცხლო პროცესი შეიქნა, რომელიც სოციალური აუცილებლობით მოქმედებს და მეურნეობას აწესრიგებს.

მაგრამ საქონლის ტრიალის ნორმალურ მსვლელობისათვის არ არსებობდა ფული, მტკიცე ვალუტა, რომელიც იქნებოდა გაცვლა-გამოცვლის იარაღი და ფასეულობათა საზომი. ძველი საბჭოთა ნიშანი სრულიად უვარგისი შეიქნა ახალ ურთიერთობისათვის, თუ გინდ მისი სტაბილიზაციისათვის მიგვეღწია. ,,ვინაიდან—როგორც ზევით აღვნიშნეთ—მარტო ქაღალდის ფული, ბოლოს და ბოლოს, შეუძლებელი უნდა შეიქნეს, რადგან საქონლის ტრიალი მის დროს მუდმივ პერტურბაციებს უნდა განიცდიდეს“.

მტკიცე ვალუტის შექმნისათვის წინასწარ პირობების მომზადების შემდეგ სახელმწიფომ გამოსცა ჩერვონეცი, რომელსაც ოქრო უზრუნველყოფს. ვინაიდან ჩერვონეცი დიდ კუპიურებს წარმოადგენს, ხურდა ფულის ნაკლებობის თავიდან ასაცილებლად, წვრილი ვერცხლის ფული მოიჭრა და სახაზინო ბილეთები დაიბეჭდა.

თებერვლის 14-ს საბჭოთა ნიშნების ბეჭვდის შეწყვეტის შესახებ დეკრეტი გამოიცა.

საბჭოთა ნიშნები თანდათანობით განიდევნა ბაზრიდან. თუ 1923 წ. 1 იანვრისათვის საბჭ. ნიშნების ფასი 113 მილ. ოქროს მანეთს უდრიდა, 1924 წლ. თებერვალს. 39 მილიონს შეადგენდა.

საბჭ. ნიშნების გამოსყიდვის ვადა 10 მაისამდეა გაგრძელებული. ჩერვონეცი ბაზარს დაეუფლა.

რეფორმა, როგორც სოკოლნიკოვის განცხადებიდან ჩანს, წარმატებით მიმდინარეობს და გამარჯვებით დასრულდება.

რეფორმის საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა შრომის ნაყოფიერების გაზრდა, რაც საქონლის რაოდენობას გაზრდის, ფულის სუროგატების მოსპობა, რომელსაც შეუძლია ფულის რაოდენობის გაზრდა და ჩერვონეცის კურსზე გავლენის მოხდენა. სავაჭრო და საანგარიშო ბალანსის გააქტიურება, უდეფიციტო ბიუჯეტი, ჩერვონეცის იმ რაოდენობით გამოშვება, რამდენიც საქონლის ტრიალისთვის საჭირო იქნება და სხვა პირობები და მაშინ საბჭოთა ნიშნების ამბავი მხოლოდ ისტორიისთვის საინტერესო მასალად გამოდგება, ხოლო მოქალაქეთათვის მოგონების ერთი მწარე ფურცელთაგანი იქნება.

ნ. წულუკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრონიკა

მოკლე ხანში სახელ. გამომცემლობა ბეჭდავს შემდეგ ავტორთა წიგნებს: ვაჟა-ფშაველას მეორე ტომს. გრ. ორბელიანის ლექსების კრებულს. გ. ერისთავის საუკეთესო პიესებს. ნ. ლომაურის მოთხრობებს. ალ. ჭავჭავაძის რჩეულ ლექსებს ავტორის სურათით და კრიტიკული წერილით. რაფ. ერისთავის ლექსების კრებულს სურათით და კრიტ. წერ. და ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილ შექსპირის დრამებს.

დაიბეჭდა და მოკლე ხანში გამოვა სახელგამის გამოცემა, პ. ინგოროყვას ისტორიული ნარკვევი შოთა რუსთაველზე: „რუსთაველიანა".

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ს. დადიანის წიგნი „ქართული თეატრი".

გამოვიდა პოლიტ-განათლების მთავარმართველობის ყოველთვიური სამხატვრო სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი"-ს პირველი ნომერი. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა შეიცავს 160 გვერდს და ღირს 1 მ. 40 კაპ.

მხატვარმა ვლ. სიდომონ ერისთავმა დახატა და უკვე წარუდგინა სახალხო სახლის ქართ. დრამის გამგეობას ესკიზები ა. შანშიაშვილის პიესა „სპარტაკი"-ს დეკორაციებისა. პიესა სახალხო თეატრის სცენაზე დაიდგმება ნაალდგომევს.

ტფ. პოლიტგანათლებამ შეიძინა მოძრავი კინო-აპარატი, რომლითაც განზრახულია სოფლებში აჩვენონ კინო-სურათები.

— მ. ბოჭორიშვილმა დასწერა ჭ. ლომთათიძის მოთხრობა „პირველი მაისი"-ს სცენარი კინოსათვის, რომელიც წარედგინა სახ. კინომრეწველობას.

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირი მართავს ქართულ კლუბში დიდ საღამოს საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად.

პირველ მაისს ტფილისში გაიმართება ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა გამოფენა.

ახალგაზრდა მხატვრის ი. თოიძის მიერ დახატული „ქალის პორტრეტი" ამ ჟამად საქართველოს ეროვნულს გალერეიაშია, გალ. დირექციას განზრახვა აქვს „პორტრეტი" შეიძინოს.

აპრილის ბოლო რიცხვში გაიმართება დამსახურებულ მწერლის **სოფ. მგალობლიშვილის სალიტერატურო** მოღვაწეობის 45 წლის იუბილე.

სახელ. ოპერის თეატრში აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართება დამსახურებულ ლოტბარის **ივ. ფალიაშვილის იუბილე.**

— იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გ. ყორჩიბაშის წიგნი: „ფურცლები დღიურიდან" (ციმბირში დაღუპულ პოლიტიკურის წერილები)

დაიბეჭდა და გამოვიდა ანრი ბარბიუსის რომანი „**ცეცხლი**" ფრანგულიდან ნათარგმნი თ. სახოკიას მიერ. გამოცემა სახელგამისა.

— დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა **ფ. მახარაძის ნაწერების** პირველი ტომი. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი და შეიცავს 400 გვერდს.

— იონა ვაკელმა დასწერა დრამატიული პოემა „ხანგიზ" 7-სურათად. პოემაში ასახულია ბრძოლა შრომასა და კაპიტალის შორის.

— დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ **ლენინის წიგნი** „ნაციონალურ საკითხის შესახებ" თალაკვაძის რედაქციით. წიგნი შეიცავს 350 გვერ. სახელგამის გამოცემა.

— ტფილისში გამოვიდა ქართულ ენაზედ ქართველ ისრაელთა ორკვირეული სალიტ--პუბლიც. გაზეთი „**მაკაველი**" გაზეთი აშუქებს საზოგადოთ ებრაელების და კერძოთ ქართველ ისრაელთა ყოფა-ცხოვრებას. გაზეთებში მრავალი საყურადღებო წერილებია.

— გამოვიდა ჟურნალი **„საისტორიო მოამბე"** წიგნი პირველი. გამოც. საქართვ. ცენტროარქივისა, ჟურნალში მოთავსებულია: ს. კაკაბაძე—საქართველოს სახელმწიფოებრივობის საკითხები. ლ. მელიქსეთ—ბეგი,—კლდეკარნი ს. კაკაბაძე—ბარათაათ გაყრის წიგნი. მისივე-ვეფხის ტყაოსანის პრობლემის გარშემო. დ. გორდეევი—Материалы по обследованию Хонских древностей". ი. ჭეიშვილი დარეჯან ბატონიშვილის სახლი ქუთაისში. ჟურნალში არის კრიტიკა, ბიბლიოგრაფია და სხვა.

— დაიბეჭდა ყოველთვიური სამეცნიერო კრებული **„ჩვენი მეცნიერება"-ს** № 9-10. კრებულში არის წერილები: პროფ. ივ. ჯავახიშვილის, პრ. დ. უზნაძის, დოც, ლ. მელიქსეთ-ბეგი ს. პრ. გ. ჩუბინაშვილის, კ. კაპანელის, გ. ნათაძის, დ-ც. ნ. იოსელიანის და სხვათა.

— მომღერალ სობინოვის მოსმენა ხმა-მაღლა მოლაპარაკე აპარატით. საქ. სახ. კომისართა საბჭოს კულტკომისიის თაოსნობით, ა-კ სახ. კომ. საბჭოს, საქ. სახ. კომ. საბჭოს, ა-კ. ცაკის და საქ. ცაკის მუშა—მოსამსახურეთათვის 26 მარტს სასახლის დარბაზში მოაწყეს ხმა-მაღლა მოლაპარაკე აპარატი, რათა აქ დამსწრეთ მოესმინათ სახ. ოპერის თეატრიდან სობინოვის სიმღერა. „ევგენი ონეგინ"—ში.

ქალ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გამართოს საოპერო თეატრში კონცერტი.

— 24 მარტიდან დაიწყო ლექციების კითხვა პროლეტკულტის ლიტერ. სტუდიაში პოლიტეკონომიაზედ. ლექტორად მოწვეულია არ. კვირიკაძე.

ორშაბათს 31 მარტს სახალხო სახლში, შესდგება დების თარხნიშვილების ქართული ხალხური სიმღერების კონცერტი სამს განყოფილებათ სახალხო თეატრის მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ.

ორშაბათს 31 მარტს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგება ახალ. ქართველ მუსიკოსთა სიმფონიური კონცერტი, იმღერებენ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებთ. ორკესტრს ლოტბარობს ზ. პ. ფალიაშვილი და კომპოზ. დ. არაყიშვილი.

საქ. სახალ. განათლ. კომისარიატმა ავადმყოფ მგოსანს **გ. ქუჩიშვილს** გაუგზავნა დახმარების სახით, 100 მან.

— გურიიდან დაბრუნდენ მხატვრები: ე. ლანსერე, შ. მამალაძე და სხვანი, რომელთაც შეკვეთილი ჰქონდათ ეგ. ნინოშვილის თხზულებათა დასურათება. მხატვრებმა რამოდენიმე სურათი უკვე გადასცეს საგამომცემლო ბიუროს, სურათები ბიურომ მოიწონა.

— როგორც საზღვარ-გარეთის გაზეთები იტყობინებიან, ცნობილი მომღერალი **დარიალ-ნანობაშვილი** ამ ჟამად მღერის მარსელში.

— გარდაიცვალა გერმანელი სახელგანთქმული ტრაღიკოსი, ლიუდვიგ ბარნაი.

— ლუნაჩარსკიმ დასწერა ახალი პიესა „ცეცხლი წამკიდებელი“ პიესას დასდგავს მეირხოლდი.

# ბიბლიოგრაფია.

**დავ. დონდუა. საქართველოს დედაქალაქი ტფილისი.** სახელ. გამომცემლობა. 1923 წ.

წიგნი იყოფა ოთხ ნაწილად: ტფილისის ყოფა-ცხოვრება, ტფილისის მდებარეობა, ტფილისის მიდამოები და საქართველოს ზოგადი მიმოხილვა.

ყოველ კულტურულ ხალხს აქვს თავის ქალაქების აღწერა ისეთის გეგმითა და მეთოდით, როგორითაც ზემოხსენებული წიგნია დაწერილი.

ეს წიგნი ტფილისის აღწერის პირველი ცდაა და, თამამად შეიძლება ით ვას, სრულიად გამართლებული. წიგნი დაწერილია ტფილისის შკოლის მასწავლებელთათვის, რომლითაც მოწაფეებს უნდა დააწყებინონ გეოგრაფიის შესწავლა, და წიგნშიც მართლაც უხვადაა მასალა, როგორც ზოგად გეოგრაფიიდან, ის საქართველოს და განსაკუთრებით ტფილისის ცხოვრებიდან. ეს წიგნი საყვარელი საკითხავი იქნება მოწაფეთათვის და ცნობების მხრივ ბევრს შეძენს უფრო მოზრდილებს. ყველა მათთვის, ვინც ტფილისს არ იცნობს, ანდა უნდა საფუძვლიანად გაიცნოს იგი, ზემოხსენებული წიგნი უბადლო იქნება.

წიგნში არის ისეთი მასალაც, რომელიც ბევრს განათლებულ ქართველისათვისაც-კი ახალი იქნება. ძველი ტფილისის ძველი ადათების: მუშტი კრივის, ჯირითის და ბურთაობის შესახებ ცნობები მეტად საინტერესო არის.

წიგნს ღირსებას ჰმატებს ავტორის დახვეწილი და სადა ენა. წიგნს აცხოველებს ზოგიერთი ახალი ტერმინი, რომლებიც პირველად ამ წიგნში გვხდება.

წიგნში დართულია მრავალი სურათი, საქართველოს რუქა და ტფილისის გეგმა.

ჩვენ ვისურვებდით, რომ ის წიგნი გავრცელდეს ქართულ ოჯახებში, როგორც საკითხავი წიგნი.

წიგნი ლამაზადაა გამოცემული, შეიცავს 134 გვერდს. ფასი არაა აღნიშნული.

წ.



დ. არაყიშვილი
შარჟი სიდამონ-ერისთავისა

**პასუხისმგებელი რედაქტორი: მ. კახიანი.**

გამომცემელი: **სახელმწიფო გამომცემლობა.**

ს. ს. მ. ჟ. ს. 1-ლი სტამბა, პოლიგ. განყოფილ. პლეხ. პრ. 91. ტირაჟი 1000 ც.

საქართველოს სახელმწიფო ... ტფილისი ... წიგნის პალატა

საქართველოს ცენტრალური

კოოპერატიული კავშირი

# „ცეკავშირი"

## საბანკო განყოფილება ღებულობს

კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კერძო პირებიდან

## შესანახავ თანხას

ვადიანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე, შემნახველის სურვილისამებრ ჩერვონცებით და ჩერვონული გამოანგარიშებით.

## აწარმოებს ფულის გადაგზავნას

ჩერვონცებით და ჩერვონულ გამოანგარიშებით საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქებში.

საბანკო ოპერაციები სწარმოებს დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე